დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
16 - 22 იანვარი
N 4 1468
ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი



## მიხეილ სააკაშვილს „მონანიების“ მთავარი გმირის ბედი ელის!

არჩილ ხიდირბეგიშვილი

9

აშშ-ში, როგორც „კაგებეში“, ყოფილები არ არსებობენ!

### ჯუმბერ პატიაშვილი:

## სოლიკო ხაბეიშვილი მე არ დამიჭერია!





### მირიან მირიანაშვილი:



## „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოს პრეზიდენტად მოგვივლინა არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ თემურ ალასანია!

4

„სწორედ ალასანიას „ფეესბეშნიკური ბრიაშკა“ მართავდა საქართველოს 9 წლის განმავლობაში, სააკაშვილი კი აბსოლუტურად ნომინალური ფიგურა იყო!“



15

შალვა, რაღა სააკაშვილისა და გიული ალასანიას გამომცხვარ ფეკლერს ჩაასე კბილი, არ ჯობდა, ძვირფასი დედის — ქალბატონი მაგულის ან დიდებული მეუღლის — ქალბატონი დიანას გამომცხვარი ხაჭაპური გეჭამა?



## ერთხელ ამხანაგ პლეხანოვს მელიამ უთხრა:

ნიკა მელიამ სააკაშვილი პენისად გამოაცხადა!

2



3

## უ.. ხარო!



3

# მოღალატე მოღალატის სასამართლოზე

# ერთხელ ამხანაგ პლეხანოვს მელიამ უთხრა: ყ.. ხარო!

***საბჭოთა დროს ერთობ პოპულარული და დღემდე მოღწეული ფუნაგორია — „ერთხელ ამხანაგ პლეხანოვს ლენინმა უთხრა, ყ...ე ხარო!“ — მას შემდეგ გაგვახსენდა, რაც გასულ კვირას გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერიდან გავიგეთ, რომ ნაციონალური მოძრაობის მოქმედი თავმჯდომარე და თავმჯდომარეობის კანდიდატი ნიკანორ მელია მიხეილ სააკაშვილს მამაკაცის სასქესო ორგანოს სახელით მოიხსენიებს.***

კერძოდ, ფარულ ჩანაწერში, რომელიც 2021 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და უკრაინიდან ნაცბელადის ჩამოპარვამდეა გაკეთებული, **მელია** თავის რომელიღაც თანაპარტიელსა თუ ახლობელს სააკაშვილის შესახებ ეუბნება:

*„დამირეკა ტიპმა, არც უკითხავს, რას ვფიქრობ, ეგრევე გადმოვიდა „ნაეზდზე“ — თუ შეხვალო პარლამენტშიო, ჩემი კანდიდატი ვერ იქნები მერობისო! გამოვ...ლევდი* **(ცენზურა აქ და ყველგან ჩვენია. რედ.)!** *მერე ვუთხარი — რამდენი ათასი კაცი გინდათ-მეთქი დაგახვედროთ თბილისში, რომ ჩამოხვიდეთ-მეთქი! აი, ეხლაც დამალულია,* ***ეგ ყ...ე, ეგა!*** *თქვენ გგონიათ, რომ ახლა ამის გამო ვარ ამ პარტიაში-მეთქი? რას მაშანტაჟებთ-მეთქი, ტო! ამხელა კაცი ხარ, ნაღდად არ გეკადრებათ-მეთქი, მითუმეტეს, მე არ მეკადრება თქვენგან-თქო! ამას არ შეგარჩენთ-მეთქი!* ***ეგ ყ...ე, ეგა, ყ...ე,*** *მაგის დედას შევ...ი, მაგარი* ***ყ...ეა!“***

როგორც ხედავთ, **მელია** სააკაშვილს არამხოლოდ მამაკაცის სასქესო ორგანოს უწოდებს, არამედ დედასაც აგინებს — **მაგის დედას შევ...იო,** რაც აშკარად შეიცავს ნიკანორის მხრიდან **გიორგი ჩალაძის** კომპეტენციის სფეროში შეჭრის ნიშნებს, მაგრამ ეს ჩვენი გასარჩევი საკითხი ნაკლებად არის!

ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, რომ **მელია** სააკაშვილს, **როგორც თავის დროზე ლენინი პლეხანოვს,** ყ...ს უწოდებს!

თუმცა, აქ ერთი ტექნიკურ-ეთიკური საკითხის გადაწყვეტაც გვიწევს — **ის არანორმატიული სიტყვა, რომელიც, ფუნაგორიის თანახმად, ლენინმა ამხანაგ პლეხანოვს უთხრა, ხოლო ახლა მელია სააკაშვილს ეძახის, რაიმე ნორმატიული ტერმინით უნდა ჩავანაცვლოთ.**

აბა, იმ ერთი სიტყვის მაგივრად სამი სიტყვის — მამაკაცის სასქესო ორგანოს — ხმარება, ცოტა არ იყოს, მოუხერხებელია!

ამიტომაც, ავდგებით და გამოვიყენებთ მამაკაცის სასქესო ორგანოს აღმნიშვნელ სიტყვას — **პენისი!**

მოგეხსენებათ, **პენისი** ლათინური სიტყვა და სამედიცინო ტერმინია, რის გამოც მისი გამოყენება სრულიად ეთიკური გახლავთ.

ამაში **ნიკა მელიას მამა, ლათინურ სამედიცინო ტერმინოლოგიაში შესანიშნავად გარკვეული ექიმი, ბატონი ანზორ მელიაც** დაგვეთანხმება.

**ბატონ ანზორს, როგორც რაფინირებულ პიროვნებასა და გამორჩეულად ზრდილობიან კოლხს, დარწმუნებული ვართ, ძალიან მოეწონება, რომ ის უცენზურო სიტყვა, რომელიც თავის დროზე ლენინმა პლეხანოვს უთხრა, ახლა კი მისი შვილი – ნიკა მიხეილ სააკაშვილს ეძახის, ჩვენს პუბლიკაციაში სამედიცინო ტერმინ პენისით ჩავანაცვლოთ!**

ასე რომ, უკვე მშვიდად შეგვიძლია ვთქვათ — **ნიკა მელიამ** მიხეილ სააკაშვილი **პენისად** გამოაცხადა!

ცნობილი ამბავია, რომ **მარქსისტ-მენშევიკ გიორგი პლეხანოვს ვლადიმერ ლენინთან** მთელ რიგ საკითხებზე







**ანუ მელია დარწმუნდა, რომ ნაციონალურ მოძრაობას „ვარდების რევოლუცია-2“-ის შანსი არა აქვს!**

სამაგიეროდ, ამას ვერაფრით მიხვდა **სააკაშვილი,** რომელიც საკუთარი პარტიისაგან პოლიტიკური პროცესების მუდმივ რადიკალიზაციას, ქუჩის პროტესტსა და პოლიტიკური რევანშის ასაღებად ანტიკონსტიტუციური მეთოდების გამოყენებას ითხოვდა!

**უკრაინაში მყოფი სააკაშვილის თავში არაფრით შედიოდა, რომ მის პარტიას ამის რესურსი არ გააჩნდა და არც რევოლუციური ამინდი იდგა საქართველოში!**

როგორც ჩანს, **მელია** გაქცეულ ბელადთან გაუთავებელმა შიდაპარტიულმა ძიძგილაობამ დაღალა და საბოლოოდ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სააკაშვილი **პენისია!**

ეტყობა, **მელია** საბოლოოდ დარწმუნდა იმაშიც, რომ **პენისისგან სალამური არ გამოითლება, ანუ სააკაშვილისაგან პოლიტიკური ლიდერი ვეღარასოდეს დადგება!**

წარმოდგენა იმის შესახებ, რომ **სააკაშვილი პენისია,** ნიკა მელიას საბოლოოდ განუმტკიცდებოდა მას შემდეგ, რაც ნახა, თუ როგორ იქცევა იგი დაპატიმრების პირველივე დღიდან და რა კონცერტებს მართავს კლინიკა **„ვივამედის“** ოროთახიან ლუქს-პალატაში!

**რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც მელიას არასოდეს არაფერში ეთანხმებოდა, ახლა მას კვერს უკრავს იმაზე, რომ სააკაშვილი პენისია!**

ძნელი სათქმელია, რამდენად მართალი იყო ლენინი, როცა ამხანაგ **პლეხანოვს** უთხრა — **ყ... ხარო,** მაგრამ **მელია** ნამდვილად მართალი ჩანს, როცა სააკაშვილზე იმავეს იძახის!

ასე რომ,

**ამიერიდან თავისუფლად შეიძლება, სააკაშვილი არამხოლოდ პოლიტიკურ პენსიონერად, არამედ პოლიტიკურ პენისიონერადაც იქნეს მოხსენიებული!**

## ნიკა მელიამ სააკაშვილი პენისად გამოაცხადა!

სერიოზული უთანხმოება ჰქონდა და მის **„აპრილის თეზისებს“** ბოდვას უწოდებდა; **პლეხანოვი აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და თვლიდა, რომ რუსეთის პროლეტარიატი ამისათვის მზად არ იყო...** სწორედ ლენინსა და პლეხანოვს შორის არსებული პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფლიქტის პროდუქტია ის ფუნაგორიაც, რომელიც წერილის დასაწყისში გავიხსენეთ.

ანუ ცხადი და ნათელია, რატომ უთხრა **ლენინმა ამხანაგ პლეხანოვს** — **ყ... ხარო!**

მაგრამ რატომ ეძახის **ნიკანორ მელია** მიხეილ სააკაშვილს **პენისს?**

რა შავმა კატამ გაირბინა ნაცსექტის ბელადსა და პარტიის ფორმალურ თავმჯდომარეს შორის?

**ვფიქრობთ, საქმე ის არის, რომ ნიკა მელიამ, მას შემდეგ, რაც პარლამენტის შენობის შტურმით აღება და ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობა არ გამოუვიდა, ჭკუა ისწავლა და მიხვდა, რომ დღევანდელ საქართველოში ასეთი რადიკალური მეთოდებით პოლიტიკური მიზნების მიღწევა შეუძლებელია!**

უკეთ თუ ვიტყვით, **მელიამ** გააანალიზა და გააცნობიერა, რომ საქართველოში 2003 წელი აღარ დგას და არც „ქართული ოცნებაა“ ისე მორღვეული, დემორალიზებული და შიგნიდან გამოხრული, როგორიც შევარდნაძის რეჟიმი იყო 2003 წელს!

ნიკა მელიას მამას, სახელოვან ექიმ **ანზორ მელიას** თავისი ხანგრძლივი სამედიცინო კარიერის განმავლობაში უამრავი ზუსტი დიაგნოზი აქვს დასმული, მაგრამ **თავად ნიკა მელიამ თავისი არცთუ ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ასეთი ზუსტი პოლიტიკური დიაგნოზი პირველად დასვა!**

დარწმუნებული ვართ, **ნიკა მელიას** მიერ სააკაშვილისათვის დასმულ დიაგნოზს **ანზორ** მელიაც სიამაყით ეთანხმება!

**ჯაბა ხუბუა**

### ქვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

საქართველო დაინტერესებულია **გრძელვადიანი მშვიდობით რეგიონში** და მზად არის, კვლავაც შეასრულოს **შუამავლის როლი** სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

„პირველი არხი“



**კახა კუჭავა**
*პარლამენტარი*

საკუთარი ქვეყნის მტრობას თავი დაანებონ და ხალხს აუხსნან, **როგორ უნდა მისცე საბრძოლო ტექნიკა უკრაინას, როდესაც საქართველო, პრაქტიკულად, პირისპირაა დარჩენილი რუსეთთან** — ცოტა გონებას მოუხმონ.

„იმედინიუსი“



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

სააკაშვილი თუ მისმენს, ვიტყვი — ვერაფერს დაგვაკლებ. შენ ხარ კრიმინალი, ზიხარ იქ, სადაც უნდა იჯდე და **კეთილი ინებე, მოიხადე ის სასჯელი, რომელიც მოგისაჯა საქართველოს დამოუკიდებელმა სასამართლომ.**

„იმედინიუსი“



**ზაზა შათირიშვილი**
*ჟურნალისტი*

ყველამ იცის, რომ **ამერიკას არა ბაიდენი, არამედ რამდენიმე ოჯახი მართავს,** არ შეიძლება, საქართველო მათ მიერ მოფიქრებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სქემებს შეეწიროს!

„საქართველოს რესპუბლიკა“



**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*

თუ **„ბუკებს“** ვერ ვუგზავნით უკრაინელებს, ეკა მიშველაძის **ბუკა** მაინც გავუგზავნოთ!

„ფეისბუქი“

# მოღალატე მოღალატის სასამართლოზე

***2023 წლის 9 იანვარს, 1905-ის „სისხლიანი კვირიდან“ 118 წლის შემდეგ, ერთი მოღალატე მეორე მოღალატის სასამართლო პროცესზე მივიდა და ასეთი განცხადება გააკეთა:*** *„დიდი მოლოდინით რომ ვიყო გამსჭვალული, ალბათ, ვერა! ძალდატანება უნდა იყოს უფრო მეტი, სხვანაირად არ გადაწყდება. საბოლოო ჯამში, ალბათ, იძულებული უნდა გახდეს და ბიძინა ივანიშვილმა მიიღოს გადაწყვეტილება!“*

**პირველი მოღალატე,** რომელმაც ზემოხსენებული განცხადება გააკეთა, **ივერი მელაშვილია,** რომელიც **ნატალია ილიჩოვასთან** ერთად 30-იან წლებში „ენკავედეს“ მიერ შექმნილი საქართველოს რუკების დამალვაში და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის მონაკვეთის საქართველოს საზიანოდ გამრუდებაშია ეჭვმიტანილი!

ხოლო **მეორე მოღალატე,** ვის სასამართლო პროცესზეც ეს ყველაფერი ითქვა, ნაპრეზიდენტალი და ქვეყნის მაოხრებელი ცქირი — **სააკაშვილია,** რომელმაც ყველა უბედურებასთან ერთად ყიზილბაშების მიერ 1659 წელს შუამთის ტყეში ქართველი მღვდლის გაუპატიურების ამაზრზენი ფაქტი ლამის ნაცრეჟიმის ცხოვრების წესად აქცია!

9 იანვარს გამართული სასამართლო პროცესი, სადაც **მოღალატე ივერი მელაშვილი** პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა, ნამდვილი ტრაგიკომედია გახლდათ, რადგან ქართული მართლმსაჯულება **ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას მბრძანებელს — სააკაშვილს** დავითგარეჯის მიწებისა და ჩიჩხიტურის კოშკის გაყიდვას კი არ ედავება, არამედ იმას განიხილავს, ამ **პოლიტიკურ ლეშს** სასჯელი უნდა გადაუვადდეს თუ არა. უფრო მეტიც, **მოღალატე მთავარსარდალი,** რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომი პროვოკაციულად წამოიწყო და კოდორისა და ქსნის ხეობები ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარა, არცერთი ამ დანაშაულის გამო არ იდევნება. **რომ არა ლევან მამალაძის მიერ ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეტანილი განცხადება 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ ჩადენილ შესაძლო სახელმწიფო ღალატზე გამოძიების დაწყების შესახებ, შოთაძის უწყებას ასეთი რამ არც კი დაესიზმრებოდა, რადგან ზურაბ ადეიშვილის ჯალათების უმეტესობა, რომლებმაც სააკაშვილს ომი და უბედურება გაუკანონეს, ახლაც სისტემაში არიან და ხელსაყრელ დროს ელოდებიან,** რათა სააკაშვილსა და მის ხროვას კვლავაც ყურმოჭრილ მონებად დაუდგნენ.

ცხადია, **მოღალატე ივერი მელაშვილი მოღალატე სააკაშვილის** მოსანახულებლად და მხარდასაჭერად გასწევდა, აბა, ქართველ პატრიოტებთან და სამშობლოსთვის წამებულ ბიჭებთან ივერისა და მისნაირებს ან რა ხელი აქვთ და ან რა ესაქმებათ?

ისევე, როგორც **ელისტრაკო კილაძე** შემოიხუნა **ნაძირალა თემურ ალასანიამ** და ერთხანს ბეკინა სამანიშვილივით და ორნაქმარები ელენესავით დადიოდნენ ჩახუტებულები, სწორედ ისე და იმ პრინციპით, **ერთ დროს ჩემთვის სათაყვანებელი შალვა ხაჭაპურიძე, რომელიც გარყვნილ ნაპრეზიდენტალს სტრასბურგში უჩიოდა და ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში ხელს ადებდა, წმინდა ბასილივით შეიმოსა და სააკაშვილს ადვოკატად დაუდგა!**



ივერი მელაშვილი





## შალვა, რაღა სააკაშვილისა და გიული ალასანიას გამომცხვარ ფეკლერს ჩაასე კბილი,

### არ ჯობდა, ძვირფასი დედის — ქალბატონი მაგულის ან დიდებული მეუღლის — ქალბატონი დიანას გამომცხვარი ხაჭაპური გეჭამა?

შალვა, რაღა მაინცდამაინც **ვალერი გელბახიანისა** და **ელისტრაკო კილაძის** გზას დაადექი და სააკაშვილისა და გიული ალასანიას გამომცხვარ **ფეკლერს** ჩაასე კბილი, არ ჯობდა, ძვირფასი დედის — **ქალბატონი მაგულის** ან დიდებული მეუღლის — **ქალბატონი დიანას** გამომცხვარი ხაჭაპური გეჭამა?

**შალვა, გენიალური ქართული ფილმის „არაჩვეულებრივი კაცის“ ერთი გმირისა არ იყოს — შენში წმინდა აღარაფერი დარჩა?**

**ივერი მელაშვილი** სააკაშვილის სასამართლოზე მივიდეს კი არა, ეშმაკს დაუდგება მსახურად, ოღონდაც მართლმსაჯულებას გადაურჩეს და ციხეს თავი დააღწიოს!

**არ გამიკვირდება, თუ სულ მალე საფლავებიდან ყველა ის ტურა-მელა ამოძვრება, რომლებმაც სხვადასხვა დროსა და ეპოქაში საქართველო არაერთგზის დააქციეს და სააკაშვილის სასამართლო პროცესს ივერი მელაშვილთან ერთად დაესწრებიან — კახაბერ ყორღანაშვილი, იასე ფალავანდიშვილი, სერგო ორჯონიკიძე, ედუარდ შევარდნაძე** და **შადიმან ბარათაშვილი!**

დარწმუნებული ვარ,

**თუ 2008 წლის აგვისტოს ომზე გამოძიება დაიწყო, ჩვენ დავინახავთ სახელმწიფო ღალატის ისეთ მასშტაბებს, შესაძლოა, კახაბერ ყორღანაშვილი და სერგო ორჯონიკიძე შუა სხდომაზე წამოხტნენ და სააკაშვილს დედა აგინონ – ეს რა გიქნია, შე გათახსირებულოო!**

მანამდე კი თვალი მივადევნოთ **მოღალატე ივერი მელაშვილის** ვიზიტებს **მოღალატე სააკაშვილის** სასამართლო პროცესებზე და არასოდეს დაგვავიწყდეს, რომ მოღალატედ გარემოებათა გამო არ ხდებიან, **მოღალატედ** იბადებიან!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ცხოვრების მანძილზე, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ხელისუფლების სათავეში იყო, **სააკაშვილმა საკმაოდ დიდი ბოროტება დატოვა,** რასაც გარკვეულწილად იზიარებს არამარტო ქართველი საზოგადოება, არამედ საერთაშორისო დონეზეც ცნობილია.

**მიხეილ სააკაშვილი** ისეთ სიაში იმსახურებს მოხვედრას, რომელიც იმ ადამიანებს გააერთიანებს, რომელთაც **წამებასა და ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევაში მიიღეს მონაწილეობა.**

„ახალი თაობა“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



**სააკაშვილს** როცა უნდა, **ქართველთა პრეზიდენტია,** როცა უნდა, **უკრაინელია.** გმირი კაცი ერშიც გმირია, ბრძოლაშიც გმირია, ციხეშიც გმირია.

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



უნდა უყუროთ, **როგორ აგინებენ ნაცმოძრაობის წევრები ერთმანეთს.** საღამოს უნდა ჩართოთ ტელევიზორი და მოისმინოთ მათი განცხადებები, როგორც „შაბათის შოუ“, გასართობი. **ვაშაძეს** რაც შეეხება, 4 კაცი ჰყავდა პარტიაში და ორი შემორჩა. **„ტროიკის“ მიერ მოწყობილი რევოლუცია არ გაიშვა!**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი კონფლიქტოლოგი*



დღეს ოპოზიცია ძალიან სუსტია. **ერთადერთი ძალა, რომელიც აძლიერებს „ქართულ ოცნებას“, ეს არის სუსტი ოპოზიცია.** მარტო სუსტი ოპოზიციის არსებობა არის გარანტორი იმისა, რომ **„ქართული ოცნება“ იქნება დიდხანს მმართველობაში.**

„ახალი თაობა“



# მირიან მირიანაშვილი:

# „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოს პრეზიდენტად მოგვივლინა არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ თემურ ალასანია!



**„სწორედ ალასანიას „ფეესბეშნიკური ბრიგადა“ მართავდა საქართველოს 9 წლის განმავლობაში, სააკაშვილი კი აბსოლუტურად ნომინალური ფიგურა იყო!“**

***— რას იტყვის რუსეთი? რა რეაქცია ექნება რუსეთს? იქნებ ისევ რუსეთმა არ ჩათვალოს საჭიროდ სააკაშვილის უკრაინიდან საქართველოში დაბრუნება? — ღელავს და ნერვიულობს გიული ალასანია იმ ფარულ აუდიოჩანაწერში, რომელიც გასულ კვირას გავრცელდა. ნაცბელადის დედის ასეთი საუბარი ბევრს გაუკვირდა — როგორ, სააკაშვილი რუსეთის კაციაო? სამაგიეროდ, ბევრს კიდევ უფრო გაუმყარდა ეჭვი და წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სააკაშვილი და ნაცმოძრაობა ყოველთვის კრემლის ინტერესებს ემსახურებოდნენ და რუსული ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედებდნენ. ამ თემაზე ვესაუბრებით ეროვნული მოძრაობის ვეტერანს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილ წევრსა და 1991 წლის 31 მარტს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერენდუმის ერთ-ერთ ორგანიზატორს მირიან მირიანაშვილს, რომელმაც 1999 წელს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დააარსა:***

— სააკაშვილისა და მისი ოჯახის რუსეთთან ახლო ურთიერთობის შესახებ ზედმიწევნით კარგად ვიცოდი ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, როცა **მიხეილ სააკაშვილსა** და **ზურაბ ჟვანიასთან** კონფლიქტი მომივიდა მათ მიერ ჩემთვის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წართმევის გამო. შეგახსენებთ, რომ **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1999 წლის 12 ივნისს დავაარსე და მისი პირველი თავმჯდომარეც გახლდით 2001 წლამდე, შემდეგ კი უკანონო გზით, შიდა პარტიული გადატრიალების ფორმით, პარტია სააკაშვილმა წამართვა.** პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მაშინ სააკაშვილის უკან იდგა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე **ვლადისლავ სურკოვი**, რომლის კარიერული წინსვლა პუტინის კარზე სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც წარმატებით გაართვა თავი საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ ორგანიზებას.

**— მოიცადეთ... იმის თქმა გინდათ, რომ „ვარდების რევოლუცია“ რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული?**

— რა თქმა უნდა! როცა სააკაშვილი ჩემთან მოდიოდა და მთავაზობდა — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ჩემი გუნდით შემოვალო, მაჩვენა სია, თუ ვისი შემოყვანა სურდა პარტიაში. როცა ვუთხარი — **ვინც ამ სიაში გიწერია, ნახევარზე მეტი რუსული სპეცსამსახურების აგენტია-მეთქი,** მიპასუხა — **ეს სია სურკოვის მიერ არის ვიზი-**



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი „ვარდების რევოლუციონერებთან“ თბილისში, რუსთაველის გამზირზე. 2003 წლის 23 ნოემბერი.**

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 1999 წლის 12 ივნისს დავაარსე და მისი პირველი თავმჯდომარეც გახლდით 2001 წლამდე, შემდეგ კი უკანონო გზით, შიდა პარტიული გადატრიალების ფორმით, პარტია სააკაშვილმა წამართვა!“**

## კვირგვინოსნები

**გიგიშა შარაშიძე**

*გია გაჩეჩილაძის (უცნობი) სიძე*



დაპირისპირება ჩემსა და **ვანო მერაბიშვილს** შორის 2 იანვარს ვაკეში, ერთ-ერთ აფთიაქში მოხდა. დაპირისპირებასაც ვერ დავარქმევ, იქიდან გამომდინარე, რომ **ვანო მერაბიშვილი პირველივე წამებიდან გაიქცა.** იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების დიდი ინტერესია, მე ჩავთვალე თავი ვალდებულად, რომ **არ ვიმალები, არც გამოძიებას ვემალები და არც პასუხისმგებლობას გავურბივარ.** თუ საჭირო გახდა, დანარჩენზე პასუხს სამართალდამცველ ორგანოებს გავცემ.

„ახალი თაობა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**

*ექსპერტი*



წლის დასაწყისში ქვეყანაში ერთადერთი პასუხგაუცემელი კითხვა გვაქვს — **ეტკინა თუ არა საჯდომი ვანო მერაბიშვილს?** აბა წარმოიდგინეთ, როგორია, **კაცს რეჟიმის „ხერხემალს“ ეძახდნენ და ჩვენება უნდა მისცეს, უკანალი მეტკინაო!**

„იმედინიუსი“

**ია მეტრეველი**

*სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა*



**გიგიშა არის ბუტას ბავშვობის მეგობარი** და გასაკვირი ის კი არ არის, **მერაბიშვილის** დანახვაზე რომ ემოციები ვერ შეიკავა, გასაკვირი ის არის, **ამდენი ტრაგედიის ჩამდენი ნაცები ხალხს როგორ ენახვებიან!**

„იმედინიუსი“

**რომან გოცირიძე**

*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



სამწუხაროდ, ოპოზიციამ თავისი რესურსები სათანადოდ ვერ გამოიყენა. **ნაცმოძრაობა ამ ამბიდან გამარჯვებული რომ ვერ გამოვა, უკვე ცხადია.** მთავარია, საბოლოოდ არ დავმარცხდეთ.

„ახალი თაობა“

**რებული და მასში კორექტივებს ვერ შეიტანო!**

„ვარდების რევოლუციისათვის“ პოლიტტექნოლოგიური სცენარის შემუშავება მინდობილი ჰქონდათ რუს პოლიტოლოგებს — **სტანისლავ ბელკოვსკისა** და **გლებ პავლოვსკის,** რომლებიც მაშინ პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციაში მუშაობდნენ, დღეს კი ოპოზიციონერებად ითვლებიან. რევოლუციის წინა პერიოდში საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ **ევგენი პრიმაკოვის სიძე** — ქალიშვილის ქმარი და **იგორ ივანოვის ვაჟი,** რომლებიც სააკაშვილისა და მისი გუნდის რუსეთთან კომუნიკაციას კურირებდნენ.

**— იყო თუ არა ჩართული ამ პროცესებში მიხეილ სააკაშვილის დედის ძმა, საბჭოთა უშიშროების მაღალჩინოსანი თემურ ალასანია?**

— პუტინის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე **სურკოვთან** კავშირზე სწორედ **თემურ ალასანია** გავიდა და იგი ამას თავის დიდ მიღწევად თვლიდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, **რეალურად, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოს პრეზიდენტად მოგვივლინა არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ თემურ ალასანია!** სწორედ ალასანიას „ფეესბეშნიკური ბრიაშკა“ მართავდა საქართველოს 9 წლის განმავლობაში, სააკაშვილი კი აბსოლუტურად ნომინალური ფიგურა იყო!

**— თუმცა, აშკარაა, რომ სააკაშვილს თავიდანვე პროდასავლელი პოლიტიკოსის იმიჯი ჰქონდა!**

**– იმისათვის, რომ სააკაშვილის რუსული კავშირები კარგად შეენიღბათ და მისი ე.წ. ოპერატიული გადაფარვა მოეხდინათ, კრემლის პოლიტტექნოლოგებმა – იმავე სურკოვმა, ბელკოვსკიმ, პავლოვსკიმ და სხვებმა შეთხზეს პროპაგანდისტული მითი სააკაშვილის პრო-დასავლელობის შესახებ.**

საამისოდ რუსეთის გავლენის აგენტებმა ამერიკასა და ევროპაშიც სერიოზული მუშაობა გასწიეს და დასავლეთის პრესაში სააკაშვილის პროდასავლელ პოლიტიკოსად წარმოჩენისათვის დიდი ფული დახარჯეს. **რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რომ ყველა ბოროტება, რასაც მის მიერ ხელდასხმული სააკაშვილი საქართველოში ჩაიდენდა, ამერიკისა და დასავლეთის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული.** ეს კლასიკური სქემაა, რომლითაც რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში მუშაობს და შედეგსაც აღწევს. თუნდაც საქართველოს მაგალითი ავიღოთ, სადაც ნაციონალური მოძრაობა ბევრს დღემდე პროდასავლური ძალა ჰგონია. **ჩვენი სოციუმის ერთ ნაწილს, რომელიც რუსული პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, იმის გაგონებაც არ სურს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში რუსეთმა დასვა და დღემდე იყენებს მას საკუთარი ინტერესების გატარების ინსტრუმენტად.**


ვლადისლავ სურკოვი და ვლადიმერ პუტინი

## „სააკაშვილის უკან იდგა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვლადისლავ სურკოვი, რომლის კარიერული წინსვლა პუტინის კარზე სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც წარმატებით გაართვა თავი საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ ორგანიზებას!“


გლებ პავლოვსკი

„ვარდების რევოლუციისათვის“ პოლიტტექნოლოგიური სცენარის შემუშავება მინდობილი ჰქონდათ რუს პოლიტოლოგებს — სტანისლავ ბელკოვსკისა და გლებ პავლოვსკის, რომლებიც მაშინ პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციაში მუშაობდნენ!“


სტანისლავ ბელკოვსკი

## „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი უკრაინიდან საქართველოში სწორედ რუსეთმა შემოაპარა აქ პოლიტიკური სიტუაციის ესკალაციისა და არეულობის ორგანიზების მიზნით!“

**— იმავე გიული ალასანიას ფარული ჩანაწერიდან გამომდინარე, ბევრმა ჩათვალა, რომ უკრაინიდან საქართველოში სააკაშვილის ტრაილერით შემოპარება, რბილად რომ ვთქვათ, რუსეთის მონაწილეობის გარეშე არ მომხდარა. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?**

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი უკრაინიდან საქართველოში სწორედ რუსეთმა შემოაპარა აქ პოლიტიკური სიტუაციის ესკალაციისა და არეულობის ორგანიზების მიზნით! მართალია, სააკაშვილი გაუწონასწორებელი და ფსიქიკურად არამდგრადი პიროვნებაა, მაგრამ იმდენად შტერი და სულელი ნამდვილად არ არის, რომ საქართველოში მხოლოდ **მელიას, ხაბეიშვილისა** და ვიღაც-ვიღაცების იმედად ჩამოსულიყო — არიქა, მრავალრიცხოვან მიტინგს დამახვედრებენ, პარლამენტის შენობაში შევიჭრები და 2003 წლის რევოლუციას გავიმეორებო!

**— ე.ი. გადაჭრით აცხადებთ, რომ ნაცმოძრაობა რუსული ძალაა?**

**– ნაცმოძრაობა არის არამხოლოდ რუსული ძალა, არამედ მრავალჯერადი მოხმარების „მეხუთე კოლონა“, რომელიც, ოღონდ კი ფული გადაუხადე და ანტიქართულ საქმეში პირადი სარგებლის მიღების პერსპექტივა დაანახე, ყველანაირ ბოროტებაზე მოაწერს ხელს!**

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას თავიდანვე უნდა ეზრუნა იმაზე, რომ ეს „მეხუთე კოლონა“ რაც შეიძლება ნაკლებგავლენიანი ყოფილიყო. ნაცმოძრაობის პოლიტიკურ თამაშში დატოვება ძალიან საშიში იყო და დღეს ვხედავთ, რომ ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ძალის არმოთოკვა საქართველოს ძალიან ცუდად დახვდა წინ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

*თემის გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ დამფუძნებელი*



ნაციონალურ მოძრაობაში დაწყებულია **თვითლიკვიდაციის პროცესი,** ამ პარტიას არათუ ქვეყნის მართვა, არამედ საკუთარი პარტიის მართვა აღარ შეუძლია. საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას ეჭვი აღარ ეპარება, რომ დიახ, იყო და **ისევ არსებობს საფრთხე საქართველოში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით — ანდრეი კასიანოვის** განცხადება **მეორე ფრონტს** ნიშნავს!

„რეზონანსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**გურამ მაჭარაშვილი** და მისი ჯგუფი არის **„ჩხრიალა გველის“** კუდი, რომ კუდზე გადავიტანოთ ყურადღება და თავი გადარჩეს — **თავი არის „ქართული ოცნება“!**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



სირცხვილია უკრაინისთვის „ბუკის“ სისტემების მიცემაზე უარის თქმა! **პრეზიდენტ იუშჩენკოს** დახმარებით ჩვენ ისინი მინიმალურ ფასში ვიყიდეთ თავის დროზე.

„რეზონანსი“

**ვახო სანაია**
*ჟურნალისტი*



**ახია მიშაზე,** ფული, მიწები, მანქანები, პრივილეგიები — **ყველაფერი აჩუქა საპატრიარქოს და ახლა მოსწერეს, შეეგუე მანდ ყოფნას** და მეტს ნუღარ მოგვწერო.

„იმედინიუსი“

**დავით ნემსაძე**



**გლდანის ციხიდან კუბოების გამოტანას ვერ აუდიოდნენ...** ამ მკვლელობების საქმეები გამოუძიებელია და ვინც ეს მკვლელობები შეუკვეთა, შეასრულა, ის ხალხი დაუსჯელია და ლორდებივით ცხოვრობენ... **ამათგან ბევრი მკვლელობის შემკვეთი თავად სააკაშვილი იყო.**

„ალია“

*თემის დასაწყისი მე-4 გვერდზე*

***რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანაწერში, რომელიც მანამდეა გაკეთებული, სანამ სააკაშვილი ელგუჯა ცომაიას ტრაილერით უკრაინიდან საქართველოში შემოიპარებოდა, ნაცბელადის დედა გიული ალასანია ამბობს:*** *„მთავარი ის არის, რუსეთი რას ფიქრობს ამ მომენტში. რუსებსაც არ უნდათ ეს ივანიშვილი, ხომ ჩანს ახლა, ამ მასალებს რომ აწვდიან ამ მელაძეს და ეს მელაძე ჩვენ გვაჩვენებს, ამას ხომ რუსები აწვდიან... ამ სიტუაციაში მე არ ვიცი, ჩემს შვილს აქ რა დახვდება. შეიძლება, ისევ რუსეთმა არ ჩათვალოს საჭიროდ“.* ***გიული ალასანიას ეს სიტყვები ბევრმა იმის კიდევ ერთ დადასტურებად მიიჩნია, რომ სააკაშვილი რუსულ თამაშს თამაშობს და უკრაინიდან საქართველოში მისი შემოპარებაც რუსეთის სპეცსამსახურების ჩართულობით მოხდა. ამ საკითხზე ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას ვესაუბრებით:***



# „სააკაშვილი რუსეთზე რომ მუშაობს, ამის შესახებ ჯერ კიდევ 2007 წლიდან ხმამაღლა ვსაუბრობ!“

## გოგა ხაინდრავა:

# „კაგებეს“ ოფიცრის – თემურ ალასანიას გაზრდილი სააკაშვილი, აბა, სხვა ვინ უნდა გამოსულიყო, თუ არა რუსული სპეცსამსახურების მარიონეტი?!

— გიული ალასანიას ფარულ ჩანაწერში ჩემთვის ახალი არაფერია — სააკაშვილი რუსეთზე რომ მუშაობს, ამის შესახებ ჯერ კიდევ 2007 წლიდან ხმამაღლა ვსაუბრობ! „კაგებეს“ ოფიცრის — **თემურ ალასანიას** გაზრდილი სააკაშვილი, აბა, სხვა ვინ უნდა გამოსულიყო, თუ არა რუსული სპეცსამსახურების მარიონეტი?! საერთოდ, საბჭოთა უშიშროებას საკუთარი კადრების ორი დიდი სამჭედლო ჰქონდა — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც **ლიაკა ხოშტარია** სწავლობდა და კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, რომელიც **სააკაშვილმა** დაამთავრა. აღარაფერს ვამბობ **ვანო მერაბიშვილზე,** რომელიც ყოველთვის რუსეთის დავალებებს ასრულებდა საქართველოში. იგი რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებს მინსკში ხვდებოდა და იქ იღებდა ინსტრუქციებს.

**— ის, რასაც ფარულ ჩანაწერში გიული ალასანია ლაპარაკობს, ნიშნავს თუ არა იმას, რომ უკრაინიდან საქართველოში სააკაშვილის ტრაილერით შემოპარება რუსული სპეცსამსახურების ნახელავია?**

— რა თქმა უნდა, **ამ ყველაფერში რუსული სპეცსამსახურების ხელი ურევია!** როგორ ფიქრობთ, მოქალაქეობის არმქონე, უპასპორტო სააკაშვილს ვინ უწყობდა ხელს, რომ ევროპაში ებოგინა, მერე კი პოლონეთის ტერიტორიიდან უკრაინის საზღვარი „შტურმით“ გადაელახა? **რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს სპეცსამსახური თუ არ გიმაგრებს ზურგს, ევროპაში ასე არავინ გაპარპაშებს!**

**— თუმცა, ბევრს დღემდე ჰგონია, რომ სააკაშვილს ამერიკისა და დასავლეთის სპეცსამსახურები უმაგრებენ ზურგს!**

— სააკაშვილი მრავალჯერადი გამოყენების აგენტია და ვინც ფულს გადაუხდის, ყველას მოემსახურება — რუსეთსაც, ამერიკასაც, უკრაინასაც, პოლონეთსაც, თურქეთსაც, აზერბაიჯანსაც... მთავარია, დოლარი ან ევრო დაანახონ! მითუმეტეს, რომ დღეს დასავლური სამყარო მთლიანად დაალპო ქრთამმა და ე.წ. ლობიზმმა. **სააკაშვილის პატიმრობიდან დახსნის ოპერაციაც, რომელშიც ევროპარლამენტარები, კონგრესმენები, სენატორები, უცხოელი ვაი-ექსპერტები და ვაი-ექიმები მონაწილეობენ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დღევანდელ მსოფლიოში აბსოლუტურად ყველაფერი იყიდება — ღირსებაც, სინდისიც და სახელმწიფოებრივი ინტერესიც!**



თემურ ალასანია და მიხეილ სააკაშვილი

**„სააკაშვილი მრავალჯერადი გამოყენების აგენტია და ვინც ფულს გადაუხდის, ყველას მოემსახურება!“**

სწორედ ევროპული ბიუროკრატიის ასეთი გახრწნისა და დეგრადაციის შედეგია ის არნახული აგრესიაც, რომელსაც რუსეთი ევროპის, ამერიკისა და ნატოს წინააღმდეგ ახორციელებს, უკრაინა კი, უბრალოდ, პოლიგონად არის გამოყენებული.

**— სხვათაშორის, ზელენსკიმ განაცხადა — რუსული პროპაგანდის ნარატივია იმაზე საუბარი, თითქოს რუსეთი უკრაინას კი არა, ნატოს ებრძვისო!**

— ზელენსკის ადგილი პოლიტიკურ სცენაზე არ არის, მისი ადგილი ესტრადის სცენაზეა და წინ ელოდება პასუხისგება იმის გამო, რაც უკრაინას დამართა! **აღარაფერს ვამბობ პოდოლიაკებზე, არესტოვიჩებსა და გონჩარენკოებზე, რომლებიც საქართველოს დაუფარავი მტრები არიან!** და კიდევ, საქართველოში მოქმედი ყველა ის პოლიტიკური პარტია, ტელესაროსკიპო, არასამთავრობო ორგანიზაცია და ვაიექსპერტი, ვინც ამ პოდოლიაკებს, არესტოვიჩებს, არახამიებს, დანილოვებსა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართულ მამაძაღლებს უჭერს მხარს, ასევე ქართველი ხალხის მტერია!

**დარწმუნებული ვარ, პოდოლიაკ-არესტოვიჩებს უკრაინელი ხალხი გამოუტანს განაჩენს, საქართველოში კი მათ მიმდევრებს ქართველი ხალხი მიხედავს!**

**— ნაცმოძრაობის მხარდამჭერი „ბოევიკები“ საქართველოს ხელისუფლებას უკრაინიდან ვიდეომიმართვით რომ ემუქრებიან — აფხაზეთიდან ტანკებით შემოვალთ და გადაგივლითო, ამაზე რას იტყვით?**

— რისი „ბოევიკები“ არიან ეს ფარჩაკები! აკი, ისევ მაგათიანმა ჩაუშვა — უკრაინაში საერთოდ არ იმყოფებიან და ვიდეო საფრანგეთიდან გაავრცელესო! ან აფხაზეთიდან როგორ აპირებენ ტანკებით შემოსვლას? გამოდის, რომ რუსული ტანკებით გვემუქრებიან!

ამერიკელი გენერალი **ბენ ჰოჯესი** რომ იყო ჩამოსული, მაგანაც ჭკუა დაგვარიგა — უკრაინის გვერდით დადექით და კრემლს არ მიებათო! კრემლთან მიბმულები იმ ვაი-ოპოზიციაში მოიკითხოს, რომლის წარმომადგენლებსაც თბილისში დიდი ამბით შეხვდა! ამ თავმოყვარეობადაკარგულ გენერალს, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ მისი ქვეყანა ცოტა ხნის წინათ ავღანეთიდან პორტ-არტურის ცხენივით გამოიქცა და 86 მილიარდის ღირებულების იარაღი თალიბებს დაუტოვა!

**— ნაციონალური მოძრაობის შიგნით ატეხილ კომპრომატების ომზე რა აზრის ხართ?**

— ნაციონალური მოძრაობა და მთელი ეს ვაი-ოპოზიცია რასაც წარმოადგენს, ძალიან კარგად სცოდნია თვით **გიული ალასანიასაც,** რომელიც ფარულ ჩანაწერში მათ პარაზიტებად მოიხსენიებს! **რაც შეეხება სააკაშვილს, იგი ყველაზე უბედური კაცია, რადგან ყველამ გაყიდა, აღარავის აღარაფერში სჭირდება და მხოლოდ მის უბედურებაზე ცდილობენ ხელის მოთბობას!** მაინც რამდენი ხანი შეიძლება, ბერონ ეს საპნის ბუშტი? ძალიან მალე გასკდება და მე თუ მკითხავთ, უკვე გამსკდარიც არის!



**„ვანო მერაბიშვილი ყოველთვის რუსეთის დავალებებს ასრულებდა საქართველოში. იგი რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებს მინსკში ხვდებოდა და იქ იღებდა ინსტრუქციებს!“**

*ესაუბრა*
*გიორგი ძაძამია*

## ქვირგვინოსნები

**ნოდარ ყარალაშვილი**
*უკრაინაში მებრძოლი ნაცმოძრაობის მხარდამჭერი*



**საქართველოში შემოვალ ტანკებით, შემოვალ აფხაზეთის მხრიდან.** იმიტომ გითხარით, **გადაგივლით, დრო მოვა, გადაგივლით.** არც პური არ გექნებათ და ფქვილი არ გექნებათ, მაშინ დაიკიდეთ თქვენ ეგ ცოცხები და გაითხარეთ ტრ...ში და იარეთ, ბიძინას რუსისტებო. **თქვენი ღვინო ვის რა ჩემ ფეხებად უნდა, ბოლო-ბოლო კახელებო, რა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ბენ ჰოჯესისაც** მესმის, გადამდგარია, პენსიაზე გაშვებული. ოჯახი რამით უნდა არჩინოს, ამიტომ კარგი საშოვარი ნახა ჩვენი **„უსამშობლო ნაძირალების“** დაფინანსების ხარჯზე!

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



თუ ოპოზიცია წელს ვერ მოახერხებს სათანადო პოლიტიკური სახის მიღებას, რათა ამომრჩევლისთვის მისაღები გახდეს, მაშინ არანაირი შანსი იმისა, რომ **2024 წლისთვის ხელისუფლება შეიცვლება ან თუნდაც კოალიციური ხელისუფლება გვეყოლება,** თითქმის არ არსებობს.

„კვირის პალიტრა“

**კირილე**
*რუსეთის პატრიარქი*



**უკრაინელები და რუსები ერთი ერია!**

„რეზონანსი“




***საზოგადოებრივი პლატფორმა „დაიცავი მშვიდობა“ გენერალური პროკურატურისაგან ითხოვს, დაიწყოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამოძიება და დაადგინოს, რამ გამოიწვია საქართველოს მძიმე მარცხი რუსეთთან 5-დღიან ომში? ამ მიზნით მთავარ საგამოძიებო უწყებაში სპეციალური განცხადება შეიტანა ქვემო ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა და „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ლევან მამალაძემ, რომელიც ჩვენთან საუბარში აცხადებს:***

— საქართველოს გენერალური პროკურატურისაგან ვითხოვთ, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხების მიზეზები გამოიძიოს და დაადგინოს იმ დანაშაულებრივი გარიგების დეტალები, რომელიც რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის არსებობდა!

**— მიგაჩნიათ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთა გარიგების შედეგად გაჩაღდა?**

— უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხება იმ დანაშაულებრივი გარიგების შედეგი იყო, რომელიც სააკაშვილს პუტინთან ჰქონდა დადებული! **სააკაშვილის რეჟიმმა რუსეთს ყველანაირი წინაპირობა შეუქმნა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოეხდინა და ეღიარებინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით ურთულეს პრობლემებს გვიქმნის ტერიტორიების დაბრუნების საქმეში.** სააკაშვილსა და კრემლს შორის შემდგარი დანაშაულებრივი გარიგების შედეგად 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს არამხოლოდ ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა ჩააბარა, არამედ ხელუხლებლად გადასცა იმავე კოდორის ხეობაში, ასევე ფოთსა და სენაკში კონცენტრირებული, ასეულობით მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა. არადა, ომის კანონია — როცა მოწინააღმდეგის მოგერიებას ვერ ახერხებ, იარაღი უნდა გააფუჭო ან გაანადგურო!

**— ანუ დიდძალი შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა რუსებს შეგნებულად ჩაუგდეს ხელში?**

— დიახ, **სამხედროებს პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან, კერძოდ, მთავარსარდლისაგან ჰქონდათ ბრძანება, რომ მტრის ხელში მოსახვედრად განწირული შეიარაღება და ტექნიკა არ გაენადგურებინათ.** მოკლედ, სააკაშვილის რეჟიმმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ 2008 წლის ომში საქართველო დამარცხებულიყო და ქვეყანას უმძიმესი დარტყმა მიეღო!

პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხების შემდეგ რატომ ეპატიჟებოდა სააკაშვილი რუს ბიზნესმენებს, რატომ გადასცა რუსულ სახელმწიფო კომპანიებს სტრატეგიული ობიექტები და, პრაქტიკულად, მთელი ქართული ენერგეტიკა რატომ მიაბა ოკუპანტ ქვეყანას? ცხადია, **ესეც სააკაშვილ-პუტინის გარიგების** ნაწილი იყო, მაგრამ გამოძიებამ ყველაფერს ზუსტი და კონკრეტული სახელი უნდა დაარქვას!

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, გასაგებია, რა სარგებელი მიიღო რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომით, მაგრამ სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ როგორღა იხეირეს?**

— სააკაშვილს საქართველო არასოდეს არაფრად უღირდა და მუდამ მზად იყო, სხვების ინტერესების სამსხვერპლოზე მიეტანა, თუმცა, მან და მისმა გარემოცვამაც 2008 წლის აგვისტოს ომით მილიარდები იშოვეს. მაგალითად, 2,5 მილიარდ დოლარზე მეტი, რომელიც დასავლეთმა საქართველოში დევნილების პრობლემების მოსაგვარებლად გამოყო, სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ჯიბეში ჩაიდეს, დევნილების სახლების აშენება კი სამშენებლო კომპანიებს „შეაწერეს“.



# ლევან მამალაძე:

# 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხება იმ დანაშაულებრივი გარიგების შედეგი იყო, რომელიც სააკაშვილს პუტინთან ჰქონდა დადებული!

## „სააკაშვილის რეჟიმმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ 2008 წლის ომში საქართველო დამარცხებულიყო და ქვეყანას უმძიმესი დარტყმა მიეღო!“

ახლა უკრაინის ხელისუფლება რომ გვეუბნება — 2008 წელს ჩვენ მიერ ნაჩუქარი „ბუკის“ სარაკეტო კომპლექსები უკან დაგვიბრუნეთო, სინამდვილეში, საქართველოსთვის უკრაინელებს არაფერი უჩუქებიათ! სააკაშვილის ხელისუფლებამ დიდი ფული ჩამოწერა და უკრაინიდან ისეთი „ბუკები“ შემოიტანა, რომლის ომში გამოყენებაც შეუძლებელი იყო. როგორც პროფესიონალი სამხედროები და თვითმხილველები გვეუბნებიან, აგვისტოს ომში ჩვენმა მებრძოლებმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი არა „ბუკით“, არამედ მიწა-ჰაერის ტიპის სარაკეტო დანადგარით ჩამოაგდეს. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსები გაოცებული იყვნენ — ეს შეთანხმების ნაწილი არ ყოფილა და ქართველებმა თვითმფრინავი რატომ ჩამოგვიგდესო?! ერთი სიტყვით, ამ ყველაფერს გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაცია სჭირდება!

**— ფიქრობთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხების გამო სააკაშვილს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს?**

— დღევანდელი ხელისუფლების სისუსტეა, რომ 2008 წლის ომში სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი თავიდანვე არ გამოკვეთა, მაგრამ ეს შეცდომა ახლა მაინც უნდა გამოსწორდეს. **სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს არამხოლოდ იმის გამო, რომ ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი გაფლანგა, არამედ, უპირველესად, იმის გამო უნდა დაისაჯოს, რომ რუსეთთან დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა და ქვეყანა დამარცხებისათვის წინასწარ განწირულ ომში ჩართო.**

მიგვაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით — **საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა; ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულების დადება ან მოლაპარაკების წარმოება; საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა; უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება!**

ასეთ დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია და მათ ჩამდენებს ღრმა სიბერეშიც კი ასამართლებენ! სააკაშვილი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რათა საქართველოს ყველა პოტენციურმა ხელისუფალმა იცოდეს, რომ ქვეყნის ღალატი და გაყიდვა არავის შერჩება!

**— და მაინც, რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს დამარცხების მიზეზთა გამოძიება დაიწყოს?**

— ჩვენი საზოგადოებრივი პლატფორმა „დაიცავი მშვიდობა“ ყველაფერს გააკეთებს, რომ გამოძიების დაწყებას მივაღწიოთ. საზოგადოებრივ კომისიასაც შევქმნით, რომელშიც გამოცდილი იურისტები, სამხედრო საქმის სპეციალისტები და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი მოწმეები შევლენ. პროკურატურას ჩვენ ხელთ არსებულ მასალებსაც მივაწვდით და საზოგადოებრივ კონტროლსაც დავაწესებთ, რათა გამოძიება ობიექტურად წარიმართოს.

**— ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული ძალები აცხადებენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების მოთხოვნა და სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე საუბარი „რუსული ნარატივია“. რას უპასუხებთ?**

— პირდაპირ ვაცხადებ — ვინც 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს მარცხის მიზეზების გამოძიებას ეწინააღმდეგება და არ უნდა, რომ კრემლთან სააკაშვილის დანაშაულებრივ გარიგებას ნათელი მოეფინოს, ყველა რუსეთის სპეცსამსახურებზე მუშაობს!

ასე რომ, **ჩვენ მიერ პროკურატურაში შეტანილი განაცხადის კვალდაკვალ, ლუსტრაციის პროცესსაც ვიხილავთ, როცა რუსული „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები თავიანთ თავს გამოამჟღავნებენ!**

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ვერცერთი პარტია, მათ შორის, „ქართული ოცნება“ მომავალ პარლამენტში უმრავლესობით ვერ მოვა, ეს გამორიცხულია. ასე რომ, **მივდივართ კოალიციური მთავრობისკენ**, სააკაშვილის მობრუნება ქართულ პოლიტიკაში კი დამთავრებულია.

„რეზონანსი“

**დათო ლომთათიძე**
*ექსპარლამენტარი*



ჩვენ რუსეთთან პირდაპირ ომში ვართ. ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია. **ის სახელმწიფოები, რომლებიც უკრაინას ეხმარებიან, რუსეთთან ამ ტიპის დაპირისპირებაში არ იმყოფებიან.** ეს არის ძალიან სერიოზული ფუნდამენტური სხვაობა.

„ახალი თაობა“

**დემურ გიორხელიძე**
*ანალიტიკოსი*



**ბაქო-ჯეიჰანის** ნავთობსადენი როცა კეთდებოდა, **შევარდნაძე** არაერთხელ იმყოფებოდა ამერიკაში ავადმყოფობის მოტივით, სინამდვილეში, **ბაქო-ჯეიჰანისთვის** იყო ჩასული. ახლაც, როცა **ანაკლიის მასშტაბურ პროექტს** ახორციელებს ჩვენი ხელისუფლება, ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება. ჩინეთის, ყაზახეთის, აღმოსავლეთის ქვეყნების დაინტერესება თუ არ იქნა, მაშინ **აგონ ანაკლიის პორტი, დასხდნენ და ითევზაონ!**

„FOR.GE“

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს“ მდივანი*



**ანაკლიის პორტის პროექტში** სახელმწიფოს მიერ 300 მილიონი დოლარის ინვესტირება ფანტასტიკის სფეროა — **სადაც სახელმწიფოს 51 პროცენტი ექნება**, იქ არცერთი რეპუტაციული ინვესტორი არ შემოვა?

„ინტერპრესნიუსი“

ადეიშვილის ა-გინტურ-ა უნდა აილაგმოს!

# რატისაგან ველით პასუხს!

***საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე რაფინირებული ინტელიგენტი, განათლებული და გერმანული მექანიზმივით გამართული კაცია, რომლის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა მალხაზ ურთმელიძემ წინა კვირას ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა სასამართლო პროცესზე სააკაშვილის მიერ დაქირავებული ამერიკელი ექსპერტი და ქართველი ადვოკატები ისე ააბურთავა, როგორც 1893 წლის 22 დეკემბერს მუშთაიდის ბაღიდან გაშვებულმა აეროსტატმა კახეთიდან ჩამოყვანილი სახედარი.***



**როგორც მთელ საქართველოს, ისე ბატონ რატის და მთელ მის უწყებას, უპირველესად, შობა-ახალ წელს ვულოცავთ და ვუსურვებთ, რომ 2023 წელს იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარე ნოტარიუსთა პალატიდან ერთხელ და სამუდამოდ გაეტანოთ ნაგავი, რომელიც დიდი ხანია, ყარს და რომელსაც ნუნუ გინტური ჰქვია!**

ეტყობა, ნოტარიუსად წოდებულ, მაგრამ სინამდვილეში **თაღლითობაში არაერთგზის მხილებულ ნუნუ გინტურს** ჰგონია, რომ მისი შავბნელი საქმეების შესახებ წერა ან მოგვყირჭდა, ანდა მელანი დაგვიშრა და ქაღალდი დაგველია!

დაე, ეგონოს!..

**ნუნუ გინტური** სახელმწიფო სამსახურსა და მით უფრო ნოტარიატში იგივეა, რაც წყეული **კოტე კუბლაშვილი** — სასამართლოში, **მეგის ქარდავა** — „კუდში", **ალექსანდრე მუხაძე,** ანუ იგივე „ქილერა" — ციხეში, **კეზერაშვილი** — თავდაცვაში, ხოლო **ვანო მერაბიშვილი** — შინაგან საქმეთა სამინისტროში!

**ამდენად, ისეთ პატიოსან და განათლებულ ახალგაზრდა კაცს, როგორიც საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძეა,** ჩირქს სცხებს ის ფაქტი, რომ **ადეიშვილის ღამის ნოტარიუსად წოდებული ნუნუ გინტური,** რომელიც ნაცსექტის რაიხსმარშლებსა და რიგით მწვალებლებს ღამის 3 საათზე მიტაცებულ ქონებებს უფორმებდა და უკანონებდა, დღეს მის თანამშრომლად ითვლება. ვიცით, რომ ამ საქმეში **რატი ბრეგაძე** უბრალოა, რადგან იუსტიციის ყოფილი მინისტრის **თეა წულუკიანის** მიერ სისტემიდან გაგდებულმა და ლიცენზიაჩამორთმეულმა **ნუნუ გინტურმა მოახერხა და ძველი გავლენების წყალობით** უზენაეს სასამართლოს მოსამართლეს ნოტარიუსად თავი აღადგენინა!

## ეს, ალბათ, იმაზე უფრო ძნელი იყო, ვიდრე ელისტრაკო კილაძის ან ბებერი იტალიელი პორნო-ვარსკვლავის – ჩიჩოლინას ქალწულობაში აღდგენა, მაგრამ გინტურმა ეს მოახერხა!

დიდი გაქნილი ქალია **ნუნუ გინტური** და ათასი ლეგენდა დადის მის მიერ უკანონოდ მიტაცებულ ქონებასა და სიმდიდრეზე! მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ 2008 წლის გაზაფხულზე **ვანო მერაბიშვილმა** ნუნუ გინტურის ოფისსა და მისი ბუღალტრის **მანანა მარგველაშვილის** სახლში ჩხრეკა ჩაატარა და პირდაღებული დარჩა. **ვანოს ქორ-მეძებრებმა სახლიდან და ოფისიდან ამოიღეს „შავი ბუღალტერიის" დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ნუნუ გინტურს, მანანა მარგველაშვილსა და ამხანაგობის თავმჯდომარე მიხეილ ხუციშვილს დიდძალი თანხები ჰქონდათ მიტაცებული. ვანომ და მისმა რაზმმა** გინტურის ოფისში ასევე იპოვა ვადაგასული, ნოტარიუსის ძველი ბეჭედი და იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მხოლოდ ერთ დღეში **ნუნუ გინტურმა** ბრილიანტის 16 ბეჭედი იყიდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ გინტურს თაღლითობით, ნაცებთან ჩახუტება-ჩასკვნით და სწოქალთან სადღაც, დასაკარგავში ინახებოდა! **ისიც უცნობია,** რა მიზანს ემსახურებოდა 2008 წლის გაზაფხულზე **ვანო მერაბიშვილის** მიერ **ნუნუ გინტურის ოფისსა და მანანა მარგველაშვილის სახლში ჩატარებული ჩხრეკა** და რა შავმა კატამ გაირბინა მაშინ გინტურსა და ნაცსექტის ბელადებს შორის, რომ **ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს** ასე უცერემონიოდ თავს დააცხრნენ!

და ათასგვარ მაქინაციებშია მხილებული, კიდევ ბევრჯერ გახდეს პატიოსანი ადამიანების გაუბედურებისა და ფინანსურად დაღუპვის მიზეზი!

**ბატონო რატი, როგორც ჩემთვის ცნობილია, გაზეთმა „ასავალ-დასავალმა" ამ დღეებში წერილი გაახლათ და აჯა**

რედ იმ ძველი ბეჭდის წყალობით, რომელსაც სადაც უნდა იქ ურახუნებს, ლონდონის ცენტრსა და ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროზე სრა-სახლები აქვს ნაყიდი.

**ცნობილია, რომ გინტურს ოქროებისა და ბრილიანტების ხსენებაზე ხერხემალი უცახცახებს, მაგრამ უცნობია, ჩატარებული ჩხრეკის დროს „ვანო ხერხემალმა" მიაკვლია თუ არა ნუნუ გინტურის განძს — სამლიტრიან და ორლიტრიან მინის ქილებს, რომლებიც ბრილიანტებითა და ოქროებით პირამდე იყო სავსე და ნუნუ გინტურის ბუღალტრის მანანა მარგველაშვილის მეგობარ**

## ბატონო რატი, ნუნუ გინტურის სახით თქვენ წინაშეა ყანდური, რომელიც სისტემას სახელს უტეხს!

აღარაფერს ვამბობ იმის შესახ, რომ **ნუნუ გინტური** არ მალავს და ყველგან იჭიმება — **აბა, გაბედონ და დამიჭირონ, სააკაშვილით დაწყებული, ნაცპროკურორ გიორგი ლევინიაშვილით დამთავრებული, ნაცებმა ყველა მიტაცებული ქონება თავიანთ ნათესავებზე სწორედ ჩემი მეშვეობით გადაიფორმეს და ყველაფერს დავამღერებო!**

**ბატონო რატი,** ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ნუნუ გინტურის სახით თქვენ წინაშეა ყანდური, რომელიც სისტემას სახელს უტეხს და ქმნის სერიოზულ საფრთხეს, რომ ნოტარიუსი, რომელიც თაღლითობასა

**გამოგიგზავნათ — ოფიციალურად მოგვწეროთ, თუ რის საფუძველზე აღუდგა ნუნუ გინტურს ნოტარიუსის ლიცენზია და ვინ იყო ის მოსამართლე, რომელმაც ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს მაშველი რგოლი გადაუგდო!**

ძვირფასო მკითხველო, მოკლედ, **რატისაგან ველით პასუხს!**

**როცა ამ პასუხს მივიღებთ, მერე იმ მოსამართლეს მივადგებით, რომელმაც გინტურს ნოტარიუსის მანტია მოასხა და ვკითხავთ — ნუნუ გინტურის შესაწყნარებლად და ნოტარიუსად აღსადგენად შემთხვევით ხელი ხომ არ წასცდა სამლიტრიან ან ორლიტრიან ქილაზე და ხომ არ ამოიღო იქიდან რამდენიმე ბრილიანტი? თუ ამოიღო, რამოდენა იყო ის ბრილიანტი — ატმიკურკისოდენა თუ ჭერმიკურკისოდენა?**

იმედია, ამ ყველაფერს დავადგენთ! ხოლო, რაც დადგენილია და წყალი არ გაუვა, ის გახლავთ, რომ ნოტარიუსთა პალატიდან ნაგავი — სახელად გინტური — გასატანია!

***დიტო ჩუბინიძე***













**ნუნუ გინტური ნოტარიატში იგივეა, რაც წყეული კოტე კუბლაშვილი — სასამართლოში, მეგის ქარდავა — „კუდში", „ქილერა" — ციხეში, კეზერაშვილი — თავდაცვაში, ხოლო მერაბიშვილი — შინაგან საქმეთა სამინისტროში!**

***2012 წელს, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „ქართულ ოცნებას“ არაერთხელ ვკითხე — სად გადის ზღვარი ცუდსა და კარგ დასავლეთს შორის? „ოცნებამ“ არ მიპასუხა, რადგან ჩემი შეკითხვა ტრენდული არ იყო... თუმცა, გადავხედოთ 2012 წლიდან საქართველოში მმართველი პარტიის სპიკერების მესიჯბოქსების რეტროსპექტივას და სხვისი შეწუხება აღარ დაგვჭირდება.***






არნო ხიდირბეგიშვილი

# აშშ-ში, როგორც «კაგებეში», ყოფილები არ არსებობენ!

თავიდან **ცუდები** იყვნენ მხოლოდ ცალკეული პერსონები — სააკაშვილისა და ექსმმართველი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები: **იან კელი, კრამერი, კინზინგერი, ფოტიგა, კუბილიუსი, პავილიონისი, ფონ კრამონი, სირიუშ ვოლსკი,** თუმცა, აშშ, ევროკავშირი და უკრაინა ცალსახად რჩებოდნენ **„ჩვენს მეგობრებად“, „მოკავშირეებად“ და „პარტნიორებად“.**

შემდეგ **ცუდები** გახდნენ **ამერიკელი კონგრესმენებისა და სენატორების ჯგუფები,** რომლებმაც გამოაქვეყნეს კოლექტიური კრიტიკული წერილები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მისამართით, ევროპარლამენტის წამყვანი **„ევროპის სახალხო პარტია“** — ნაციონალური მოძრაობის დიდი ხნის პარტნიორი და მთლიანად **ევროპარლამენტიც** — კორუმპირებული ლობისტების თავყრილობა, ასევე ევროსაბჭოს პრეზიდენტი **შარლ მიშელი,** ევროკომისიის პრეზიდენტი **ფონ დერ ლაიენი** და **კიევის თავკაცები.** თუმცა, ქართველი ხელმძღვანელების სადღეგრძელოებში დასავლეთი კვლავ მოიხსენიებოდა, როგორც დემოკრატიის, ჰეროიზმის მოდელი და საქართველოსთვის უალტერნატივო მიზანი.

რუსეთში აშშ-ის **ყოფილი** ელჩის **მაიკლ მაკფოლის** მიერ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული მრისხანე წერილისა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ აშშ-ის ელჩის **კელი დეგნანის** ანტაგონისტური პოზიციის შემდეგ კიდევ ერთხელ მინდა, ვკითხო „ქართულ ოცნებას“: **დარჩა კი ვინმე დასავლეთში საქართველოს მეგობრად?! და თუ არა, იქნებ დადგა დრო, ვთქვათ სიმართლე კოლექტიურ დასავლეთზე, დასავლურ მთავრობებზე, საქართველოსა და ქართველებისადმი მათ დამოკიდებულებაზე და არ შემოიფარგლოთ ცალკეული ვიგინდარების კრიტიკით?!**

„ქართული ოცნების“ პასუხსაც ამთავითვე განვჭვრეტ — აქაოდა, **მაკფოლი** და თქვენ მიერ ჩამოთვლილი საქართველოს მენტორები უკვე **ყოფილები** არიან, ამიტომ მათი მოსაზრებები ოფიციალურ პოზიციად არ ჩაითვლებაო. უკაცრავად, მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, „ჩრდილოეთისკენ მოდრეიფე“ საქართველოში „დემოკრატიის რევერსით“ შეშფოთება არცთუ დიდი ხნის წინ მოვისმინეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, თეთრი სახლის პრესმდივნისა და საქართველოში აშშ-ის ელჩის **კელი დეგნანის** განცხადებებში! **და თუ „ქართულ ოცნებას“ სჭირდება კრიტიკის მოსმენა თავად პრეზიდენტ ბაიდენისგან, მაკფოლი ჰპირდება, რომ ამასაც მალე მოუწყობს.**

რაც შეეხება **ყოფილებს:** საქართველოს ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს, რომ **ამერიკის პოლიტიკური სისტემა არამხოლოდ უშვებს, არამედ ითვალისწინებს ყოფილი ჩინოვნიკების, დიპლომატების, სამხედროების, სპეცსამსახურების თანამშრომლების, კონგრესმენებისა და სენატორების მონაწილეობას აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, ასევე აპრობირებული მეთოდია სადაზვერვო-ანალიტიკური საქმიანობა საზღვარგარეთ, მოქმედი კოლეგებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მათ შორის, „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზება და მარიონეტული რეჟიმების დამყარება!** ეს საქმიანობა ძირითადად წახალისებულია აშშ-სთვის **მესამეხარისხოვან ქვეყნებში,** როგორიცაა საქართველო, რომლისთვისაც ვაშინგტონი იშვიათად იცლის. მაგალითად, **კელი დეგნანამდე** ორი წლის განმავლობაში აშშ-ს საქართველოში საერთოდ არ ჰყოლია ელჩი, მაგრამ არაფერი მომხდარა, სიმშვიდეც მეტი იყო!

**ყოფილების** გამოყენება საბიუჯეტო სახსრების დიდი ეკონომიაა. **როცა ყოფილებს ლობისტებად ქირაობენ, შესაბამისად, მათი მომსახურების საფასურს იხდიან კერძო უცხოური წყაროებიდან და არა ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.** მაგალითად, სააკაშვილების ოჯახმა, კამპანია „გადაარჩინე მიშას“ ორგანიზების მიზნით, დაიქირავა **მაკფოლი და დასავლელი ექსდიპლომატების, პოლიტტექნოლოგების, პიარის სპეციალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველთა** მთელი არმია (ერთ-ერთი რუსი — **მარკ ფეიგინიც** კი), დაუკვეთა მათ მსხვილ დასავლურ მედიაში წერილების გამოქვეყნება, მომსახურების საზღაური კი ნაცმოძრაობის კრიმინალური „ობშიაკიდან“ გადაუხადა!

**ასე რომ, აშშ-ში ისევე, როგორც „კაგებეში“, ყოფილები არ არსებობენ!** ეს უაღრესად მოსახერხებელია — **ყოფილების პირითა და ხელით** შეიძლება ტაბუირებული თემების გაჟღერება, უკანონო ოპერაციების განხორციელება, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში სახელმწიფო არაფერ შუაში იქნება, ესენი ხომ კერძო პირები არიან, მაქსიმუმ, შტატგარეშე კონსულტანტები! **ამ მეთოდს თავად „ქართული ოცნებაც“ იყენებს,** რომელმაც სწორედ თავისი რიგებიდან „გასული“ პარლამენტარებისაგან შექმნა **„ხალხის ძალა“,** რომელიც აკრიტიკებს აშშ-ის ელჩს, ხელისუფლება კი რბილად საყვედურობს და ემიჯნება.

იგივე ეხება ევროპაში აშშ-ის არმიის **ყოფილი** მეთაურის, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი **ბენ ჰოჯესის** ამჟამინდელ ვიზიტს საქართველოში, რომელიც თბილისში აშკარად რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიის შესაძლო გამოყენების განსახილველად ჩამოვიდა. **საქართველოს კვლავ აიძულებენ, ჩაერთოს სამხედრო კონფლიქტში და გახსნას „მეორე ფრონტი“ უკრაინის დასახმარებლად! მაგრამ, თუ უკრაინის ფრონტზე ვითარება მკვეთრად შეიცვლება რუსეთის სასარგებლოდ, ვაშინგტონი „უკან დაიხევს“ და მთლიანად გაემიჯნება პენსიონერ ჰოჯესს.**

მაშ, დაეხმარება თუ არა დასავლეთი სააკაშვილს? ან დაგმობს თუ არა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კოლექტიურ დასავლეთს სააკაშვილის მხარდაჭერისთვის? თუ ისევ შემოიფარგლება **ყოფილების,** ანუ **გიული ალასანიას** მიერ დაქირავებული ლობისტების კრიტიკით?

ყველა შესაძლო შემთხვევაში სააკაშვილი გაიზიარებს **თენგიზ აბულაძის „მონანიების“** მთავარი გმირის — სააკაშვილის მსგავსად ეპატაჟისკენ მიდრეკილი შეშლილი დიქტატორისა და სადისტის **ვარლამ არავიძის** ბედს, რომლის გვამსაც საფლავიდან გამუდმებით თხრიან.

### გვამის ამოთხრა პირდაპირი გაგებით სულაც არ არის აუცილებელი – შეგიძლიათ, უბრალოდ, გამუდმებით შეახსენოთ შთამომავლობას დიქტატორისა და მისი რეჟიმის დანაშაულები ან ისპეკულიროთ „სამშობლოსათვის დაღუპული გმირის გარდაცვალებით.“

აი, პრეზიდენტ **სააკაშვილის მიერ მოკლული პრემიერ-მინისტრის ჟვანიას** ცხედრის ექსჰუმაცია კი, თუკი ოჯახის ნება იქნება, **ნამდვილად აუცილებელია!**





კადრი ფილმიდან „მონანიება“ – საფლავიდან ამოთხრილი და ხეზე მიყუდებული ვარლამ არავიძის ცხედარი

## მიხეილ სააკაშვილს „მონანიების“ მთავარი გმირის ბედი ელის!



# მაია ნიკოლეიშვილი:

## შალვა ხაჭაპურიძე ასეთ ისტერიკაში იმიტომ არის, რომ კარგად იცის – სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ხელში რაც უჭირავს,

## ეს ექსპერტიზის დასკვნა კი არა, სრული ნაგავია!

***როცა სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სასამართლოში შუამდგომლობა დააყენა — მიხეილ სააკაშვილს ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდეს და ამ საქმეში ცნობილი სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილიც ჩაერთოსო, ნაცბელადის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ ქოში უკუღმა ყარა — ნიკოლეიშვილი მიუკერძოებელ ექსპერტად ვერ ჩაითვლება, რადგან სააკაშვილის რეჟიმის დროს შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით იყო გასამართლებულიო! — რატომ არ აძლევთ ხელს ხაჭაპურიძესა და სააკაშვილის სხვა ვექილებს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება იმის დასადგენად, სიმულანტობს თუ არა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში წამოკოტრიალებული პატიმარ-პაციენტი? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე მაია ნიკოლეიშვილს ვესაუბრებით:***

— **შალვა ხაჭაპურიძემ** მშვენივრად იცის, რომ მე და კიდევ 12 ადამიანი სახელმწიფო გადატრიალების შეთითხნილი ბრალდებით 6 ანონიმური ცრუმოწმის ჩვენების საფუძველზე დაგვაპატიმრეს; აგრეთვე კარგად მოეხსენება, რომ იძულებით ვაღიარე ის, რისი აღიარებაც სააკაშვილის რეჟიმის ყასბებმა მომთხოვეს; ისიც იცის, რომ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის შემდეგ საქმე თავიდან იქნა გამოძიებული და სასამართლოს მიერ ჩვენი სრული რეაბილიტაცია მოხდა. მიუხედავად ამისა, ხაჭაპურიძე შეგნებულად წავიდა ფაქტების დამახინჯებაზე და ჩემი დისკრედიტაცია მოინდომა... ჯანდაბას, მის სინდისზე იყოს, თუ სინდისი საერთოდ შერჩენია!

**— მაინც რაში დასჭირდა სააკაშვილის ადვოკატს და თქვენი და კიდევ ერთი ცნობილი სასამართლო სამედიცინო ექსპერტის ალექსანდრე გეჯაძის დისკრედიტაცია?**

— **ხაჭაპურიძე არამხოლოდ მე და ალეკო გეჯაძეს, არამედ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსაც ესხმის თავს — საქართველოში ექსპერტიზების 99 პროცენტი ყალბდებაო!** ძალიან მაინტერესებს, ამის შემდეგ როგორ აპირებს საადვოკატო საქმიანობის გაგრძელებას? რომელიმე საქმეზე სასამართლო ექსპერტიზა რომ დასჭირდება, რაღას იზამს? **სამხარაულის ბიუროში აღარ მიესვლება და აღარც ჩემთან და ალეკო გეჯაძესთან მოსასვლელი პირი აქვს... აწი მხოლოდ თაღლითობისა და ყაჩაღობის საქმეებს თუ აიღებს, რომლებსაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ სჭირდება.** მოკლედ, ხაჭაპურიძემ, როგორც ადვოკატმა, ყველა გზა მოიჭრა და კომპასი მთლიანად დაკარგა. იგი ასეთ ისტერიკაში იმიტომ არის, რომ კარგად იცის — სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ხელში რაც უჭირავს, ეს ექსპერტიზის დასკვნა კი არა, სრული ნაგავია!

**— კონკრეტულად რის საფუძველზე აცხადებთ, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ცენტრ „ემპათიას“ მიერ მომზადებული დასკვნა ნაგავია?**

— „ემპათიისა“ და სააკაშვილის ადვოკატების სტრატეგია ასეთია: „შიდა მოხმარებისათვის“ აქცენტს აკეთებენ დემენციაზე, ხოლო „გარე მოხმარებისათვის“ — წამებასა და მოწამვლაზე. საქმე ის არის, რომ **დემენცია, ანუ ჭკუასუსტობა** იმ დაავადებათა ნუსხაშია შეტანილი, რომლებიც, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის სპეციალური ბრძანების მიხედვით, პატიმრისათვის სასჯელის გადავადების ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენენ. თუმცა, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაში ერთი ლაფსუსია გაპარული — **დაკონკრეტებული არ არის, რა სახისა და რომელი სტადიის დემენცია შეიძლება, გახდეს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველი?** ისე კი, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება გულისხმობს, რომ სასჯელის მოხდისაგან მხოლოდ ისეთი მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ, რომელთა გამოჯანმრთელების შანსი აღარ არსებობს და მოკლე დროში სიკვდილისათვის არიან განწირული.

მოკლედ, **ცენტრ „ემპათიას“ მიერ დაქირავებული ექსპერტები და ადვოკატები იმისათვის იბრძვიან, რომ სააკაშვილი ჭკუასუსტად გამოაცხადონ!**

**— თუმცა, სააკაშვილი, რომელსაც მისი ადვოკატები და დაქირავებული ექიმები დემენციით დაავადებულად აცხადებენ, ფეისბუქში ვრცელ პოსტებს აქვეყნებს, პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, ამერიკულ პრესაში ანალიტიკურ სტატიებს ბეჭდავს, უკრაინის ფრონტის ამბებს განიხილავს და ა.შ.**

— მცირე ან თუნდაც საშუალო ხარისხის დემენციის სიმულირება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია — თავს მოიკატუნებ, თითქოს რაღაცები აღარ გახსოვს და მორჩა! პატიმარი სასჯელის მოხდისაგან რომ გათავისუფლდეს, მას უნდა ჰქონდეს ისეთი ხარისხის დემენცია, როცა საერთოდ ვეღარავის ვეღარ ცნობს, ელემენტარულ სააზროვნო ოპერაციებსაც კი ვერ ასრულებს და საკუთარ სასჯელს ვერ აცნობიერებს. დიახ, თუ ადამიანი ვეღარ ხვდება, რომ ციხეშია და ვერ აცნობიერებს, რისთვის ისჯება, ასეთ შემთხვევაში სასჯელის მოხდას აზრი აღარა აქვს!

როგორია საშუალო ხარისხის დემენცია, ამას კარგად ვხედავთ აშშ-ის **პრეზიდენტ ბაიდენის** მაგალითზე, რომელიც ხან თეთრი სახლის ბაღში იკარგება და ხან მიცვალებულებს ესაუბრება, მაგრამ ამის გამო მისთვის საპრეზიდენტო უფლებამოსილების შეწყვეტაზე არავინ საუბრობს. **ისე, სააკაშვილისთვის დაქირავებული ამერიკელი ექსპერტები თავს რომ იკლავენ — მის დემენციას საქართველოში ვერ უმკურნალებენო, ამერიკაში რატომ ვერ მკურნალობენ თავიანთ პრეზიდენტს?**

**— რას იტყვით იმაზე, რომ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე დაკითხულმა უცხოელმა ექიმ-ექსპერტებმა ბევრი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთეს და ბრალდების მხარის ზოგიერთ კითხვაზე ერთობ არადამაჯერებელი პასუხები გასცეს?**

— სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა გულისხმობს, რომ დიაგნოზი აბსოლუტურად ზუსტად უნდა დაისვას და თავიდან ბოლომდე დასაბუთებული იყოს, მაგრამ ამერიკაში ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა საერთოდ არ არსებობს! ამიტომაც, სააკაშვილის ამერიკელი ექსპერტების დასკვნები მთლიანად ვარაუდებზეა აგებული და მა-




## „მომაკვდავი ადამიანი პალატაში ბოთლებს ვერ უნდა ისროდეს და მედპერსონალს ვერ უნდა ეჭიდავებოდეს!“

## კვირგვინოსნები



**მალხაზ ურთქმელიძე**
*სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

ამერიკელ ექსპერტს: **მიუხედავად ფსიქოტროპული პრეპარატების მიღებისა, სააკაშვილი დასამშვიდებლად მოიხმარდა ორ ბოთლამდე კონიაკს** — ეს ნორმალურია?

„იმედინიუსი“



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*

**სააკაშვილი** მსოფლიო პოლიტიკის ჭადრაკის დაფაზე **თამაშიდან გასული ფიგურაა!** ახლა იმის პედალირება ხდება, რომ მოწამლულია, რომ კლავენ, მაგრამ სასიკვდილო დიაგნოზი რა აქვს, არ არის გამჟღავნებული. **დემენცია სასიკვდილო დიაგნოზი არაა, ფსიქიატრიული დიაგნოზია.**

„კვირის პალიტრა“



**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

ვიცი, წამება რა იყო, წამების მსხვერპლებიც მინახავს, **იმ ადამიანებსაც ვიცნობდი,** რომლებიც **სააკაშვილის** რეჟიმს ცოცხალი ვერ გადაურჩნენ. **იმ ადამიანების ახლობლებსაც ვიცნობ,** რომლებიც ციხეებიდან საერთოდ ცოცხალი ვერ გამოვიდნენ. არ მინდა, ვინმეს იმ დროის დაბრუნება ვუსურვო. ამ ქვეყანაში ეგ არასდროს აღარ მოხდება.

„ახალი თაობა“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

გვახსოვს, როდესაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს **დასაპატიმრებელი, რეპრესიებში მოსაყოლი და დასახოცი ადამიანების სიებიც კი ჰქონდათ,** ზნეს არ იცვლიან!

„რეზონანსი“



**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*

საინტერესოა, **რა ფინანსური საშუალებით ქირაობს სააკაშვილის ოჯახი ლობისტურ კომპანიებს,** დიდ თანხებზეა საუბარი.

„რეზონანსი“




თი წონა არის ნული! რაც შეეხება უცხოელი ექსპერტების მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს, ეს ჩვენი კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულია და ჩვენების არსებითად შეცვლისათვის არაერთი ადამიანი იხდის სასჯელს!

ყურადღებით ვუსმინე სააკაშვილის ამერიკელი ტოქსიკოლოგის — **სმიტის** დაკითხვას სასამართლო პროცესზე... მას ჰკითხეს — **რომელი დოკუმენტით დასტურდება, რომ სააკაშვილის ორგანიზმში დარიშხანი იქნა აღმოჩენილი?** გაირკვა, რომ მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს! ასევე ჰკითხეს — **რომელ დოკუმენტში წერია, რომ სააკაშვილის ორგანიზმში ვერცხლისწყალი დასაშვებზე მაღალი კონცენტრაციით აღმოჩნდა?** გაირკვა, რომ სააკაშვილის ორგანიზმში ვერცხლისწყლის კონცენტრაცია არ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას! სრულიად გამაოგნებელი და შოკისმომგვრელი იყო ამერიკელი ტოქსიკოლოგის განცხადება — სააკაშვილის ორგანიზმში ვერცხლისწყლის ძალიან მცირე რაოდენობით აღმოჩენა იმას ნიშნავს, რომ თავიდან მისი კონცენტრაცია მაღალი იყო და მერე შემცირდაო! ეს არის სრული ბოდვა და წარმოუდგენელი უმეცრება!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სააკაშვილის ბიოლოგიური ნიმუშების აღება და საზღვარგარეთ ტრანსპორტირება საქართველოს კანონმდებლობის სრული დარღვევით მოხდა ისე, რომ საკვლევი მასალა დალუქულიც კი არ ყოფილა.

პირდაპირ გეუბნებით — **მე, ალეკო ბეჟაძეს ან სამხარაულის ბიუროს ნებისმიერ ექსპერტს ისეთი ყალბი დასკვნები რომ დაგვედო და სასამართლოსთვის ისეთი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მიგვეცა, როგორიც სააკაშვილის უცხოელი ექსპერტების მხრიდან ვიხილეთ, ახლა უკვე ციხეში ვისხდებოდით!**

**— თუმცა, ასეთი უსუსური საექსპერტო დასკვნების მიუხედავად, ფაქტია, რომ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების ნაწილი სააკაშვილის მოწამვლაზე აქტიურად საუბრობს!**

— სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ სააკაშვილის მოწამვლის თემა „გარე მოხმარებისათვის“ არის განკუთვნილი. კერძოდ, ნაცპროპაგანდის მიზანია, ევროპელებსა და ამერიკელებს გაუჩინოს ასოციაცია ლიტვინენკოს, სკრიპალების, ნავალნის მოწამვლასთან, რაშიც რუსეთის ხელისუფლებაა დადანაშაულებული! თუმცა, თუ დასავლეთში ასე ხელაღებით, ფალსიფიცირებული დასკვნების საფუძველზე ხდება ამა თუ იმ პოლიტიკოსის მოწამლულად შერაცხვა, უკვე ეჭვი მიჩნდება, რომ **ლიტვინენკო, ნავალნი და სკრიპალებიც** ისევე „მოწამლეს“, როგორც სააკაშვილია „მოწამლული“!

**— და მაინც, როგორია თქვენი მოლოდინი — ქართული სასამართლო თუნდაც დროებით გაათავისუფლებს თუ არა სააკაშვილს სასჯელის მოხდისაგან?**

— საქართველოს კანონმდებლობით, პატიმარი სასჯელის მოხდისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება, თუ მომაკვდავია, სააკაშვილი კი მომაკვდავი ნამდვილად არ არის! სხვა თუ არაფერი, **მომაკვდავი ადამიანი პალატაში ბოთლებს ვერ უნდა ისროდეს და მედპერსონალს ვერ უნდა ეჭიდავებოდეს!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***





ლიტვინენკო, ნავალნი, სკრიპალი

**„თუ დასავლეთში ასე ხელაღებით, ფალსიფიცირებული დასკვნების საფუძველზე ხდება ამა თუ იმ პოლიტიკოსის მოწამლულად შერაცხვა, უკვე ეჭვი მიჩნდება, რომ ლიტვინენკო, ნავალნი და სკრიპალებიც ისევე „მოწამლეს“, როგორც სააკაშვილია „მოწამლული!“**



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე ბოლო დროს ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ გლობალურმა ომის პარტიამ საქართველოს თავისი „ძაღლიშვილები“ მოუქსია:***



# ედიშერ გვენეტაძე:

# საქართველოში მოღალატე ვაჟა ექიმებისა და ივერი მელაშვილების თარეში უნდა შეწყდეს!

— ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ გლობალური ომის პარტიას, რომელმაც უკრაინაში ომი გააჩაღა, ახლა საქართველოს ტერიტორიაზე სურს უბედურების გადმოტანა. ამ მიზნით მათ აამოქმედეს **თავიანთი „ძაღლიშვილები“,** რომლებიც ე.წ. პოლიტიკურ პარტიებსა და „ენჯეოებში“ ჰყავთ ჩანერგილი. სწორედ ეს „ძაღლიშვილები“ მოითხოვდნენ, საქართველოს ხელისუფლებას თვითმფრინავებით გაეგზავნა მებრძოლები რუსეთის წინააღმდეგ საომრად, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა ჯერ თბილისის აეროპორტის, მერე თბილისისა და მერე მთელი საქართველოს დაბომბვა. საბედნიეროდ, საქართველოს ხელისუფლებას ეყო ჭკუა და ეს არ გააკეთა, რის შემდეგაც ტელევიზიით გამოიყვანეს კიდევ ერთი „ძაღლიშვილი“ — უკრაინასა და სააკაშვილის კაბინეტში „დაოსტატებული“ **ხატია დეკანოიძე,** რომელმაც პირდაპირ განაცხადა — საქართველოდან რუსეთის მიმართულებით გაჭრილია „შავი ხვრელი“, რომლის საშუალებითაც რუსეთს იარაღი მიეწოდებაო! ამას მოჰყვა ე.წ. „მიშას ზვიადისტის“ **ეკა ხერხეულიძის** გამოსვლა, რომელსაც დაავალეს და ასეთი სისულელე ათქმევინეს — საქართველოს გავლით რუსეთის თვითმფრინავები უკრაინას ბომბავენო! ამას დაემატა კიდევ ერთი „ძაღლიშვილის“, **ვინმე აკერმანის** ჩამოსვლა ბაკურიანში და ხელისუფლების დასამხობად ე.წ. ტრენინგის ჩატარება, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა, რადგან აკერმანი წყალგაღმა გავიდა და ჩვენი ჭირიც წაიღო! ამის შემდეგ ტელევიზიით გამოიყვანეს კიდევ ერთი „ძაღლიშვილი“ — ე.წ. **„ჭიჭე ვაშაძე“,** რომელმაც განაცხადა — ამერიკაში მიიღეს გადაწყვეტილება და საქართველოში ხელისუფლება შეიცვლებაო! არანაკლებ ბრიყვი და „ძაღლიშვილი“ ჰყავს მას თავის ორკაციან პარტიაშიც **პატიკო მანჯგალაძის** სახით, რომელიც უკადრებლის მკადრებელია!

**— მაინც რა იკადრა პაატა მანჯგალაძემ?**

— რა იკადრა და ვინც ჩააცვა, იმას გახადა! სამტრედიაში ცხოვრობს ძალიან ღირსეული კაცი — **ჯონი ნადირაძე,** რომელიც ეროვნული მოძრაობიდან მოდის, არასოდეს გაყიდულა და დღეს ხონი-სამტრედიის ეპარქიაში ეკლესიების მშენებლობას ხელმძღვანელობს! ამ კაცმა პაატა მანჯგალაძეს პატივი სცა, ეკონომიკურად დაეხმარა, შვილივით უპატრონა და თვალში გამოახედა, მაგრამ სამაგიერო იცით, რითი გადაუხადეს? 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რომელშიც ოპოზიციის მხრიდან ჯონი ნადირაძეც იღებდა მონაწილეობას, მანჯგალაძე სააკაშვილის ეგზეკუციას ხელმძღვანელობდა სამტრედიაში და მასწავლებლებს ატერორებდა — ჯონი ნადირაძეს ხმა არ მისცეთო! ამის გამო სამტრედიელმა ძალიან მაგარმა ბიჭებმა „ძაღლიშვილ“ პაატას შეუთვალეს — ზედმეტი მოგდის და არ გაპატიებთო! შეშინებული და ჩასვრილი პატიკო სამტრედიიდან უკან მოუხედავად გამოაბუნძულეს, სადაც, მგონი, დღემდე ვერც ჩადის, თუმცა, ბედის კმაყოფილია, რადგან სააკაშვილის კარზე „ძაღლიშვილად“ მუშაობს.




გაფრინდაშვილი, მელაშვილი

**— სააკაშვილის სასამართლო პროცესზე ბატონმა მალხაზ ურთქმელიძემ გააჟღერა სკანდალური ცნობები, რომლის თანახმადაც, ნაცსექტის უსტაბაში ციხეში მოხვედრამდეც სვამდა ძლიერ ფსიქოტროპულ პრეპარატებს, მაგრამ მაინც ვერ წყნარდებოდა და ამიტომ ყოველდღიურად ორ ბოთლ კონიაკსაც ნთქავდა. ამ ყველაფრის შემდეგ ამერიკელი ექსპერტები მაინც გაიძახიან — სააკაშვილი დაპატიმრებამდე ჯანმრთელი იყოო!**

— სააკაშვილი არის გიჟი და ლოთი! ის ექსპერტებიც, რომლებიც **გიული ალასანიამ** დაიქირავა და უამრავ ფულს უხდის, შეურაცხადები და ლოთები არიან! დააკვირდით სააკაშვილის სასამართლოს, **ივერი მელაშვილით** დაწყებული, **ვაჟა ექიმით** დამთავრებული, ყველა მოღალატე იქ არის გამოჭიმული! ამიტომაც ვაცხადებ: **საქართველოში მოღალატე ვაჟა ექიმებისა და ივერი მელაშვილების თარეში უნდა შეწყდეს!**

**და კიდევ: ძალიან კარგია ევროპული ცხოვრების მაღალი დონე და ვიზალიბერალიზაცია, მაგრამ, თუ ჩვენი სამშობლო პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს, მაშინ დასავლეთმა ეს ვიზალიბერალიზაცია უკანალში გაიკეთოს!**

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**თუ ჩემი შვილი მოკვდება,** ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაისაჯოთ! ბავშვობიდან ყველას რაღაც სტრესები გვაქვს, მაგრამ **სტრესული აშლილობა დაკავშირებულია სწორედ სააკაშვილის პატიმრობასთან,** რაზეც ამერიკელმა ნევროლოგმა კვალიფიციური პასუხი გასცა.

„ახალი თაობა“

**მიხაილ პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველი*



ჩვენ არ ვერევით სხვა ქვეყნების სუვერენულ საქმეებში, **ოფიციალურ დონეზე ვთავაზობთ საქართველოს მთავრობას, გადმოგვცეს მიხეილ სააკაშვილი.** თუ გინდათ, ჩამოვალ და წამოვიყვან, ეს საერთოდ არ არის პრობლემა.

„რეზონანსი“

**ირაკლი კადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



მიხეილ სააკაშვილი სიმულაციურად **კვდება უკვე 470 დღეა.** გვეუბნებიან, რომ **ყოველდღე კვდება.** ასეთი **დაუსრულებელი სიკვდილის ქრონიკა** კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა. „ახალი თაობა“

# გელა ნიკოლაიშვილი: როცა სააკაშვილი „კაგებეს“ ჯარში მსახურობდა, მე მაშინ „კაგებეს“ ციხეში ვიჯექი!

***ცნობილი ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, რომელიც სააკაშვილის სასამართლო პროცესზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციებს იცავს, გასულ კვირას პატიმარი ნაცბელადისა და მისი დედის გიული ალასანიას სამიზნე გახდა. დედა-შვილმა მას კვალიფიკაცია დაუწუნა და აბუჩად აიგდო — სასაცილოა, რომ „ვინმე გელა ნიკოლაიშვილი“, რომელსაც იურიდიული ფაკულტეტი გორში აქვს დამთავრებული, ამერიკელ ექსპერტებს ეპაექრება და უნდობლობას უცხადებსო! სახელოვანი და სტაჟიანი უფლებადამცველი, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს, მაგრამ სააკაშვილმა „ვინმე გელა ნიკოლაიშვილად“ მოიხსენია, ჩვენს კითხვებს პასუხობს:***



## „კარგად იცის, ვინ ვარ!“

— მთელი ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილის დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ მას დემენცია აქვს, დემენცია კი ჭკუასუსტობის ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანს გუშინ, გუშინწინ, ერთი თვის ან ერთი წლის წინათ მომხდარი ამბები ავიწყდება, მაგრამ კარგად ახსოვს 10, 20, 30 წლის წინანდელი ფაქტები. ამდენად, სააკაშვილს, თუნდაც მართლა დემენციით იყოს დაავადებული, კარგად უნდა ახსოვდეს, ვინ არის **„ვინმე გელა ნიკოლაიშვილი“**, რადგან 20-30 წლის წინათ მასთან საკმაოდ ხშირი ურთიერთობა მქონდა.

**— მაინც რა ურთიერთობა გქონდათ სააკაშვილთან?**

— 2000-2002 წლებში, სანამ სააკაშვილი რევოლუციურ სამზადისს შეუდგებოდა, პენიტენციური სისტემის პრობლემებთან დაკავშირებით ხშირად ვუწევდი კონსულტაციას და ჩემს რჩევებს სიამოვნებით იღებდა. ცხადია, მაშინ მისთვის **„ვინმე გელა ნიკოლაიშვილი“** არ ვყოფილვარ და დღესაც კარგად იცის, ვინ ვარ!

ისე, როცა სააკაშვილი უკრაინაში „კაგებეს“ ჯარში მსახურობდა, მე მაშინ „კაგებეს“ ციხეში ვიჯექი ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით. წელიწადნახევარი გავატარე საპატიმროში და, ალბათ, კიდევ 5 წელზე მეტი მომიწევდა ჯდომა, ე.წ. პერესტროიკა რომ არ დაწყებულიყო და პოლიტპატიმრები არ გამოვეშვით!

**— სააკაშვილმა და დედამისმა კომპეტენციაც დაგიწუნეს — იურიდიული განათლება გორში აქვს მიღებულიო!**

— საქართველოს ყველა ქალაქს პატივს ვცემ, მაგრამ გორთან არასოდეს შეხება არ მქონია. იურიდიული განათლება თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში მივიღე, მანამდე კი წითელ დიპლომზე დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

**— თქვენ მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებას — სააკაშვილი ჭკუასუსტი არ არისო, ვიღაც-ვიღაცები ქირქილით შეხვდნენ. მაგალითად, გია ხუხაშვილმა განაცხადა — ქოცებს როცა უნდათ, სააკაშვილს გიჟსა და გონებაჩლუნგს ეძახიან, ხოლო როცა სჭირდებათ, ბიძინაზე ჭკვიანი გამოჰყავთო! რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— საერთოდ, **ხუხაშვილს** ახასიათებს, რომ სხვისი ნათქვამი კონტექსტიდან ამოგლიჯოს და საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს... ან ქოცობა რა შუაშია, ან ბიძინა ივანიშვილი საერთოდ როდის ვახსენე? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შეუძლებელია, ჭკუასუსტად შეირაცხოს ადამიანი, რომელიც ყოველდღე აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, სოციალურ ქსელში აქვეყნებს პოსტებს, მიმართავს სხვადასხვა უცხოელ პოლიტიკოსებსა თუ უფლებადამცველებს, აანალიზებს საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს... **დემენციით დაავადებულ ადამიანს მშობლიურ ენაზეც კი უჭირს მეტყველება და წერა, ხოლო სააკაშვილი არამხოლოდ ქართულად, არამედ უკრაინულად, ინგლისურად, რუსულად ლაპარაკობს და წერს.**

ისე, მართლაც კურიოზული ვითარებაა — ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სააკაშვილი ჭკუასუსტი არ არის, მისი ადვოკატები, ოჯახის წევრები და მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ ჭკუასუსტია!

**— სასამართლო პროცესებზე უკვე დაიკითხა რამდენიმე უცხოელი ექიმი და სამედიცინო ექსპერტი, რომლებმაც განაცხადეს, რომ სააკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელია, იგი სამკურნალოდ საზღვარგარეთ იქნეს გაყვანილი. რა არგუმენტები დაუპირისპირა მათ პოზიციას თქვენმა მხარემ — სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა?**

— სასამართლო პროცესებზე ნათლად გამოჩნდა, რომ სააკაშვილის საქმეში ჩართული უცხოელი ექსპერტები ან საერთოდ არ იცნობენ მისი ავადმყოფობის ისტორიას, ან ძალიან ზედაპირული წარმოდგენა აქვთ. მაგალითად, ისინი ამბობენ, რომ სააკაშვილი ციხეში აბსოლუტურად ჯანმრთელი შევიდა და ესა თუ ის დაავადება პატიმრობაში ყოფნის დროს დაემართა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ჰქონდა რამდენიმე დაავადება, ფსიქოტროპულ პრეპარატებსაც იღებდა და რადგან ისინიც აღარ შველოდა, ძლიერი სტრესის მოსახსნელად წამლებთან ერთად დღეში ორ ბოთლ კონიაკს სვამდა.

სასამართლო პროცესზე დაკითხულმა უცხოელმა გასტროენტეროლოგმა კატეგორიულად განაცხადა, რომ სააკაშვილს აქვს დაავადება, რომელიც ზრდის კიბოს განვითარების რისკს. პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მალხაზ ურთქმელიძემ** მას მარტივი კითხვა დაუსვა — ამა და ამ დიაგნოზის დასმა არის თუ არა შესაძლებელი ისე, რომ შესაბამისი კლინიკური და ლაბორატორიული კვლევები არ ჩატარდეს? პასუხი იყო — არა! კითხვაზე — თქვენ თუ ჩაუტარეთ სააკაშვილს შესაბამისი კლინიკური და ლაბორატორიული კვლევები? — პასუხი ისევ იყო — არა! ვკითხეთ — აბა, დიაგნოზი როგორ დასვით? **უცხოელი ექიმი დაიბნა და პასუხი ვერ გაგვცა.**

მოკლედ, სააკაშვილის მხარის მიერ დაქირავებული თითქმის ყველა უცხოელი ექსპერტი და ექიმი სასამართლო პროცესზე დაკითხვისას საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და ჩვენი მხარის მიერ დასმულ შეკითხვებს ადეკვატურად ვერ უპასუხა!

**— ყოველივე აქედან გამომდინარე, როგორია თქვენი მოლოდინი — რა ვერდიქტს გამოიტანს მოსამართლე გიორგი არევაძე?**

— გააჩნია, მოსამართლე სამართლებრივ გადაწყვეტილებას მიიღებს თუ პოლიტიკურს? როგორც წესი, მოსამართლეები სასჯელის გადავადების ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ დაყენებული შუამდგომლობების 95 პროცენტს არ აკმაყოფილებენ! დაახლოებით წელიწადნახევრის წინათ სწორედ მოსამართლე **გიორგი არევაძესთან** მქონდა პროცესი — ვითხოვდი, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებულიყო მძიმედ ავადმყოფი 72 წლის პატიმარი, რომელსაც 5-წლიანი სასჯელის ამოწურვამდე 6 თვეღა ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა — მსჯავრდებულის მკურნალობა პენიტენციური დაწესებულების ეგიდითაც შესაძლებელიაო!

მოკლედ,

**მოსამართლე არევაძემ სააკაშვილისათვის სასჯელის გადავადების ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობა თუ დააკმაყოფილა, ეს იქნება არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილება!**

ამასთან, ეს იქნება პრეცედენტი, რომელიც სხვა პატიმრებზეც უნდა გავრცელდეს და ყველა მსჯავრდებულს ეცოდინება, როგორ მოიქცეს სასჯელის მოხდის თავიდან ასაცილებლად!

*ესაუბრა*
*ჯაბა ხუბუა*



მიხეილ სააკაშვილი უკრაინის სასაზღვრო ჯარში სამსახურის დროს

***„როგორც წესი, მოსამართლეები სასჯელის გადავადების ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ დაყენებული შუამდგომლობების 95 პროცენტს არ აკმაყოფილებენ!“***

**„მართლაც კურიოზული ვითარებაა – ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სააკაშვილი ჭკუასუსტი არ არის, მისი ადვოკატები, ოჯახის წევრები და მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ ჭკუასუსტია!“**

## კვირგვინოსნები



**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**ზურაბიშვილს** ორჯერ ვესაუბრე **სააკაშვილზე.** ამ ქალის რეაქცია არა აქვს. **ვანო მერაბიშვილმა** მოიხადა სასჯელი. ვის რა უფლება აქვს საერთოდ, რომელიმე მოქალაქეს დახვდეს. სად არის ამ დროს შს სამინისტრო?!

„ახალი თაობა“



**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

რადგან **სააკაშვილი** მათთვის უკვე ჩამოწერილია, ახლა უკვე მიდის შიდა ბრძოლები, **ვის დარჩება არჩევნების შემდეგ პარტიის ნომერი 5** და დაფინანსება, რადგან მათ არავითარი პროგრამა, იდეალი და მრწამსი არ გააჩნიათ, **ხაბეიშვილი** იქნება თუ **მელია.** მათთვის მიზანი ამართლებს საშუალებას, მიზანი კი არის **ფული, ფული და ფული!**

„რეზონანსი“



**ხათია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

ყველა, ვინც ჩართულია **მიხეილ სააკაშვილის** წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევაში, უნდა იყოს **„მაგნიტსკის სიაში“.**

„პირველი არხი“



**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის კანდიდატი*

**„მაგნიტსკის სიაში“** იქნებიან **რატი ბრეგაძე, ირაკლი ლარიბაშვილი,** მოსამართლეები და პროკურორებიც, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებენ.

„პირველი არხი“

# დედიკოს ტუსაღი და ტუსაღის დედიკო

*კაცს, რომელიც ფერებით, მტლაშა-მტლუშითა და სულის შებერვითაა ნაზარდი, საქართველოში „დედიკოს ბიჭს“ ეძახიან, ხოლო პოლიტიკურ ლეშსა და სახედარს, რომელიც ქალების გაუპატიურებიდან კაცების გაუპატიურებაზე გადავიდა და ახლა კლინიკა „ვივამედში“ გამომწყვდეულს დედა აგიჟებს — „დედიკოს ტუსაღს!“*

**ნაცვლად იმისა, გიული-ხანუმმა შვილს მწარე სიმართლე უთხრას და შეანჯღრიოს — შენმა სიტუტუცემ, გარყვნილებამ და სიშლეგემ დაგღუპაო! — დედა უწმინდურ შვილს ყოველდღიურად აგულიანებს — წმინდანი ხარო!**



საქართველოს ისტორია იცნობს სულელ ქალ **დედისიმედს,** რომელიც საისტორიო ბედისწერამ ერთხანს ჯაყელთა უძლიერესი ფეოდალური სახლის ბატონ-პატრონად აქცია. სამცხე-საათაბაგო დიდწილად სწორედ **სისხლისმოყვარე დედისიმედმა** დაღუპა, როცა თავისი უგუნური და წინდაუხედავი პოლიტიკით თურქული ოკუპაცია გააძლიერა და ისტორიული მესხეთის მიწაზე საშინელი ქაოსი და განუკითხაობა გაამეფა.

**სწორედ ასეა გიული ალასანიას საქმეც, რომელმაც თავისი თურქული უნივერსიტეტებით, კოლეჯებით, ფეთჰულაჰ გიულენის ფონდებით, ფანდებით და თურქი ძმაკაცებით საქართველოში თურქული ოკუპაცია აიყვანა ზენიტში და ქვეყანა უმძიმესი გამოწვევების წინაშე დააყენა!**

ცნობილია, რომ დეკაბრისტებს თავიანთი ცოლები შორეული ციმბირის გადასახლებაში გაჰყვნენ და ქმრებთან ერთად იზიარებდნენ იმ საშინელ განსაცდელსა და ტანჯვა-წამებას, რაც რუსეთის იმპერიის საუკეთესო შვილებს პირსისხლიანი **ნიკოლოზ პირველის** სასამართლომ გამოუტანა!

**დედა გიული ალასანია სულ სხვა მოვლენაა!** მართალია, იგი სააკაშვილს კლინიკა „ვივამედში“ სასთუმალთან უზის, მაგრამ შვილს კი არ ამხნევებს, არამედ აგიჟებს, რადგან ნაცტელეკანალიზაციებსა და ციფრულ მედიასაშუალებებში ნიადაგ ერთსა და იმავეს იმეორებს — **ჩემი შვილი წმინდანია, ხოლო საქართველო წუმპიდან და ჭაობიდან სწორედ ჩემმა მიშიკომ ამოიყვანაო!** შესაბამისად, დედის მიერ გაგიჟებული სააკაშვილი კლინიკაში ახალ-ახალი სიგიჟეების ჩადენას არ იშლის, რაც ობიექტურ საფუძველს ქმნის იმის გასაცხადებლად, რომ, ფაქტობრივად, გიული ალასანიას ტუსაღია.

**შესაძლოა, ამ ქალბატონის შესახებ აქვე გაგვეთავებინა საუბარი, რომ არა ის სკანდალური აუდიოჩანაწერი, რომელიც წინა კვირას ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა გაავრცელა.** ეს ჩანაწერი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც საბოლოოდ ანგრევს მითს სააკაშვილისა და მისი ხროვის პროდასავლური ორიენტაციის შესახებ და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 2003 წლის ნოემბერში, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ კულმინაციის მომენტში, სააკაშვილის მომხრეთა მიტინგზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **იგორ ივანოვის** გამოსვლა და ნაცხროვისადმი მისი გულთბილი მისალმება შემთხვევითი არ ყოფილა და მთელ პოლიტიკურ პროცესს სინამდვილეში წარმართავდა კრემლის ნება — **აფხაზეთისა და ცხინვალის ჩამბარებელი შევარდნაძე ჩაენაცვლებინათ ახალგაზრდა შევარდნაძით — სააკაშვილით, რომელიც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად კოდორის, დიდი ლიახვისა და ქსნის ხეობებს პირწმინდად და ტყვიის გასროლის გარეშე ჩააბარებდა!**

2008 წლის აგვისტოს ომით, რომელიც სააკაშვილმა რუსეთთან ერთად დაიწყო, ზემოხსენებული ტერიტორიები რუსეთს ჩაბარდა კიდეც!

დღეს ბევრს ლაპარაკობენ და ძაღლის ყბა აქვთ გამობმული ზემოხსენებული ჩანაწერის არაავთენტურობაზე, არადა, ჩვენი აზრით, ჩანაწერის ნამდვილობა არავითარ ეჭვს არ იწვევს!

— მთავარი ის არის, რუსეთი რას ფიქრობს ამ მომენტში! — წუხს ქალბატონი გიული და იმთავითვე ნათელი ხდება, რომ სააკაშვილი არამარტო გარემოებების, საკუთარი ვნებებისა და კრემლის წინაშე აღებული ვალდებულებების, არამედ დედის — გიული ალასანიას ტყვეა, რომელიც ფსიქიკურად ისედაც „დაჩოჩებულ“ შვილსა და მიშმადიდებელთა ხროვას ყოველდღიური სატელევიზიო გამოსვლებითა და „შეგონებებით“ მორიგი და ახალ-ახალი სიგიჟეების ჩადენისკენ უბიძგებს!

**ნაცვლად იმისა, გიული-ხანუმმა შვილს მწარე სიმართლე უთხრას და შეანჯღრიოს — შენმა სიტუტუცემ, გარყვნილებამ და სიშლეგემ დაგღუპაო! — ყოველდღიურად აგულიანებს — წმინდანი ხარო!**

არადა, რა სასაცილო და საბრალოა ეს დედა-შვილი, რომელიც, ვგონებ, ერთად იხდის სასჯელს. **მოდას აცდენილი გიული და რეალობას აცდენილი მიშტლერი** იმ პოლიტიკური ზოოპარკის ბინადრებად იქცნენ, რომელიც საქართველოს ხელისუფალთა ბრძნულმა პოლიტიკამ ტიტლიკანები დატოვა. დიახ, **დედიკოს ტუსაღს** და **ტუსაღის დედიკოს** დღეს მთელი ერი დასცინის.

**მაგ შეჩვენებულებს, თურმე, ის ადარდებთ, რას იტყვის რუსეთი და არა ის, რას იტყვის ხალხი!**

*დიტო ჩუბინიძე*



გიული ალასანია და უკრაინის სასაზღვრო ჯარის მოსამსახურე მიხეილ სააკაშვილი

## მოდას აცდენილი გიული და რეალობას აცდენილი მიშტლერი პოლიტიკური ზოოპარკის ბინადრებად იქცნენ!

## კვირგვინოსნები

**ნინო ნადირაძე**
*კლინიკა „ვივამედის“ გენერალური დირექტორი*



**ადვოკატი იბარებს ექთანს პალატაში,** როცა მისი მორიგეობა დასრულებულია, **ართმევს პირად მონაცემებს, სიაში უნდა შეგიყვანო მოწმეებისო და დასაჭერებისაცო,** ეს ნორმალურია?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა ტუსკაძე**
*მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



ამნისტია უნდა გამოვიდეს ისეთ დანაშაულებზე და ისეთ პიროვნებებზე, რომლებიც საზოგადოებისთვის საშიშნი არ არიან. **სააკაშვილის დროს 30 ათასამდე პატიმარი ერთდროულად იხდიდა სასჯელს.** დღეს 9400 პატიმარი მაინც ბევრია და საერთაშორისო სტანდარტს გადაცილებულია.

„ახალი თაობა“

**შაჰინ ემანუელ ლაპანი**
*ამერიკელი ექსპერტი და ნევროლოგი*



**სააკაშვილის** დაავადებები სიკვდილის საშიშროებას ქმნის და განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა კრუნჩხვებს — **სახეზეა სწრაფად დამძიმებადი დემენცია,** რაც ისეთი აქტივობების დარღვევას გულისხმობს, როგორიცაა საკუთარი თავის მოვლა, შხაპის მიღება.

„ინტერპრესნიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**„შემიწყალე, შე პუტინის მონა“,** არაფერში წერია — პუტინის მონა თუ ვარ, როგორ შეგიწყალებ? **იძახდე, მწამლავენო და ამ დროს ციხის საავადმყოფოში იყო, ეს დამაჯერებლად არ გამოიყურება,** სააკაშვილს არ წამლავენ, რის გამოც „მაგნიტსკის სიებზე“ მუშაობა პერსპექტიული არ იქნება.

„ახალი თაობა“



## ტრისტან წითელაშვილი:

# ხედავთ, რა დღეში ჩააგდო ბიძინა ივანიშვილმა ერთ დროს ძლევამოსილი დიქტატორი?

***საკაშვილის ზონდერები კიევიდან იმუქრებიან, რომ საქართველოში ტანკებით შემოიჭრებიან და ანტიმიშისტ ქართველებს გაანადგურებენ. პარალელურად, საკაშვილი სიას ადგენს, სადაც მის „მწამებელ“ პირებს ჩამოთვლის. ამასობაში კი, რუსები უკრაინის ფრონტზე კონტრშეტევებს ატარებენ და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. გაიხსნება თუ არა საქართველოში რუსების წინააღმდეგ მეორე ფრონტი? გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი:***

— უკრაინაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი მეომრები. ერთ მხარეს არიან სააკაშვილის მომხრე ბოევიკები და ზონდერები **ნოდარ ყარალაშვილი, ჯაბა წულაძე** (საფრანგეთში მცხოვრები მიშისტი ემიგრანტი), **ვანო ნადირაძე, დავით ქაცარავა, კობა ხაბაზი,** ფორმირება **„ქართული ლეგიონი“,** რომელსაც **მამუკა მამულაშვილი** მეთაურობს და სხვები. ისინი ომში, ფაქტობრივად, არ მონაწილეობენ, კიევში არიან თავმოყრილები, კრიმინალურ საქმიანობას ეწევიან და ტელეკამერების წინ სააკაშვილის საქომაგო განცხადებების კეთებით იფარგლებიან, მათთვის „ფრონტის ხაზი“ სანგრებში კი არა, სოციალურ ქსელებში გადის; მეორე მხარეს კი არიან პატიოსანი ქართველი მეომრები, რომლებიც იარაღით ხელში რეალურად იბრძვიან და სიცოცხლეს წირავენ. ამ უკანასკნელებს მოუწიათ დეზერტირების დაჯგუფებისგან გასამიჯნად განცხადებების გაკეთება, რაც სოციალურ ქსელებში ვრცელდება.

**— ვინ არის ნოდარ ყარალაშვილი, რომელიც ქართველ საზოგადოებას ემუქრება, რომ ტანკებით გადაუვლის?**

— **ნოდარ ყარალაშვილი** ყოფილი პატიმარია, რომელიც გასამართლდა თაღლითობის მუხლით და მისჯილი ჰქონდა 11-წლიანი პატიმრობა. ის შეწყალების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა, რის შემდეგაც უკრაინაში გადავიდა და არსებობს ინფორმაცია, რომ ოჯახთან ერთად ლვოვში ცხოვრობს. საქართველოში ყარალაშვილი ზონდერული საქმიანობით იყო დაკავებული. მხოლოდ ზონდერს შეუძლია საკუთარ ხალხს „მიწასთან გასწორებით“ დაემუქროს, სამხედრო პირი მსგავს განცხადებას არასოდეს გააკეთებს!

ამჟამად **ნოდარ ყარალაშვილი** თავის თავს **„პატრიოტთა ლეგიონ გალიჩინას“** მეთაურს უწოდებს. ამავე სტატუსით მოიხსენიებს მას უკრაინული მედიაც. „ფეისბუქზე“ მითითებულია, რომ **„გალიჩინა“** მოხალისეთა საზოგადოებრივი, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის ამოცანებს შორის არის მოზარდებთან საგანმანათლებლო მუშაობა, ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება, ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების დახმარება.

„ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულია ფოტოები, რომლებზეც **ყარალაშვილი** სხვადასხვა გარემოში, ბავშვებთან ერთად არის ასახული, მათ შორის, დახმარების გადაცემის პროცესში. მიმდინარე წლის 5 იანვარს მან საფრანგეთში მცხოვრებ ემიგრანტთან, სააკაშვილის აქტიურ მხარდამჭერ **ჯაბა წულაძესთან** ერთად ჩაწერა პირდაპირი ეთერი, რომელშიც ისინი იმუქრებიან, რომ ტანკებით შემოვლენ აფხაზეთიდან და სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს გადაუვლიან.

**— მაგრამ აფხაზეთის მხრიდან რანაირად უნდა შემოვიდნენ, უკრაინა ხომ საქართველოს არ ესაზღვრება და ნუთუ რუსეთის ტანკებით გადმოლახვა სერიოზულად განიზრახეს?**

— **ყარალაშვილმა** გეოგრაფია არ იცის, თორემ მსგავს სისულელეს არ იტყოდა. ანდა, თუ მსგავსი სქემა მართლაც არსებობს, მაშინ ყარალაშვილი და მისი ამფსონები რუსეთის აგენტები არიან, რადგან რუსები თავიანთ ტერიტორიაზე ტანკში მსხდომ ქართველს აფხაზეთისკენ არ გაატარებენ! თუმცა, ახლახან გავრცელდა სააკაშვილის დედის **გიული ალასანიას** სატელეფონო ჩანაწერი, რომელშიც იგი თითქმის არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ სააკაშვილი რუსების დაკვეთას ასრულებს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ლოგიკაშიც ჯდებოდეს, რომ ტანკზე ამხედრებული ყარალაშვილი იმავე დაკვეთის ფარგლებში რუსებმა თავიანთი ტერიტორიის გავლით აფხაზეთში შეუშვან!

**— სააკაშვილი თქვენც რუსების აგენტად მიგაჩნიათ?**

— დიახ, ნაწილობრივ ეს მართლაც ასეა, მაგრამ **სააკაშვილი არა რუსეთის ხელისუფლების, არამედ მასთან დაპირისპირებული ლიბერასტული საზოგადოების ფავორიტია, რომელიც მსუყედ ფინანსდება ამერიკის ლიბერასტული წრეებიდან!** თუ რუსი ლიბერასტები მოახერხებენ, ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ, მართლაც მოსალოდნელია, რომ ყარალაშვილისნაირ ზონდერებს აფხაზეთში შეჭრის საშუალება მისცენ, მაგრამ მოქმედებების ამგვარად განვითარების შანსი თითქმის არ არსებობს, რადგან ლიბერასტული იდეოლოგია ბოლო დროს თითქმის მთელ მსოფლიოში შეირყა და იმსხვრევა! **ისიც ფაქტია, რომ ზედიზედ სამარცხვინო მარცხი განიცადა ლიბერასტების გეგმამ, სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში დაებრუნებინათ და მისი მეშვეობით რუსეთისთვის საქართველოდან მეორე ფრონტი გაეხსნათ.**

**დამარცხდა მოძრაობა „თავისუფლება მიშას!“ სამარცხვინოდ კოტრდება სააკაშვილის მძიმე ავადმყოფად წარმოჩენის გზით მისი ციხიდან გამოყვანის განზრახვა და** უკვე კომიკურ ეტაპზე გადავიდნენ – სააკაშვილს სახიდან მირონი მოსდისო, თუმცა, როგორც გაირკვა, ეს თაღლითი სახეზე თვითონ ისვამდა „ოლეინას“ ზეთს!

**უკვე კომიკურ ეტაპზე გადავიდნენ – სააკაშვილს სახიდან მირონი მოსდისო, თუმცა, როგორც გაირკვა, ეს თაღლითი სახეზე თვითონ ისვამდა „ოლეინას“ ზეთს!**

არ ვიცი, ხელისუფლება რად არ ახმაურებს ამ ინფორმაციას, მაგრამ უკვე დროა, პირდაპირ ითქვას, რომ სააკაშვილი, როგორც ნარკოდამოკიდებული, **მეტადონის პროგრამაში** ზის და ღებულობს ძლიერმოქმედ ფსიქოტროპულ წამლებს, შესაბამისად, მარტივად აიხსნება ის სიმპტომები, რომელსაც მისი მოსყიდული უცხოელი ექსპერტები ხან — მოწამვლად და ხან დემენციად რომ ნათლავენ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სრულ ჭკუაზე სააკაშვილი არც აქამდე ყოფილა, ახლა კი მის მდგომარეობას სიმულაციაც დაემატა, რაც ფეკალიების სროლაში გადაიზარდა. **რომ გამოდიან ამერიკელი ექსპერტები მისი ფეკალიების ანალიზის მოთხოვნით, კარგად შეინახონ და არ გამოლეოდეთ საკვლევი მასალა!** მაგრამ ჭკვიანი მიხვდება — ესეც ერთგვარი წინა რევოლუციური სამზადისია. სააკაშვილი ხან კვდება, ხან ფეკალიებს ისვრის, არც სირცხვილი ახსოვს და არც ღირსება, რომელიც არასოდეს ჰქონია — ოღონდ ციხეს თავი დააღწიოს...

ხედავთ, რა დღეში ჩააგდო ბიძინა ივანიშვილმა ერთ დროს ძლევამოსილი დიქტატორი? მასხარად და ჯამბაზად აქცია! მისი უცხოელი ლობისტები **ძლ...ენბურთის** (ცენზურა ჩვენია. რედ.) ფედერაციაში გააწევრიანა, ხოლო მხარდამჭერები სექტად ჩამოაყალიბა, მათი ნამდვილი სახე დაანახვა მსოფლიოს, ასე კულტურულად და მშვიდად გააფარჩაკა და ნაცებს უკვე მთელ მსოფლიოში დასცინიან! **გარწმუნებთ — 2024 წლის არჩევნებამდე ნაციონალური მოძრაობა ველარ მიაღწევს!**

**— ზოგადად, რა ვითარებაა უკრაინის ფრონტზე?**

— აცივებისთანავე რუსები შეტევაზე გადავიდნენ, დაიკავეს მარილის საბადოებით განთქმული ქალაქი სოლედარი და ალყაში მოაქციეს უკრაინის შეიარაღებული ძალების 10 ათასამდე სამხედრო. სოლედარის აღებით ალყაში ექცევა აღმოსავლეთ უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქი ბახმუტი 15 ათასი უკრაინელი ჯარისკაცით. უკრაინის ხელისუფლება ცაიტნოტშია, ძალიან გაუჭირდება ალყაშემორტყმული ბახმუტიდან სამხედროების გამოყვანა. რუსეთი თანდათან უახლოვდება დონეცკის საზღვრებს, მათ გეგმაში აქვთ ლუგანსკის მსგავსად აღადგინონ დონეცკის საზღვრებიც და შემდეგ შეტევა განახორციელონ ზაპოროჟიეს მიმართულებით. იმავდროულად, რუსეთმა გააფართოვა შეიარაღებული ძალების სარდლობის შემადგენლობა, მთლიანად უკრაინის ფრონტი გენერალური შტაბის უფროსს **გერასიმოვს** დაუქვემდებარა, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ცვლის ბრძოლის ტაქტიკას და უფრო ეფექტურ მეთოდებზე გადადის.

**— უკრაინა საქართველოსგან „ბუკების“ გადმოცემას მოითხოვს. თუ ადრე რაღაც იარაღი მოგვცეს იმისთვის, რომ გაგვესროლა, უკან რატომღა გვთხოვენ? ანდა, გასროლილს გვთხოვენ თუ იმას, რაც არ გავარდნილა?**

— ჯერ ერთი, უკრაინას ჩვენთვის არაფერი უჩუქებია! ხელშეკრულება გაფორმდა იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს, 2005 წელს, კომპანია „უკრსპეცექსპორტთან“, რომელსაც **სერგეი ბონდარჩუკი** ხელმძღვანელობდა. საქართველომ 2007 წელს 50 მილიონი დოლარი გადაურიცხა და ამ კომპანიისგან შეიძინა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „BUK S 1“ მაგრამ **რეალურად მოხდა ფულის გათეთრება,** რადგან ახალი ტექნიკის ნაცვლად საქართველოში ჩამოიტანეს ჩამოწერილი ტექნიკა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ვერ გამოვიყენეთ. ეს ტექნიკა განთავსებული იყო სენაკის ბრიგადის ბაზაზე და იმდენად იყო წყობიდან გამოსული, რომ, როდესაც რუსები დაეუფლნენ, ბუქსირით წაიღეს! აი, პროვოკაციულად ამ იარაღს ითხოვს უკრაინის მხარე ახლა ჩვენგან და ამ მოთხოვნის მიზანიც იგივე გახლავთ — საქართველო როგორმე რუსეთთან ომში ჩაითრიონ, რადგან

**საქართველომ ამ ეტაპზე ერთი ავტომატიც რომ გადასცეს უკრაინას, ჩათვალეთ, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარე ხდება და მერე, ღმერთმა ნუ ქნას, ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდებით, როგორიც 90-იანებში გამოვიარეთ!**



**„რომ გამოდიან ამერიკელი ექსპერტები მისი ფეკალიების ანალიზის მოთხოვნით, კარგად შეინახონ და არ გამოლეოდეთ საკვლევი მასალა!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# გენერალისიმუსი

**№5 (173) ★ 2023 წლის 16 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან**


*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2022 წლის №43-44, 2023 წლის №1-2, 3-4*

## ჯუმბერ პატიაშვილი:
# ბევრ რამეს ვერ ვამბობ!

***საბჭოთა საქართველოს ცეკას ყოფილი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი „გენერალისიმუსთან“ საგაზეთო საუბარს აგრძელებს და ხაზგასმით აცხადებს, რომ შევარდნაძისა და გივი გუმბარიძის განსაკუთრებული ურთიერთობა სათავეს ლანჩხუთიდან იღებდა, სადაც გუმბარიძის მამა სამხედრო კომისრად მუშაობდა:***

— არსებობდა ასეთი ვაკელი ბიჭი, მერვესკოლელი **ნოდარ მელაძე,** რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა უშიშროების სპეცრაზმ „ალფასთან“ და „ომეგასთან“, რომლებიც 9 აპრილს მოსკოვიდან თბილისში გადმოისროლეს. იმ დღეებში ახლობელმა, რომელმაც საერთოდ არ იცოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში თბილისში, ნოდარ მელაძეს მოსკოვიდან დაურეკა და უთხრა, რომ მის ძმას თბილისში აგზავნიდნენ. წლების შემდეგ მელაძემ სწორედ ამ პიროვნებისგან შეიტყო, რომ რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა უშიშროებას სნაიპერები ჰყავდა ჩასაფრებული, რომლებიც ჩემ გამოჩენას ელოდნენ.

**— ბატონო ჯუმბერ, კიდევ ერთხელ გეკითხებით და მიპასუხეთ — დაგეგმა თუ არა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ედუარდ შევარდნაძემ?**

— რაც ზუსტად შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ **9 აპრილი დაგეგმეს ჩემ წინააღმდეგ!** რაც შეეხება შევარდნაძეს, ცხადია, ის ამ საშინელებაში გარეული იყო!

**— გარეული იყო, თუ მან დაგეგმა ყველაფერი?**

— მაშინ ცოტა შორიდან დავიწყოთ თხრობა და დავსვათ კითხვა — ვისი კაცი იყო საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **გივი გუმბარიძე?** პასუხი მარტივია და უალტერნატივო — **გივი გუმბარიძე გახლდათ ერთმნიშვნელოვნად შევარდნაძის კადრი და მისი ყურმოჭრილი მონა!** ვინ იყო და სად მუშაობდა გივი გუმბარიძის მამა? **გუმბარიძის მამა მუშაობდა ლანჩხუთის სამხედრო კომისრად და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ედუარდ შევარდნაძესთან.** 9 აპრილის ტრაგედიაში და იმ შედეგში, რაც მაშინ ჩვენი ქვეყნის წინაშე დადგა, გივი გუმბარიძის პასუხისმგებლობა უდიდესია. იგი სწორედ შევარდნაძის ინსტრუქციებით მოქმედებდა და ვერ ვაკონტროლებდი. აი, აქედან დაიწყონ 9 აპრილის ტრაგედიის შესწავლა!

**— სიკვდილის წინ შევხვდი ბატონ შოთა გორგოძეს, რომელმაც გაიხსენა — მოსკოვში გადაყვანის წინ შევარდნაძემ დამიბარა და ტექნიკურად მიმანიშნა, რომ სოლიკო ხაბეიშვილი დამეჭირა — ჩემ შემდეგ საქართველოს ცეკას მდივანი ეგ არ უნდა გახდესო! რატომ დაიჭირეთ სოლიკო ხაბეიშვილი და რატომ უფრთხოდა შევარდნაძე ხაბეიშვილს?**

— **სოლიკო ხაბეიშვილი** მე არ დამიჭერია! საქართველოს ცეკას მდივანი რომ გავხდი, მის საქმეზე გამოძიება უკვე დამთავრებული იყო. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორიც კი ჩამოვიდა თბილისში ამ საქმის გამო. **ვახტანგ რაზმაძე** შავით თეთრზე წერს, რომ შევარდნაძე მას, როგორც ქვეყნის გენერალურ პროკურორს, ჯერ კიდევ 1983 წელს ავალებდა სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრებას და მე რა შუაში ვარ?! ასეთი გახლდათ მისი ცხოვრების წესი — **ხაბეიშვილთან მეგობრობდა და ამ დროს გენერალურ პროკურორს ფარულ დავალებას აძლევდა, სოლიკო ხაბეიშვილი დაიჭირეო!** მე ბევრ რამეს ვერ ვლაპარაკობ...

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც უნდა ვახსენო, ცოცხლები აღარ არიან! აი, მაგალითად, **გივი სომხიშვილი** აგერ არის, ცოცხალია, ღმერთმა კარგად მიმყოფოს მაგის თავი და არ მალავს, თუ როგორ დაავალეს კოლექტივის თავმჯდომარეებსა და რაიკომის მდივნებს ფულის შეგროვება, რომელიც ვითომდა ჩემთვის უნდა გადმოეცათ. **გივი სომხიშვილს ციხეში ეუბნებოდნენ — პატიაშვილს ხელი დაადე, თქვი, რომ ფულს მისთვის აგროვებდით და მაშინვე გაგიშვებთო!**

**— ამას შევარდნაძე სჩადიოდა?**

— დიახ, ეს ხდებოდა შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს! სიღნაღის რაიკომის მდივანი გახლდათ **თამაზ ქევხიშვილი,** რომელმაც მომილოცა კიდეც — გადარჩენილი ხართო! — რა ხდება-მეთქი? — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მითხრა — მილიციის უფროსი მაიძულებდა, წერილი დამეწერა, თითქოს ჯუმბერ პატიაშვილს ფულს ვაძლევდიო! — მომიყვანეთ ის კოლმეურნეობის თავმჯდომარე-მეთქი! მომიყვანეს თავმჯდომარე, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან ვიცნობდი...

**— ეს ამბავი როდის მოხდა?**

— ცხადია, შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს, როცა მე მხოლოდ დარგის მდივანი ვიყავი.

**— შევარდნაძე ამას რატომ გიკეთებდათ, თქვენი ეშინოდა და კონკურენტს ხედავდა?**

— მიჭირს ჩემს თავზე ლაპარაკი! რა გითხრათ... მე ერთი ვიცი, რომ საერთოდ წასვლა მინდოდა, რადგან კარგად ვხედავდი, რესპუბლიკაში რაც ხდებოდა. კერძოდ, როგორ დასეირნობდნენ რაიკომის მდივნები ევროპის გარშემო, რომლებსაც მხოლოდ 300 მანეთი ჰქონდათ ხელფასი, რა წილებში იყვნენ, რა მიწერებს აკეთებდნენ და სახელმწიფოსა და ხალხს რას უშვრებოდნენ! სიღნაღის რაიკომის მდივანი **ნოდარ ბუჩუკური,** რომელიც ადრე ჩემთან მუშაობდა განყოფილებაში, რატომ დაიჭირეს? იმიტომ, რომ საშინელ მიწერებს ჰქონდა ადგილი! მოვიდა ერთ დღეს ჩემთან და მითხრა — 30 ათასი ტონა ყურძენი უნდა დავამზადოთო! — მე ვუთხარი — შენ ნორმალური ხარ, კაცო-მეთქი?! აი, ასეთ მაქინაციებს მიმართავდნენ!

**— ზურაბ პატარიძე შემთხვევით მოკვდა თუ სიკვდილში „მიეხმარნენ“?**

— ზურაბ პატარიძე ძალიან ძვირფასი და ახლობელი კაცი იყო, მაგრამ ცხონებული ღამე სხვაგან ვერ ჩერდებოდა და სადაც გინდა ყოფილიყო, აუცილებლად შინ ბრუნდებოდა. ძალიან უყვარდა ღამით სიარული. აი, მაგალითად, წინანდალში რომ ჩავიდოდით, შუაღამისას წამოვიდოდა თბილისში, არ უყვარდა სადმე გაჩერება. იმ საბედისწერო ღამეს რა მოხდა და კახეთის გზაზე როგორი მოძრაობა იყო ისეთი, რომ ზურაბ პატარიძე ავტოკატასტროფაში მოყვა, არ ვიცი!

**— თქვენზე წერენ, როცა მამუკა ასლანიკაშვილმა თავი მოიკლა, იმისათვის, რომ გასვენებაში ხალხი არ წასულიყო, ცეკაში საგანგებო თათბირი დანიშნაო! რა მოხდა სინამდვილეში და რას შეეწირა მამუკა ასლანიკაშვილი?**

— მამუკა ასლანიკაშვილი რასაც შეეწირა და თავი რისთვისაც მოიკლა, მთელმა საქართველომ იცის და მაინცდამაინც მე უნდა ვთქვა?!

**— თქვენ მასთან პიროვნული კონფლიქტი არ გქონიათ?**

— არ მქონია! პირიქით, მამუკას დეიდაშვილის შვილი **გოგია პაპავა** ვაკეთა მე-6 სკოლაში სწავლობდა და ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. ასე რომ, არავითარი წინააღმდეგობა ჩვენ შორის არ ყოფილა, თუმცა, ვაღიარებ და გეტყვით, რომ **რამდენიმე ფაქტმა, რომელიც მამუკა ასლანიკაშვილის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდებოდა, ჩვენ შორის ვითარება რამდენადმე დაძაბა.**

**— მაინც რა მოხდა?**

— არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ ისეთ შეკითხვებს მაძლევთ, ჩემი სიმართლე უნდა დავიცვა. **ცხონებული მამუკა იყო კარგი პიროვნება, ნამდვილი ქართველი, პატრიოტი, მაგრამ ერთ-ორ ჭიქას რომ დალევდა, მორჩა...**

**— ღვინოს ვერ იტანდა?**

— იმას ატანა არ ერქვა, კაცი აბსოლუტურად იცვლებოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ყველაფერს ვერ ვამბობ! 1986 წელია, იანვრის დასაწყისი, ბიჭვინთაში ვართ და ყრილობისთვის ვემზადებით, რომელიც 25 იანვარს უნდა ჩატარდეს... ცხადია, ყოველდღიურად მომდის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად რა მოხდა, ვინ დაიჭირეს, ვინ რა ჩაიდინა, ვინ გვასახელა, ვინ შეგვარცხვინა და ა.შ. შემატყობინეს, რომ ქუთაისში ხანძარი გაჩნდა, რასაც შეეწირა რომელიღაც ბაზა და ზარალმა შეადგინა 5 ათასი მანეთი. ზარალის სიმცირის გამო ამ ფაქტს დიდი ყურადღება არ მივაქციე. ყრილობაზე გამოდის **მამუკა ასლანიკაშვილი,** რომელსაც ძალიან კარგი სიტყვა ჰქონდა მომზადებული. მამუკას ვირჩევთ საკავშირო კომპარტიის ყრილობის დელეგატად, ცეკას წევრად და ვართ ერთ ამბავში... დამთავრდა ყრილობა და მომდის ახალი ცნობა — ქუთაისში ბაზაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად ზარალი 5 ათასი კი არა, სინამდვილეში 180 ათასი მანეთიაო! თან მითხრეს — „დაიწვა“ იაპონური ვიდეოკასეტები, რომლებიც დღეს ქუთაისში დახლქვეშ იყიდებაო! დავურეკე მამუკას და გამოვკითხე ეს ამბავი, მაგრამ ასლანიკაშვილს ხმა არ ამოუღია... გავეცი განკარგულება, დაეწყოთ გამოძიება და ყველაფერი დაწვრილებით შეესწავლათ. გამოძიება დაიწყო... ამასობაში საკავშირო ყრილობა მოგვიახლოვდა, რომელიც 1986 წლის თებერვალში თუ მარტში უნდა ჩატარებულიყო და მოსკოვში ჩავედით. **მამუკა ასლანიკაშვილი,** როგორც


***გაგრძელება მე-2 გვერდზე***




**„ზვიადის ნეშტი რომ საქართველოში ჩამოასვენეს, სვეტიცხოველში მივედი და ოჯახს მივუსამძიმრე!“**

**რაც არასოდეს მითქვამს... ★**



*სოლიკო ხაბეიშვილი*

**„ვახტანგ რაზმაძე შავით თეთრზე წერს, რომ შევარდნაძე მას, როგორც ქვეყნის გენერალურ პროკურორს, ჯერ კიდევ 1983 წელს ავალებდა სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრებას და მე რა შუაში ვარ?!“**

# «სოლიკო ხაბეიშვილი მე არ დამიჭერია!»



*ვახტანგ რაზმაძე*

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# მიხეილ გორბაჩოვმა ხელი ჩამომართვა და ღიმილით მითხრა – „მოლოდეც!“

**შევარდნაძემაც ჩამომართვა ხელი და ხელში ქაღალდი ჩამიდო... იმ ქაღალდს კარგა ხნის განმავლობაში ვინახავდი, მერე გადავაგდე!“**

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

ყრილობის დელეგატი, ჩემთან ერთად წამოვიდა. ყრილობაზე სიტყვით გამოვედი, დარბაზმა ჩემი გამოსვლა ძალიან კარგად მიიღო. გახარებული ვიყავი... მოვიდნენ **გორბაჩოვი და შევარდნაძე.** მიხეილ გორბაჩოვმა ხელი ჩამომართვა და ღიმილით მითხრა — „მოლოდეც!“ შევარდნაძემაც ჩამომართვა ხელი და ხელში ქაღალდი ჩამიდო... იმ ქაღალდს კარგა ხნის განმავლობაში ვინახავდი, მაგრამ მერე გადავაგდე.


მიხეილ გორბაჩოვი და ედუარდ შევარდნაძე

**— მაინც რა ეწერა ქაღალდზე?**

— ქაღალდზე ეწერა — „5+“-ით, ანუ შევარდნაძემაც ძალიან კარგად შეაფასა ჩემი გამოსვლა. აი, ამის შემდეგ მოხდა, რაც მოხდა... ჩემ შემდეგ გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბელგოროდიდან, რომელმაც პირდაპირ ტრიბუნიდან მიმართა **გორბაჩოვს** — სამოცდაათი მანქანა მივიღეთ ქუთაისიდან და ძალიან გთხოვთ, მეტს ნუღარ გამოგვიგზავნით, რადგან მანქანები ტექნიკურად გაუმართავია, ხშირად ფუჭდება და მათ შეკეთებას ვუნდებითო! ტაშით დაინგრა იქაურობა... ეს იყო პირდაპირ ხანჯალი, რომელიც ზურგში ჩამცეს! მაშინვე დავუძახე **ბორის ნიკოლსკის,** რომელიც მრეწველობას კურირებდა და თათბირებსაც ეგ ატარებდა... ნიკოლსკი შავ დღეში ჩავაგდე — რას აკეთებთ-მეთქი? ნიკოლსკიმ დაუძახა ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს **მამუკა ასლანიკაშვილს,** რომელიც ხმას არ იღებდა. ნიკოლსკიმ დამიწყო თავის მოქონვა — **ჯუმბერ ილიჩ, მი ვსიო პოპრავიმ!** — პაშლი ვი-მეთქი! ამის შემდეგ მე და **ბორის ნიკოლსკიმ** მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ **მამუკა ასლანიკაშვილი** ქუთაისისთვის მოგვეშორებინა და თბილისში ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარედ დაგვენიშნა. მოკლედ, ჩამოვედით თბილისში... სწორედ იმ დღეებში **პავლე ბილაშვილის** ცოლი გარდაიცვალა. პანაშვიდზე ვიყავი მისული, როცა დამირეკეს და მითხრეს — **მამუკა ასლანიკაშვილმა** თავი მოიკლაო!

**— მხოლოდ ეს იყო თვითმკვლელობის მიზეზი?**

— მთავარ მიზეზს არ და ვერ დავასახელებ, მაგრამ **მამუკა ასლანიკაშვილის** თვითმკვლელობას, ალბათ, გარკვეულწილად „დაეხმარა“ ისიც, რომ ქუთაისში ბაზაზე გაჩენილი ხანძრის გამო დაწყებული გამოძიება, რაშიც უშიშროებაც იყო ჩართული, შემაშფოთებელ და საგანგაშო შედეგებზე იყო გასული!

**— კერძოდ!**

— კერძოდ, ქუთაისელმა საქმოსნებმა ყველაფერი აღიარეს და **მამუკა ასლანიკაშვილს** ხელი დაადეს — მოსკოვში რომ მიდიოდა, 15-20 ათას მანეთს ყოველთვის ვუგროვებდით და ვაძლევდითო! ძალიან სერიოზულად იყო საქმე...

**— ქვეყანამ იცის, რომ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სინამდვილეში თქვენ მოიგეთ და შევარდნაძე დაამარცხეთ! რატომ ვერ შეძელით მაშინ ხმების დაცვა?**

— როგორ უნდა დამეცვა ხმები, როცა მილიცია, პოლიცია, „კაგებე“, პარლამენტი, პროკურატურა და მთელი ადმინისტრაციული რესურსი შევარდნაძეზე მუშაობდა?!

**— მახსოვს, მაშინ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, „გაზ-31“, რომლითაც თქვენ გადაადგილდებოდით და მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავდით, ძალიან საეჭვო ვითარებაში მოყვა ავარიაში. ავტოავარია შევარდნაძემ მოგიწყოთ?**

— ძნელია, ვინმეს ხელი დავადო, თუმცა, მიმაჩნია, რომ ავტოავარია მართლაც საეჭვო ვითარებაში მოხდა. ლაგოდეხში ვიყავით მაშინ, ქალს ფეხი მოტყდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გადავრჩით!

**— ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ შევარდნაძემ მოაკვლევინა? რა იცით ზვიად გამსახურდიას ბურუსით მოცული გარდაცვალების შესახებ?**

— მე ერთი რამ ვიცი: ზვიადის ნეშტი რომ საქართველოში ჩამოასვენეს, სვეტიცხოველში მივედი და ოჯახს მივუსამძიმრე! მაშინ ჟურნალისტები დამესივნენ და შეკითხვები დამაყარეს. მე ვუთხარი — ზვიადი და მე ერთმანეთის მტრები არ ვყოფილვართ-მეთქი! მტრები კი არა, ზვიადისთვის და მერაბისთვის ბევრი სიკეთე მაქვს გაკეთებული!



*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

*გაგრძელება იქნება*

## „ზვიადისთვის და მერაბისთვის ბევრი სიკეთე მაქვს გაკეთებული!“

---

*პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ მიზეზებს ასახელებს, რის გამოც 1937 წლის ივნისში სტალინი თბილისში დედის დასაფლავებაზე ვერ ჩამოვიდა და აღნიშნავს, რომ ბელადისა და ეკატერინე გელაძის დედაშვილობა სამაგალითო იყო:*




— რაც კი მეტ-ნაკლებად სანდო წყარო არსებობს, ყველგან საგანგებოდ აღნიშნულია, რომ სტალინი დედას აღმერთებდა! **პეტა კაპანაძეზე** რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც სიკვდილამდე სტალინის ერთგული დარჩა, ამის შესახებ საგანგებოდ საუბრობს ბელადის კიდევ ერთი ბავშვობის მეგობარი, მაგრამ, პეტასგან განსხვავებით, შემდეგ მისი დაუძინებელი მტერი, ევროპაში გადახვეწილი **იოსებ ირემაშვილიც.**

სტალინისთვის დედა — **ეკატერინე (კეკე) გელაძე** ქართველი ქალის სიწმინდის, სისპეტაკის, კდემამოსილების ხატი იყო.

**სტალინის წარმომავლობასთან დაკავშირებით თუ რამ ჭორი არსებობს, მათ შორის ყველაზე გაბატონებულია ვერსია მისი ეგნატაშვილობის შესახებ, მაგრამ დედასთან ბელადის ურთიერთობას ეს ჭორ-მართალიც ვერ აფუჭებს.**

ისე, სტალინის ოჯახში, შვილებისა და შვილიშვილების სახით, კანონიერი გზით, სამი ბიჭი დაიბადა და სამივეს იაკობ ეგნატაშვილისა და მისი შვილების — **ვასილისა და ალექსანდრეს** სახელები დაარქვეს — **იაკობი, ვასილი და ალექსანდრე.** მოგეხსენებათ, **იაკობი და ვასილი** სტალინის ვაჟები იყვნენ, ხოლო **ალექსანდრე,** ანუ იგივე **საშა ბურდონსკი,** რომელსაც ხრუშჩოვმა მამისა და პაპის გვარი ჩამოართვა, **ვასილი სტალინის** შვილი იყო.

სტალინს **იაკობ ეგნატაშვილთან** და მის შვილებთან — **ალექსანდრესთან და ვასილისთან** იდეალური ურთიერთობა ჰქონდა. ბელადი თუ ვინმეს ენდობოდა და გაჭირვების დროს ვინმეს ფულს სთხოვდა, ეს სწორედ **იაკობ ეგნატაშვილი** და მისი შვილები იყვნენ! თუ გავყვებით იმ ვერსიას, რომ სტალინი იაკობ ეგნატაშვილის შვილი და **ვასილ** და **ალექსანდრე ეგნატაშვილების** ნახევარძმა იყო, მაშინ ეს ფაქტიც ვერ უშლის ხელს ბელადისა და **კეკე გელაძეს** შორის იდეალური დედაშვილური ურთიერთობის არსებობას.

**— ბატონო სვიმონ, წყეული ლევან ბერძენიშვილი გამოვიდა და ბეჭედი დასვა — სრულიად ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველამ გორის სემინარიაში სწავლის დროს კეკე გელაძე გაიცნო, რომელიც მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო და სწორედ ვაჟასა და კეკეს აკრძალული სიყვარულის ნაყოფი იყო სტალინიო! რაიმე მინიშნება, თუნდაც ყურით მოთრეული ამბავი, წყარო არსებობს, რომელიც ლევან ბერძენიშვილის პირიდან ამოსულ სიბილწეს გაამაგრებს?**



## სვიმონ მასხარაშვილი:

— არავითარი მსგავსი წყარო და მინიშნება ბუნებაში არ არსებობს! ეს არის სისულელე და აბსურდი. **როგორ ბედავს ლევან ბერძენიშვილი ასეთ რამეს?** 1878 წლის 18 დეკემბერს, როცა სტალინი დაიბადა, ვაჟა-ფშაველა არა გორში, არამედ თბილისში მოღვაწეობდა და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა. ვაჟა-ფშაველა გორის სამასწავლებლო, ანუ საოსტატო სემინარიაში მხოლოდ 1879 წლიდან ჩნდება, როცა სტალინი უკვე დაბადებულია და **კეკე გელაძესთან** სტალინი როგორ გააჩინა? გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ **ბესარიონ ჯუღაშვილი** ყოველმხრივ უარყოფითი პიროვნება იყო, შესაძლოა, ახალგაზრდა ეკატერინე გელაძემ იაკობ ეგნატაშვილის სახით მართლაც იპოვა მფარველი და გულშემატკივარი, რომელთანაც ვაჟი გააჩინა, მაგრამ ეკატერინეს მსუბუქ ყოფაქცევაზე საუბარი ყოვლად სამარცხვინო და გაუმართლებელია, რადგან ამას არავითარი საფუძველი არ გააჩნია! ეს არის უბინძურესი ჭორები, როდესაც ადამიანის პირად ცხოვრებაში ქექვას იწყებენ და იქიდან „დასკვნები“ გამოაქვთ! **სტალინი ისეთი მასშტაბის პოლიტიკოსი და მხედართმთავარია, ვერავითარი ბინძური ჭორი მის სიდიადეს ვერ შებღალავს!**

**— თუ სტალინს დედასთან იდეალური ურთიერთობა ჰქონდა, 1937 წლის ივნისში, როცა ეკატერინე გელაძე გარ-**

# დანამდვილებით არავინ იცის, 1937 წლის ივნისში დედის დასაფლავებაზე სტალინი საიდუმლოდ ჩამოვიდა თუ არა!

**„მთელ საბჭოთა მთავრობაში მორწმუნე ქრისტიანი მხოლოდ სტალინი იყო. ყველა დანარჩენი, ეროვნების მიუხედავად, ღვთისმგმობელი და ათეისტი გახლდათ!“**



# „სტალინმა ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის მკვლელები დახვრიტა!“

**დაიცვალა, ბელადი დედის დაკრძალვაზე რატომ არ ჩამოვიდა?**

— ჩვენ ამის შესახებ ნაწილობრივ ვისაუბრეთ და წინა ინტერვიუებში ვთქვით, რომ 1921 წლის ივლისში ნაძალადევში, გიორგი პლეხანოვის სახელობის კლუბში, მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როცა **სერგო ორჯონიკიძისა** და **ფილიპე მახარაძის** აგენტებმა თბილისში ჩამოსულ სტალინს **„ყორლანაშვილი“** ეძახეს, ბელადი თბილისში აღარ ჩამოსულა! ამას დავუმატოთ ისიც, რომ 1935-1937 წლებში სტალინი სიკვდილ-სიცოცხლის ფაქტის წინაშე თითქმის ყოველდღე იდგა. სტალინის დედა გარდაიცვალა 1937 წლის 4 ივნისს... 1937 წლის ზაფხულში მთელი ძალაუფლება ხელში აიღო საკავშირო კომპარტიის რუსეთის ბიუროს ხელმძღვანელმა, შეთავსებით საკავშირო კომპარტიის ერთ-ერთმა მდივანმა და უშიშროების მინისტრმა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა **ნიკოლაი ეჟოვმა.** ჩვენ კარგად ვიცით, რომ საკავშირო ცეკას რუსეთის ბიურომ იარსება მხოლოდ ეჟოვისა და ხრუშჩოვის დროს მაშინ, როცა ორივე გადატრიალებას ამზადებდა, თორემ სხვა შემთხვევაში ამ ბიუროს არასოდეს უარსებია.

მოკლედ, **ნიკოლაი ეჟოვი,** რომლის ხელშიც უზარმაზარი ძალაუფლება იყო თავმოყრილი, 1937 წლის ზაფხულში იწყებს საშინელ რეპრესიებს, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ სტალინის წინააღმდეგ არის მიმართული, რათა საბჭოთა კავშირში ანტისტალინური განწყობები შეიქმნას. აი, ასეთ სიტუაციაში თბილისში ჩამოსვლა სერიოზული რისკი იყო, რადგან სტალინის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების ყველაზე უფრო სერიოზული და აგრესიული ფრთა სწორედ საქართველოს კომპარტიის უმაღლეს ეშელონებში გახლდათ ჩაბუდებული. ნუ დაგვავიწყდება, რომ 1938 წელს ამ ფრთის წარმომადგენლებმა თვით **ლავრენტი ბერიას** დაპატიმრებაც კი სცადეს. მართალია, 1937 წელს ბერია ცეკას მდივანი იყო, მაგრამ მის გარდა ხელისუფლებას წარმოადგენდნენ სტალინის დაუძინებელი მტრებიც.

არ დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ სამამულო ომის დაწყებამდე, როდესაც სტალინი წაღვერს სტუმრობდა, იგი დახურული, ჯავშნოსანი მატარებლით გადაადგილდებოდა, რომელსაც ფანჯრები არ ჰქონდა. მოკლედ,

**დედის დაკრძალვაზე ბელადის განადგურების საფრთხე რეალური იყო და ეს საფრთხე არ გამქრალა მანამ,**

## სანამ მეორე მსოფლიო ომში სტალინმა ტრიუმფით არ გაიმარჯვა!

არაერთხელ გვითქვამს, რომ 1926 წელს სტალინმა რეალური ძალაუფლება აიღო ხელში, რადგან მოახერხა უკრაინელი კომუნისტების მხარდაჭერის მოპოვება და მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციებში, ასევე პოლიტბიუროში თავისი ხალხის დასმა, მაგრამ სტალინს მასები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. იგი ჩრდილში რჩებოდა, სანამ „პრავდის“ მთავარ რედაქტორად არ დანიშნა **ლევ მეხლისი,** რომელმაც 1931 წლიდან მიზანმიმართულად დაიწყო ბელადის პიარი და მისი სახელის ტირაჟირება! 1930 წელს სტალინს ძალაუფლება და გავლენა ყველაზე მეტი ჰქონდა, მაგრამ ოპოზიციაში გადასულ და ქვეყნიდან გაგდებულ **ტროცკისთან, კამენევთან, რიკოვთან, ზინოვიევთან და ბუხარინთან** შედარებით, ბელადი არ იყო ცნობადი სახე. უფრო მეტსაც გეტყვით, 1930 წლის მდგომარეობით, სტალინზე უფრო ცნობილი შესაძლოა, **ვიაჩესლავ მოლოტოვი და კლიმენტი ვოროშილოვიც** კი იყვნენ, რომლებიც ბელადის უახლოეს და უერთგულეს გვარდიას წარმოადგენდნენ.

**— თუმცა, 1956 წლის 25 თებერვალს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის „პიროვნების კულტის“ შესახებ ოთხსაათიანი მოხსენება წაიკითხა, ეს „გვარდია“ დარბაზში ხმაგაკმენდილი იჯდა!**

— დიახ, იყო ასე და განსაკუთრებით **კლიმენტი ვოროშილოვმა** შეირცხვინა თავი, რომელსაც სტალინი მთელი ცხოვრება ზურგით მოათრევდა! მე-20 ყრილობაზე სტალინი სუყველამ გაყიდა! არც მოლოტოვს, არც კაგანოვიჩს, არცერთ მარშალსა და უმაღლესი თანამდებობის პირს, რომლებიც სტალინმა აღაზევა, პროტესტი არ გამოუთქვამთ და დარბაზი არ დაუტოვებიათ. აი, ასეთი მოღალატეებისა და მედროვეების გარემოცვაში მყოფ ბელადს ვისი ან რისი იმედი უნდა ჰქონოდა? ამიტომაც იყო, რომ იმ ურთულეს დროს სტალინი თბილისში არ ჩამოვიდა და დედის დასაფლავებას არ დაესწრო! თუმცა, საინტერესოა ერთი საკითხიც — **დანამდვილებით არავინ იცის, 1937 წლის ივნისში დედის დასაფლავებაზე სტალინი საიდუმლოდ ჩამოვიდა თუ არა!**

**— რა გაძლევთ ამის განცხადების საფუძველს?**

— სტალინი უდიდესი კონსპირატორი იყო და არ გამოვრიცხავ, რომ იმ საშიშ დროს, 1937 წლის ივნისში, დედის დასაფლავებას დასწრებოდა.

**— ამის შესახებ რაიმე ცნობა არსებობს?**

— თუ იმ ექსპროპრიაციების ისტორიას გადავავლებთ თვალს, რომელშიც **სიმონ ტერ-პეტროსიანთან,** ანუ იმავე კამოსთან ერთად, სავარაუდოდ, ახალგაზრდა სტალინიც მონაწილეობდა, მაშინ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება! მოგეხსენებათ, ექსპროპრიაციების დროს რევოლუციონერები კონსპირაციის ისეთ მეთოდებს მიმართავდნენ და ისეთ გრიმს იკეთებდნენ, ვერავინ ცნობდა. საერთოდ, რევოლუციონერები იყვნენ ძალიან სახიფათო ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ სიგიჟეს აწერდნენ ხელს. თანაც რუს რევოლუციონერებს — ბოლშევიკებს, რომლებმაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გავლენის მქონე იმპერატორი, 140 მილიონი ადამიანის მბრძანებელი დაამხეს, ოჯახიანად დახვრიტეს, ქვეყანა დაამშიეს, მღვდლები ამოწყვიტეს, ეკლესიები დაანგრიეს, ქვეყანა საშინელ სამოქალაქო ომში გახვიეს, ამოდენა სისხლი დაღვარეს და ეს ყველაფერი შერჩათ, ბუნებრივია, არც სტალინის მოკვლაზე აუკანკალდებოდათ ხელი. არავითარი მორალური კრიტერიუმი არ არსებობდა, რომელიც ამ ველურ ხალხს შეაჩერებდა. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ მთელ საბჭოთა მთავრობაში მორწმუნე ქრისტიანი მხოლოდ სტალინი იყო. ყველა დანარჩენი, ეროვნების მიუხედავად, ღვთისმგმობელი და ათეისტი გახლდათ!

სტალინმა იცოდა, რომ ნიკოლაი ეჟოვის პოლიტიკური ამბიციების უკან იმპერატორ **ნიკოლოზ მეორისა** და მთელი მისი ოჯახის მკვლელები იდგნენ. სწორედ ეს მკვლელები ახალისებდნენ და ტაშს უკრავდნენ ეჟოვშჩინას. ამიტომაც იყო, რომ სტალინმა ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის მკვლელები დახვრიტა! რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში **სოლჟენიცინის** ნაბოდვარით მოწამლულ ხალხს არ უნდა ამის მოსმენა, თორემ **ფრანკოს რეჟიმის** აპოლოგეტი თანამედროვე ესპანელი ისტორიკოსებიც კი აღიარებენ და წერენ, რომ ფრანკო ცდებოდა, რადგან 30-იანი წლების ბოლოს სტალინმა რუსეთი ისევ ქრისტიანობისკენ შემოატრიალა და ევროპელ პოლიტიკოსთა შორის თუ ვინმე მორწმუნე ქრისტიანი იყო, უპირველეს ყოვლისა, სტალინი! დიახ, ამას წერენ ფრანკისტები, იმ ფრანკოს მომხრეები, რომელთაც სტალინი არასოდეს უყვარდათ! სხვათაშორის, სტალინის დედა **კეკე ბელაძე** ძალიან მორწმუნე ქალი იყო.

**— სტალინი რომ დედის გასვენებაში არ ჩამოვიდა, ამის გამო უცხოეთის პრესამ არ გაკიცხა?**

— არა, ბელადისთვის ეს ნაკლად არავის ჩაუთვლია, რადგან დრო იყო მაშინ ასეთი. აი, მაგალითად, უდიდესი გერმანელი სამხედრო მოღვაწე, ფელდმარშალი **ერიხ ფონ მანშტაინი,** როცა თავის მოგონებებში ვაჟიშვილის გარდაცვალებაზე ერთ აბზაცს წერს, მკითხველს ათას ბოდიშს უხდის, რომ თავის პირად ტრაგედიასა და განცდებზე მოუწია საუბარი. სტალინი რომ დედის გასვენებაში ჩამოსულიყო და ჭირისუფლად დამდგარიყო, რატომ გამოვრიცხავთ, **ნიკოლაი ეჟოვს** ორი კურდღელი დაეჭირა, პროვოკაცია მოეწყო, სტალინიც მოეკლა და მერე ამისთვის ნახევარი საქართველოც გადაეყოლებინა? ეს საფრთხეც იყო, რაც ბელადმა სწორად განჭვრიტა და იმ არეულ დროს თბილისში არ ჩამოვიდა. თუმცა, რა მოხდა სინამდვილეში და გააცილა თუ არა ბელადმა **კეკე ბელაძე** უკანასკნელ გზაზე, ეს უწყის ღმერთმა და იმ დოკუმენტებმა, რომლებიც პუტინს აქვს ჩაკეტილი და ცოცხალი თავით არ ასაჯაროებს!

**— საინტერესოა, რატომ ვერ გაბედა ვერცერთმა ხელისუფლებამ ეკატერინე ჯუღაშვილის საფლავისთვის ხელის ხლება?**

**— მადლობა ღმერთს, რომ ეს საქართველოში არავინ იკადრა!**

**— გორში სტალინის ძეგლი უნდა იდგეს თუ არა?**

**– თუ გორის მოსახლეობას სათანადო ღირსება გააჩნია, თავად უნდა წყვეტდეს, გორში ვისი ძეგლი უნდა იდგეს და ვისი – არა! გორს სტალინზე უფრო საამაყო არავინ ჰყოლია!**

სტალინის ფიგურა საბჭოთა კავშირისა და მარქსიზმ-ლენინიზმის მასშტაბებს ცდება და აბსოლუტურად განყენებული, ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. უფრო მეტიც, თბილისსა და დანარჩენ საქართველოში არამარტო სტალინის, არამედ **ლავრენტი ბერიას, ვასილ მჟავანაძის, ისიდორე დოლიძის, ოთარ ლაზიშვილის, გიორგი გეგეშიძისა და შოთა ბუხრაშვილის** ძეგლებიც უნდა დაიდგას! სწორედ ამ ადამიანებმა ააშენეს ის თბილისი და საქართველო, რომელიც გვიყვარს და რომლითაც ვამაყობთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



ლავრენტი ბერია



ვასილ მჟავანაძე



ისიდორე დოლიძე



ოთარ ლაზიშვილი



გიორგი გეგეშიძე



შოთა ბუხრაშვილი

**„თბილისსა და დანარჩენ საქართველოში არამარტო სტალინის, არამედ ლავრენტი ბერიას, ვასილ მჟავანაძის, ისიდორე დოლიძის, ოთარ ლაზიშვილის, გიორგი გეგეშიძისა და შოთა ბუხრაშვილის ძეგლებიც უნდა დაიდგას!“**

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## სტალინის უბოროტესი მტერი ტროცკი მისი ბრძანებით 1940 წლის აგვისტოში ემიგრაციაში მოკლეს. ისმის კითხვა – რატომ სწორედ 1940 წელს? ნუთუ ვოლკოგონოვი და სხვა ავტორები სიმართლეს წერენ, რომ სტალინს იმ პერიოდში საკმარისი ძალაუფლება არ ჰქონდა, ამიტომ იძულებული იყო, ტროცკი საზღვარგარეთ გაესახლებინა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მოეღო მისთვის ფიზიკურად ბოლო?

**1927 წელს გამთიშველი ოპოზიციური საქმიანობისათვის ლევ ტროცკი ცკ-დან გამოიყვანეს, პარტიიდან გარიცხეს და ქალაქ ალმა-ატაში გადაასახლეს.** თუმცა მას გადასახლებიდანაც არ შეუწყვეტია კავშირი თავის მომხრეებთან სსრკ-ში და საზღვარგარეთ. ამიტომ, ცკ-ის პოლიტბიუროს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რომელიც სსრკ-ის პრეზიდიუმმა დაადასტურა, **ტროცკი ქვეყნიდან გააძევეს, მალე კი საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოართვეს.** იგი ჯერ **თურქეთში, პრინცის კუნძულებზე** ცხოვრობდა, შემდეგ ევროპის სხვადასხვა ქვეყანა მოიარა, ბოლოს კი **მექსიკაში** დამკვიდრდა (ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც მის მიღებას დათანხმდა), სადაც ნკვდ-ს აგენტმა **ფრენკ ჯექსონმა** (სინამდვილეში რამონ მერკადერ დელ რიო) მოკლა. **ტროცკის ლიკვიდაციის ოპერაცია მართლაც სტალინის ბრძანებით განხორციელდა.** მას შინაგან საქმეთა მაშინდელი სახკომი **ლავრენტი ბერია**, კომისარიატის ერთ-ერთი განყოფილების გამგე **პაველ სუდოპლატოვი** და მექსიკაში საბჭოთა რეზიდენტი პოლკოვნიკი **კოტოვი** (ფსევდონიმი — ნაუმ ეიტინგეინი) ხელმძღვანელობდნენ.

რატომ არ მოიცილეს **ტროცკი** უფრო ადრე? **სასაცილო იქნებოდა იმის თქმა, რომ სტალინს მისი გასამართლებისა და დახვრეტისათვის საკმარისი ძალაუფლება არ გააჩნდა.** ჯერ კიდევ სასიკვდილოდ დაავადებული **ლენინის** სიცოცხლეში **სტალინი ზინოვიევსა** და **კამენევთან** ერთად, ფაქტობრივად, ქვეყნის სრულუფლებიანი მმართველი გახლდათ, 1925 წელს კი, ტრიუმვირატის ამ ორი წევრის ჩამოცილების შემდეგ, დიქტატორის უფლებამოსილება მიიღო. მაშ, **რატომ დაუშვა ყოვლისშემძლე მმართველმა ტროცკის საზღვარგარეთ გამგზავრება? რატომ არ ბრძანა მისი დაპატიმრება და გასამართლება?**

მეტსაც გეტყვით. პოლიტბიუროზე სწორედ **სტალინმა** დააყენა **ტროცკის** გაძევების წინადადება, **ბუხარინი** და პოლიტბიუროს ზოგიერთი სხვა წევრი უფრო მკაცრ ზომებს ემხრობოდნენ. საქმე ის არის, რომ **სტალინს** თავისი ჩანაფიქრი ჰქონდა. **მას სურდა, ბოლომდე გამოევლინა ტროცკის** ყველა კავშირი, **მთელი მსოფლიოს თვალში იგი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის „მეხუთე კოლონად“ წარმოეჩინა, გამოემჟღავნებინა ტროცკიზმის ჭეშმარიტი სახე,** სახელი გაეტეხა მისთვის და საბოლოოდ ამოეძირკვა საბჭოთა კავშირში **ტროცკიზმიც** და **ტროცკისტებიც.** ამისათვის კი მას ცოცხალი **ტროცკი** სჭირდებოდა, რომელსაც კაპიტალისტური ბანკები აფინანსებდნენ, რომელსაც საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა თავის მომხრეებთან საბჭოთა კავშირში, რომელიც ქვეყანაში საიდუმლო აგენტებს აგზავნიდა და ა.შ. ცნობილია **სტალინის** სიტყვები (მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის მოგონებიდან): **„ჯარისკაცები უკანასკნელ ვაზნამდე იბრძვიან, ჩვენ კი უკანასკნელ ტროცკიმდე ვიბრძოლებთ“.** 30-იანი წლების ბოლოს სსრკ-ში არსებული მთელი **ტროცკისტული** იატაკქვეშეთი გამოვლენილი და უვნებელყოფილი იყო. საზღვარგარეთ დარჩენილი პატარა **ტროცკისტული** წრეები უბადრუკად მიათრევდნენ წუთისოფელს. ცოცხალი **ტროცკი** საჭირო აღარ გახლდათ. ამასთან, მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ფაშიზმთან შეტაკება გარდაუვალი იყო. ამ სიტუაციაში **ტროცკი,** რომელიც ხმამაღლა აცხადებდა, რომ **სტალინის** და **ჰიტლერის ჰიდილში უთუოდ ჰიტლერი გაიმარჯვებდა, ისტორიის საჭადრაკო დაფაზე ზედმეტი ფიგურა აღმოჩნდა და სწორედ მაშინ, 1940 წლის აგვისტოში, მეხიკოს გარეუბანში მდებარე მის ვილაში რამონ მერკადერი გააგზავნეს საწვიმარში დამალული ძალაყინით.**



## დადგენილია თუ არა ლენინის გენეალოგია? ის ხომ რუსად ითვლებოდა, ახლა კი, ზოგი პუბლიკაციის თანახმად, გამოდის, რომ მთლიანად რუსი არ არის, უფრო სწორად, მთლიანად არარუსია. უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობთ ამის შესახებ?

**ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის საგვარეულო ნუსხა ისტორიკოსმა მიხეილ შტეინმა დაადგინა.** მისი გენეალოგიური ხე 1992 წელს სარატოვში გამოცემულ წიგნში — **„ბელადი. ლენინი, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ“** — გამოქვეყნდა. ეს ნაშრომი მეტჯერ აღარ დაბეჭდილა, თანაც მისი ტირაჟი მეტად მცირე — სულ 5 ათასი ეგზემპლარი გახლდათ. ეს ადვილი ასახსნელია. როგორც ჩანს, რუსებს დიდად არ სიამოვნებთ, რომ ბელადი, თუნდაც **„ჩამოლაბორანტებული“,** მისი მემკვიდრე სტალინის მსგავსად, ფაქტობრივად, უცხომიწელი იყო.



ულიანოვების ოჯახი. 1879 წელი

ხმები **ლენინის** არარუსული წარმოშობის შესახებ ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში დაირხა. პირველად ვერსია **ლენინის** ყალმუხური წარმოშობის შესახებ მწერალმა მარიეტა შაგინიანმა გაავრცელა წიგნით **„ულიანოვების ოჯახი“.** კონსულტანტად მას **ლენინის** ქვრივი — **ნადეჟდა კრუპსკაია** ჰყავდა. შაგინიანი წერდა, რომ **ლენინის ბებია მამის მხრიდან წარმოშობით „ვარჩინებული ყალმუხური გვარისა“ იყო. დედის მხრიდან ბაბუას ალექსანდრე დიმიტრის ძე ბლანკს იგი „მალოროსს“** (უკრაინელს) **უწოდებდა.** ბლანკის ებრაული წარმოშობის შესახებ დოკუმენტები იმ დროს ჯერ არ იყო არქივებში აღმოჩენილი.

**„ულიანოვების ოჯახი“** 1938 წელს გამოიცა. მის ავტორს და განსაკუთრებით კონსულტანტს — კრუპსკაიას **სტალინისგან** მაგრად მოხვდათ. საქმე ის არის, რომ მარიეტა შაგინიანის აღმოჩენა საბჭოთა ბელადის ყალმუხური წარმოშობის შესახებ **ჰიტლერულმა** პროპაგანდამ აიტაცა. წიგნთან დაკავშირებით სკპ(ბ) ცკ-მ საგანგებო დადგენილება მიიღო, რომელშიც მის ავტორს და კონსულტანტს პარტიული ხაზით მკაცრი საყვედური გამოუცხადა. თავად წიგნი კი მაღაზიებიდან და ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს.



ცნობილია აგრეთვე, რომ სტალინმა პირადად წააწერა ამ კრამოლურ წიგნს: **„გადაეცით იმ ჩერჩეტს, რომ ლენინი ბიოლოგიური კი არა, ისტორიული მოვლენა გახლავთ“.** ორიდან რომელი ჩერჩეტი ჰყავდა მას მხედველობაში, გაურკვეველია. შესაძლოა — ორივე.

ახლა შტეინის შედგენილი გენეალოგიური ხის შესახებ. იგი ჰიტლერის საგვარეულო ნუსხასავით ვრცელი არ არის. ლენინის მამის — ილია ულიანოვის შტო, დაწყებული ყმა გლეხით გრიგორი ულიანინოვით, მეხუთე მუხლამდეა გამოკვლეული. მას მოჰყვებიან ვაჟი ნიკიტა (1711-1779), ლენინის პაპის მამა **ვასილი ნიკიტას ძე** (1733-1770), მისი ვაჟი **ნიკოლაი,** რომელიც გვარად უკვე **ულიანოვი** იყო (1766-1836) და ბოლოს **ილია ულიანოვი, ლენინის მამა** (1831-1886). **ილიას დედა ანა სმირნოვა მართლაც ყალმუხი გახლდათ** (ისინი რუსულ გვარებს ატარებდნენ). ამასთან შტეინი ეჭვქვეშ აყენებს **ულიანოვების** (ულიანინოვების) რუსულ წარმოშობას. მისი აზრით, ისინიც მონათლული **ყალმუხების** წრიდან მოდიოდნენ.

დედის შტოს ორი ხაზი აქვს: **ლენინის დედის მარია ალექსანდრეს ასული ბლანკის მამის და დედის.** მამის ხაზი დამუშავებული არ არის. დადგენილია, რომ მამამისი ებრაელი ისრაელ **ბლანკი** გახლდათ, რომელმაც 20 წლის ასაკში, მონათვლის შემდეგ, **ალექსანდრე დიმიტრის ძე** დაირქვა. დედის ხაზი, პირიქით, მეშვიდე მუხლამდეა დამუშავებული. იგი ეროვნებით გერმანელი მეხელთათმნის **კარლ რაინჰოლდ** ესტედტისა და აგრეთვე გერმანელი (ზოგი მონაცემით — შვედი) **იოხან გოტლიბ გროსშოპფისგან** მომდინარეობს. სწორედ მათი შთამომავალი ანა გროსშოპფი გახდა **ალექსანდრე ბლანკზე** გათხოვების შემდეგ **მარია ულიანოვა-ბლანკის** დედა.

ამგვარად, შეგვიძლია დავადასტუროთ (თუ, სტალინის საპირისპიროდ, ლენინს ბიოლოგიურ მოვლენად ჩავთვლით), რომ **ლენინში** თავმოყრილია **გერმანული, შვედური, ყალმუხური და, შესაძლოა, რუსული სისხლი.** მისი ებრაული ფესვების შესახებ საბუთები შტეინმა მხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინა. **ჰიტლერელები** მათ არ იცნობდნენ და ვერც თავიანთი პროპაგანდისათვის გამოიყენებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი წარმოსადგენია, რარიგ განრისხდებოდა **სტალინი.**

## რაში მდგომარეობს ი. ბ. სტალინის სიკვდილის საიდუმლო და რა როლი შეასრულა ამაში ლავრენტი ბერიამ?



**მთელი მსოფლიოს ისტორიკოსებს აგერ უკვე თითქმის 50 წელია, ვერ დაუდგენიათ, თავისი სიკვდილით გარდაიცვალა ბელადი თუ მოწამლეს.** ჩანს, ეს საიდუმლო ბოლომდე დაფარული დარჩება, რადგან მასთან დაკავშირებით არცერთი საბუთი ან მოწმობა არ შემორჩენილა. ერთი რამ სრულიად დარწმუნებით შეიძლება ითქვას — **სტალინის** სიკვდილი, იმის მიუხედავად, მიაწოდეს თუ არა მას **„შხამით სავსე ფიალა“,** მაინც მკვლელობაა, რადგან ინსულტის შემდეგ, მისი თანამოსაგრეების მეცადინეობით, დღე-ღამეზე მეტ ხანს **სტალინთან** ექიმები არ მიუწვევიათ. **ინსულტი მას 1 მარტის ღამით ან დღის პირველ ნახევარში დაემართა** (პერსონალმა იგი უგონო მდგომარეობაში საღამოს აღმოაჩინა), **ექიმებს კი მხოლოდ 2 მარტის დილას უხმეს.**

**ხრუშჩოვის** წყალობით დღეს **სტალინის** მკვლელად **ბერია** ითვლება. ცნობილია **ნიკიტას** მიერ მრავალგზის გამეორებული ფრაზა, რომ **„სტალინის სიკვდილით ერთადერთი ადამიანი — ლავრენტი ბერია გახლდათ დაინტერესებული“.** ამ გზით **ხრუშჩოვმა** პასუხისმგებლობა მოიხსნა. რა, განა ამ სიკვდილით პირადად იგი დაინტერესებული არ ყოფილა? განა ჯერ **სტალინის,** შემდეგ კი **ბერიას** ჩამოცილებით არ გაიკვალა გზა **ხრუშჩოვმა** ძალაუფლებისკენ? თუ ამას ბელადისადმი **ნიკიტას ცხოველურ სიძულვილს დავამატებთ** (მისი ვაჟის დახვრეტის გამო, რომელიც გერმანელებს ემსახურებოდა), **რაც მთელი სიმძაფრით მე-20 ყრილობაზე „პიროვნების კულტის მხილებაში“ გამოვლინდა, აშკარა გახდება, რომ სტალინის მკვლელობის ინიციატორი ხრუშჩოვი იყო.**





ვენერალისიმუსი
2023 წლის 16 იანვარი. № 5 (173)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „თქვენ გჯერათ სააკაშვილის ფარისევლური კნავილის, მაგრამ ნუთუ ასე მალე მიგავიწყდათ სანდრო გირგვლიანის დედის ცრემლები? რობაქიძის დედის მოთქმა?“



***სოხუმში დაბადებული კაცი თბილისში ტაქსაობით არჩენს ოჯახს. საკუთარ თავზე გამოცადა აფხაზეთის ომის მარწუხები, საკუთარ სამშობლოში დევნილმა კოდორის ხეობაში გვამებით მოფენილი გოლგოთის ბილიკიც ფეხით გამოიარა... მოგვიანებით, სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიები და წამებაც იგემა და უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროგნოზებს აკეთებს: ზუსტად იცის, რეალურად ვინ წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ისიც იცის, უახლოეს მომავალში როგორ დატრიალდება საქართველოს ბედის ჩარხი! —*** *„მერწმუნეთ, 2023 წლიდან საქართველოს გაბრწყინების და ბედნიერების ხანგრძლივი ერა იწყება!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი რუსლან კვარაცხელიამ:***



## რუსლან კვარაცხელია:

# მოკვდება და ძაღლი მიაკვდეს! რამდენი კაცი დაიღუპა სუკაშვილის ციხეში - ვინმემ ზუსტად დაითვალა?

— თანამოქალაქეების ცხედრებით სავსე სოხუმი 1993 წლის 29 სექტემბერს დავტოვე. ქალაქში პანიკა სუფევდა. ყველა სიცოცხლის გადასარჩენად იღვწოდა. არავის გაემტყუნება — ეს ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაწყებული დაუნდობელი ომების ერთ-ერთი პირველი გამოვლინება იყო, რომელმაც გვაჩვენა, რომ ძველი, უზრუნველი, მშვიდობიანი ხანა დამთავრდა და ქართველ ერს ამიერიდან არსებობისთვის ბრძოლა მოუწევდა.

**— ვინ წამოიწყო ეს ომები და რა მიზნით?**

— იმთავითვე გათვლილი იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი სწორედ საქართველოში გახსნილიყო! ასეც მოხდებოდა, 2012 წელს ქუდზე კაცი რომ არ დარაზმულიყო და სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ხელისუფლებიდან არ ჩამოეცილებინა! ომები წამოიწყო იმ ძალამ, რომელმაც ქართველ ერს ჯერ შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის ანტიქართული რეჟიმები თავს მოახვია! მავანს ჰგონია, ხალხს დაავიწყდა, რას სჩადიოდნენ ეს რეჟიმები, როგორ ტანჯავდნენ ადამიანებს, არადა, ამ მოვლენებმა ხომ ჩვენ თვალწინ ჩაიარა! ამიტომ ამ მრავალრიცხოვანი, რეპრესირებული ადამიანების სახელით მინდა, ვუპასუხო იმ „დედებს“, რომლებმაც პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს **მკვლელი სუკაშვილის** (მე ასე შევარქვი) შეწყალების თხოვნით მიმართეს: თქვენ გჯერათ სააკაშვილის ფარისევლური კნავილის, მაგრამ ნუთუ ასე მალე მიგავიწყდათ სანდრო გირგვლიანის დედის ცრემლები? რობაქიძის დედის მოთქმა? დაგავიწყდათ შვილმოკლული, ნაწამები ადამიანების გოდება, რომელიც თქვენმა პროტეჟე სუკაშვილმა გამოიწვია? დაგავიწყდათ **სუკაშვილის** მიერ პატრიოტული გრძნობებით ომში წაყვანილი უწვერულვაშო ყმაწვილები, რომლებიც ამ ნაძირალამ მტერს შეატოვა, წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადა და უტიფრად იზეიმა? **შვილის საფლავზე აფეთქებული კაცი ასე ადვილად დაივიწყეთ? ამიტომ პირდაპირ გეუბნებით — ქართველ ხალხს არ დაგვიწყებია არაფერი! ნუ გგონიათ, რომ ეს არაკაცი, რომელიც ახლა ფარისევლურად და საცოდავად კივის პატიმრობის გამო, თავისით მოგვევლინა ხელისუფლებაში!** ის მოიყვანა და თავზე დაგვსვა შევარდნაძემ, რომელმაც არანაკლები ბოროტება ჩაიდინა საქართველოს წინაშე! მას და **გორბაჩოვს** იმდენი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, იცოდნენ, რუსები არ აპატიებდნენ, ამიტომ ამერიკისკენ გადაიხარა, მაგრამ მისი „ვერბოვკა“ უფრო ადრე მოხდა, როცა ჯერ კიდევ ცეკას მდივანი იყო!

პირდაპირ გეუბნებით — 9 აპრილის ტრაგედიაც შევარდნაძემ მოაწყო და გამსახურდიაც მაგან მოკლა!

**— მაგრამ შევარდნაძის უკან ვინ იდგა?**

— გაიხსენეთ, რა თქვა ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) ზვიად გამსახურდიაზე — ეს კაცი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო! — ამით გზა გაუხსნა შევარდნაძეს და მის მომხრეებს ზვიადის წინააღმდეგ! იმავდროულად, შევარდნაძეს მითითება მიეცა, აფხაზეთი დაეთმო, რათა საქართველოსთვის კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა გადაეკეტა, ხოლო ამის შემდეგ დასავლეთს გზა ეხსნებოდა, მოეხდინა რუსეთისგან კავკასიის იზოლირება. რუსები ამას გვიან მიხვდნენ... სამაგიეროდ, შევარდნაძემ ყველაფერი იღონა, რათა არამხოლოდ აფხაზეთი, სამეგრელოც ჩამოეცილებინა საქართველოსთვის — 7-ჯერ შეიჭრა და ააოხრა სამეგრელო, მერე კი აფხაზეთს მიადგა ტანკებით! ახლაც იგივე სცენარით სურთ რუსეთთან ომში საქართველოს ჩართვა და მეორე ფრონტის გახსნა. **თუ ასე მოხდება, საქართველო პირისაგან მიწისა აღიგვება, რადგან ჩვენ არ ვართ 45-მილიონიანი ქვეყანა, გორიდან ნასროლი 2 რაკეტით დაგვიმთავრებს რუსი ომს!** და, საერთოდ, ვიღაცებს ჰგონიათ, რუსმა თუ უკრაინაში ომი წააგო, ქართველები ბედნიერები ვიქნებით! ბედნიერები კი არა, მაშინვე საქართველო ოსმალეთის ვილაიეთად გადაიქცევა!

**— ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლების პოზიციას როგორ აფასებთ?**

— შეიძლება, ხალხის წინაშე ახლანდელი ხელისუფლება ბევრ რამეში ტყუის, მაგრამ ამ ომთან დაკავშირებით სწორი პოზიცია უკავია, როდესაც აცხადებს, რომ არ შეუერთდება არცერთ საერთაშორისო სანქციას. გვახსოვდეს: საქართველოში მშვიდობის პირველი მტერი გახლავთ მამაძაღლი სუკაშვილი! დამიჯერეთ, წამლის „ლომკის“ გარდა მაგ ნარკომანს არაფერი არ ჭირს, თავს იავადმყოფებს, მაგრამ თუ აქედან გასვლას მიაღწია, მაშინვე ჩვეულ ამპლუას დაუბრუნდება და ყველა ღონეს იხმარს, საქართველო ომში ჩაითრიოს!

ეგ ნაძირალა, რა ნამუსით ლაპარაკობს წამებაზე — მაგის შექმნილ ციხეში, სადაც ერთი წელი გამატარებინეს — ოლეგ ფაცაციამ ყურებზე რომ შემომკრა, ასე მეგონა, თავის ქალიდან ტვინმა ამოასხა. ყურებიდან სისხლი წამსკდა და ექიმთანაც არ წამიყვანეს, მას მერე ყურთასმენა დამიზიანდა! ამას ჰგონია, რომ ჩვენ დაგვავიწყდა, როგორ გვექცეოდნენ ციხეში პატიმრებს?! იმდენი აქვს დაშავებული... ჰგონია, ხალხს აღარ ახსოვს არაფერი? ერთი გაბედოს სალომე ზურაბიშვილმა მისი შეწყალება! საქართველოდან ვერ გააღწევს, განრისხებულ ხალხს ცოცხალი ვერ დაუსხლტება!

**— აბა, ციხეში ხომ არ უნდა მოკვდეს?**

— მოკვდება და ძაღლი მიაკვდეს! რამდენი კაცი დაიღუპა სუკაშვილის ციხეში — ვინმემ ზუსტად დაითვალა? **ან რომელიმე გარდაცვლილი პატიმრის სიცოცხლეზე რით არის მეტი ამ ნაძირალას სიცოცხლე, ან რომელ პატიმარს დაუშავებია საზოგადოებისთვის იმაზე მეტი, რაც ამ ნაძირალამ ქართველ ხალხს დაუშავა?!** მაგრამ ვინ დაუშვებს მის სიკვდილს — სრულ კომფორტში აცხოვრებენ, რაც ჩვეულებრივ ადამიანს არც დაესიზმრება! დიახ, მის გამოშვებას ითხოვენ ამერიკელი და ევროპელი თანამდებობის პირები, მაგრამ ისინი არიან მოსყიდულები. გუშინაც მოვისმინე ინფორმაცია — 18 დეპუტატზე საქმე აღძრეს ქრთამის აღების ბრალდებით! ევროპა ის ევროპა აღარაა! ფული გადაუხადე და ნებისმიერ დამნაშავეს დაადგამენ გვირგვინს!

**— მაშ, საით უნდა გვქონდეს სწორება? რა პერსპექტივა აქვს საქართველოს?**

— საქართველო ის მადლიანი მიწაა, რომელსაც 50 მილიონი ადამიანის გამოკვების რესურსი გააჩნია! დამატებით, გვაქვს სხვა პერსპექტივებიც! ივანიშვილმა ანაკლიის პორტის მშენებლობა ჩაშალაო — იცით, რატომ მოიქცა ასე? ამ ქურდმა **ხაზარაძემ,** რომელმაც შევარდნაძესთან ერთად გაქურდა საქართველო, ანაკლიის პორტის ასაშენებლად იმისთანებს ჩააყოფინა ცხვირი, რომ მაგ პორტს თვალსა და ხელს შუა აგვაცლიდნენ ქართველებს! არადა, პორტის პერსპექტივა არც სააკაშვილს აღმოუჩენია, არც შევარდნაძეს! საუკუნეების წინ იყო ცნობილი ეგ ადგილი! მანდ პორტი უნდა აშენდეს, ოღონდ ქართული ფულით და თითოეული ქართველი უნდა გახდეს მაგ პორტის აქციონერი!

გარწმუნებთ, საქართველო აუცილებლად დაუძვრება დუხჭირ მდგომარეობას, ტერიტორიულ მთლიანობასაც აღიდგენს, ეკონომიკურად გაძლიერდება და სულიერადაც გაბრწყინდება! დიახ, 2023 წლიდან საქართველოსთვის ოქროს ხანა იწყება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



**კეზერაშვილისა და მერაბიშვილისთვის** ძალაუფლების დაბრუნება ნიშნავს ყველაფრის კადრებას, **პირადი ჩანაწერებით ბრძოლას,** ადამიანებით ვაჭრობას, „პალაჟენიით“ მუქარას, მედიით მანიპულირებას, კრიტიკოსების დაბლოკვას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დიმიტრი ციქინაშვილი**
*„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



არ შეიძლება, **კეზერაშვილის** ფულის გამო პარტიაში ყველაფერი იკადრო. **ეს ადამიანები ყველაფერზე წამსვლელები არიან** საკუთარი ინტერესებისა და იმისთვის, რომ ძალაუფლება მოიპოვონ ჯერ პარტიაში და მერე ეცადონ ხელისუფლებაში მოსვლას. პირდაპირ ვამბობ, რომ **ასეთი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა არ შეიძლება!** მე ვიქნები პირველი, ვინც ამას წინ აღუდგება.

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



„ქართული ოცნება“ ეცდება, ინტენსიურად დაიწყოს თავისი ოპონენტების **„გაშავება“.** არც იმას გამოვრიცხავ, რომ საჭადრაკო დაფაზე **გამოჩეკოს ახალი პოლიტიკური ძალები,** რომლებიც მას აწყობს, რომ ერთ დროს „ოცნების“ ამომრჩეველი, მაგრამ უკვე განაწყენებული, სახლში არ დატოვოს არჩევანის გარეშე, **მათი ხმები კი საერთო ყულაბაში მიითვალოს!**

„ახალი თაობა“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე*



2008 წელს **ლეგალური ფორმით იარაღის შესყიდვა საქართველოსთვის პრობლემა იყო,** რადგან რუსეთის ფედერაცია აწარმოებდა წნეხს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდა და, სამწუხაროდ, ჰქონდათ გავლენა, მათ შორის, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაზეც, რათა შეეზღუდათ საქართველოს შესაძლებლობები.

„ახალი თაობა“



# მიხეილ ცაგარელი:
# განგაშის ზარები არის შემოსაკრავი,
## რა დროს სააკაშვილზე და ალასანიაზეა საუბარი?!

***2022 წლის ბოლო ინტერვიუში ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა დასძინა — ნამდვილი ახალი წელი 20 იანვრის შემდეგ დადგებაო. საუბარი მასთან სწორედ ამ თემით დავიწყეთ:***

— რეალურად ნამდვილი, **კატა-კურდღლის წელიწადი** 22 იანვარს დგება, რის შემდეგაც სიტუაცია ნელ-ნელა დაიწყებს დამშვიდებას. კატა-კურდღელი პასიური ენერგიის წელიწადი იქნება, განსხვავებით აგრესიული და აქტიური ვეფხვისგან. 2023 წელს მეტი შესაძლებლობა იქნება, დიპლომატიური, მშვიდობიანი გზით მოგვარდეს პრობლემები.

**— რატომ კატა-კურდღელი? თუ შეიძლება კიდევ ერთხელ ავხსნათ საზოგადოებისთვის, რომელიც კატისა და კურდღლის ერთად მოხსენიებით დაბნეულია.**

— ჩინეთში ფიქრობენ, რომ 2023 წელში უფრო **კურდღლის** ელემენტები ჭარბობს. იაპონიაში, ვიეტნამსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში კი მიიჩნევენ, რომ წინა პლანზე **კატის** ხასიათია წამოწეული. აღმოსავლური ზოდიაქოს კალენდარში ასეთი რამდენიმე წელიწადი არის — **ხარისა და კამეჩის, თხისა და ცხვრის.** ჩვენ რომ არცერთ ქვეყანას არ ვაწყენინოთ, ამიტომ ერთად ვამბობთ **კატა-კურდღლის წელიწადს.**

ამ წელიწადში ყველა სახის ურთიერთობა, რომელიც არ ეყრდნობა სიყვარულსა და ერთგულებას, დაიშლება. ამასთან, გადასარევი წელიწადი იქნება გამრავლებისთვის, რაც, ვფიქრობ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. არადა, როცა პოლიტიკოსების გამოსვლებს ვისმენ, სიმწრისგან მეცინება. რომელიმე მათგანს ერთხელ მაინც თუ დასცდენია სიტყვა დემოგრაფიაზე? ყველას წყალი აქვს პირში ჩაგუბებული. სამაგიეროდ, გაუთავებლად საუბრობენ მიხეილ სააკაშვილზე, ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ განხეთქილებაზე, ევროკავშირის 12-პუნქტიან შეთანხმებაზე და ა.შ. **ხალხნო, არ გრცხვენიათ? რაზე კამათობთ, როცა რამდენიმე წელში შესაძლოა, საქართველოში ქართველი სანთლით საძებარი იყოს?!** ახლა მიხეილ სააკაშვილის, გიული ალასანიას და ნიკა მელიას გამოსვლების განხილვის დროა?! განგაშის ზარები არის შემოსაკრავი, ვიდრე ჯერ კიდევ არის ვითარების გამოსწორების შანსი.

### დაწყებული ბიძინა ივანიშვილით, დამთავრებული ნებისმიერი პარლამენტარით, ყველას ვეკითხები, დავიჯერო, არ იციან, რომ წელს პირველად საქართველოში იმაზე ნაკლები ქართველი დაიბადა, ვიდრე უცხოელი?!

არ გახსოვთ, რა განაცხადა გაერომ ორიოდე წლის წინათ — თუ ასე გაგრძელდა 15-20 წელიწადში ქართველი საქართველოში უმცირესობაში იქნებაო?! **რისთვის წვალობთ, ვის უშენებთ ამ ქვეყანას, თუ საქართველოში ქართველი აღარ იცხოვრებს?** უკრაინაზე და სააკაშვილზე კი არ უნდა ვიდარდოთ, პირველ რიგში, იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ერი გამრავლდეს და გადარჩეს.

**— რა უნდა გააკეთოს ამისათვის ხელისუფლებამ?**

— შეცვალოს კანონები, წესები, მიდგომები, რომ რეპროდუქტოლოგთან მისულ წყვილს შვილის ყოლის სანაცვლოდ სახლის გაყიდვა არ მოუწიოს. ენით აუწერელი თანხების გადახდა უწევთ დღეს, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოსგან ხელშეწყობა ჰქონდეთ. აღარაფერს ვამბობ ფინანსურ წახალისებაზე ახალგაზრდებისთვის.

**კადაფიც** კი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დემოგრაფიას. ახლად შეუღლებულ წყვილებს ბინასაც აძლევდა და ფინანსურ შეღავათებსაც უწესებდა. სხვათაშორის ის ამერიკელებმა სწორედ იმიტომ აითვალწუნეს და მოკლეს, რომ თავის ქვეყანას ავითარებდა.

**2023 წელი არის ამოსუნთქვის, აზრების, პარტიების დალაგების, მოწესრიგების წელიწადი. ეს ერთგვარი ტაიმ-აუტი სწორად უნდა გამოვიყენოთ, რომ კარგი სასტარტო პოზიციები დავიკავოთ.**

გამარჯვების პლანეტა იუპიტერი დაახლოებით მაისის თვეში მთელი წლით გადმოვა კუროს ზოდიაქოში, რაც საშუალებას მისცემს მსოფლიოს, სტაბილიზაცია შეინარჩუნოს. ასევე გადაეკვეთება ურანს, რომელიც სოციუმსა და საბანკო სისტემას მართავს.

**— ეს რაზე მიანიშნებს?**

— დიდი ძვრები იქნება საბანკო სფეროში, სასოფლო-სამეურნეო აგრობიზნესში, რაც სასიკეთოდ იმუშავებს სოციუმზე. ცვლილებები იქნება მშენებლობის სფეროშიც, ხელოვნების ფართო სპექტრში, დიზაინისა და არქიტექტურის მიმართულებით, თუმცა, ამავდროულად მოსალოდნელია სირთულეები ისეთ სფეროებში, როგორიცაა გასართობი ინდუსტრია — კაზინოები, ბარები, რესტორნები და ა.შ. შავი მთვარე ე.წ. მაცდუნებელი ძალა ლომის ზოდიაქოში 9 თვით შევიდა. ლომი კი ყველა სახის გასართობ ინდუსტრიას მართავს. არასოდეს გვაკლდა პრობლემები ამ მიმართულებით, მაგრამ წელს განსაკუთრებით მოიმატებს სიკვდილიანობა. **შარშანდელი სტატისტიკის მიხედვით, კაზინოში თამაშის გამო დაახლოებით 400-მდე ახალგაზრდამ მოიკლა თავი. არ არის გამორიცხული წელს ეს რიცხვი გაორმაგდეს.**

ხალხს მოვუწოდებ, თუმცა, ვიცი, ეს მოწოდება პოპულარული არ იქნება, მაქსიმალურად შეიკავეთ თავი საზოგადოებრივი თავყრილობებისაგან, მოერიდეთ ურთიერთობას ბომონდთან, მაღალი წრის საზოგადოებასთან, რადგან სერიოზული კონფლიქტები, ჭორები, დაცინვები, ინტრიგები და, რაც მთავარია, თვალის აღების, ენერგოდაბინძურების მაღალი ალბათობა იქნება.



„კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვამბობ, რისი თქმისგანაც ბევრი იკავებს თავს – დღეს საქართველოს ყველაზე დიდი მტერი უკრაინის მთავრობაა!"

### ასევე დიდი სიფრთხილე მართებთ გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების მქონე ადამიანებს, ზედმეტი ნერვიულობა მაშინვე გულს დაარტყამს.

გასართობ ინდუსტრიასთან ერთად ლომის ნიშანი პოლიტიკასაც მართავს. რადგანაც მაცდუნებელი ძალა ლომის ზოდიაქოში შევიდა, მაღალია იმის ალბათობა, რომ დიდი ცვლილებები მოხდეს პოლიტიკურ სარბიელზე ხელმძღვანელების შეცვლის კუთხით. ისტორიულად არაერთი ცვლილება მომხდარა, როცა შავი მთვარე ლომის ზოდიაქოში ყოფილა. **მუსოლინი** თავის დროზე იტალიაში სწორედ ამ დროს დაიჭირეს. **ლუდოვიკო მეთექვსმეტემაც** ძალაუფლება მაშინ დაკარგა, როცა შავი მთვარე ამ ნიშანში იყო.



„მუსოლინი თავის დროზე იტალიაში სწორედ ამ დროს დაიჭირეს. ლუდოვიკო მეთექვსმეტემაც ძალაუფლება მაშინ დაკარგა, როცა შავი მთვარე ამ ნიშანში იყო!"



**— შესაძლოა, ამ კუთხით ღარიბაშვილსაც შეექმნას საფრთხე?**

— **ღარიბაშვილს** ეს ნაკლებად ეხება, რადგანაც ის ზოდიაქოთი კირჩხიბია. ამის დიდი ალბათობა იქნებოდა ლომის ზოდიაქოს ნიშანში რომ ყოფილიყო დაბადებული. მას 2022 წელს გაცილებით მეტი საფრ-

## კვირგვინოსნები

**ნუგზარ ციკლაური**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



2012 წლის დამარცხდით იმის გამო, რომ **ზოგიერთი ძალოვანი მინისტრი გაერთო ფარული ჩანაწერებით** და გადაწყვიტა, რომ ეს არის პოლიტიკის კეთების ინსტრუმენტი, ეს არ უნდა განმეორდეს.

„პირველი არხი"

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



როდესაც **ილია მეორემ** საქართველოს ეკლესიას სამოციქულო ავტოკეფალია დაუბრუნა, **მისი უწმინდესობის დაუძინებელმა მკვლელებმა საკუთარი შვილები გაზარდეს მის მოსაცილებლად** და დღესაც ვერ მოუნელებიათ პატრიარქის მრავალჟამიერი.

„იმედინიუსი"

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



**ღვთისმსახურნი უნდა გვევლინებოდნენ ოპოზიციონერებად** ხელისუფლებისადმი ყოველგვარი უზნეობის წინააღმდეგ, **მაშინ იქნება დაფასებული უფრო მეტად პატრიარქის ღვაწლიც** და ქვეყანა დადგება ფეხზე.

„აიპრესი"

**გიორგი გაჩეჩილაძე**
*„მწვანე პარტიის" ლიდერი*



10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც **ტერორისტული, მწამებელი ძალა** ხელისუფლებიდან გავუშვით. ისეთი პოლიტიკური პარტია, როგორიც ნაცმოძრაობაა, **საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია.** ვინმეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი რომ შეეტანა, ის აუცილებლად დაკმაყოფილდებოდა.

„ახალი თაობა"



# „როგორც კი სააკაშვილს გაუშვებენ საქართველოდან,

## უცებ გადასხვაფერდება და ძველი სააკაშვილი გახდება!“

თხე ჰქონდა, ვიდრე ახლა. ეს წელი მისთვის უფრო კარგი და სტაბილური იქნება. თუმცა, არ გამორიცხავს პრობლემებს.

კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვამბობ, რისი თქმისგანაც ბევრი იკავებს თავს: **დღეს საქართველოს ყველაზე დიდი მტერი უკრაინის მთავრობაა და ამ მიმართულებით საკმაოდ თამამი და მკაცრი ნაბიჯები არის გადასადგმელი.** დროა, დავასრულოთ ეიფორია და თავი დავანებოთ „უკრაინა-უკრაინას“ ძახილს. გასაგებია ჩვენი თანადგომა უკრაინელი ხალხისადმი, რომელიც პოლიტიკის მსხვერპლია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუჭიროთ მხარი უკრაინის მთავრობას, რომელმაც საკუთარი მოსახლეობა სასიკვდილოდ გაიმეტა. თუ საჭირო იქნება, ნოტებიც უნდა გავუგზავნოთ და საელჩოც დავხუროთ. დავამთავროთ ის მაიმუნობა, რასაც ყოველდღე ტელეეკრანებიდან გვაყურებინებენ.

**ღმერთმა დაიფაროს უკრაინის გამარჯვება, თორემ თქვენ მერე ნახეთ!**

**— ზედმეტად ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის?**

— არა, ჩემო კარგო. **ამ შემთხვევაში რუსეთს უკრაინა შეცვლის და გარწმუნებთ, უარესი ჭირი იქნება საქართველოსთვის!** უკრაინის მთავრობა არც მალავს, თუ ისინი რუსეთთან ბრძოლაში გაიმარჯვებენ, უპრობლემოდ შემოვლენ საქართველოში და თავიანთ დამქაშებს დასვამენ ხელისუფლებაში. გარდა ამისა, რუსეთი რომ დაიშალოს, ვინ შეაჩერებს ჩრდილო კავკასიელებს?! ქართული ჯარი აღუდგება წინ?!

დღეს ისე, როგორც არასდროს სახელმწიფოს ახალი პროექტების განხორციელება სჭირდება, პირველ რიგში, პორტებისა და რკინიგზის აშენება და გაფართოება. დასავლეთის სანქციების გამო ჩინეთი ვეღარ აგზავნის სათანადო რაოდენობის საქონელს ევროპაში. რასაც მანამდე რუსეთის მეშვეობით აკეთებდა. რჩება ერთადერთი გზა — ტვირთი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის გავლით საქართველოდან გავიდეს ევროპაში. ყაზახებმა ახალი პორტი ააშენეს, აზერბაიჯანელებიც აშენებენ. ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ ჩვენც. აუცილებელია ანაკლიის პორტის აშენება, რომელიც არნახული რაოდენობის ტვირთის გატარებას შეძლებს და ქვეყანას უზარმაზარ შემოსავალს მოუტანს.

**— როგორ გგონიათ, რუსეთი დაუშვებს საქართველოში პორტის აშენებას, რაც მის ინტერესებში კატეგორიულად არ შედის?**

— არც ჩვენი მეზობელი ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯები მოსწონთ მათ, თუმცა, ისინი ამას მაინც ახერხებენ, ცდილობენ, თავიანთი გაიტანონ. ჩვენმა მთავრობამაც ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს პროექტი ბოლომდე მიიყვანოს. სწორედ ამგვარ პროექტებსა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული 2024 წელს განვითარებული მოვლენები. **გასათვალისწინებელია, რომ გლობალისტების რეიტინგი ნელ-ნელა ეცემა და კონსერვატიული ძალები ძლიერდება. ჩვენი მთავრობა მზად უნდა იყოს ანტიგლობალისტურ პოზიციებზე მყოფ ძალებთან შესაერთებლად.**

**— თუმცა, ჯერ რუსეთ-უკრაინის ომიც არ დასრულებულა!**

— ომი კიდევ დიდხანს გასტანს.

**ვიდრე შეერთებული შტატების სათავეში ბაიდენი და დემოკრატიული პარტია იქნება, ნურავის ექნება ილუზია, რომ ომი დასრულდება.**

რაც ახლა უკრაინაში ხდება, ყველაზე მეტად შტატებს აწყობს. ამიტომაც არ საუბრობს შერიგებაზე, დიპლომატიაზე. დააკვირდით, შეერთებული შტატები რამდენ კურდღელს იჭერს — ძველ იარაღს ასაღებს, მთელი ევროპა ამერიკულ თხევად გაზზე გადაიყვანა. გარდა ამისა, ჩინეთს ძალიან დიდი ევროპული ბაზარი გამოაკლდა, ევროს გაუჭირდა და დოლარი კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთი სიტყვით, ამერიკა იმ პროექტს ახორციელებს, რაც **ალენ-დალესისა და ბჟეზინსკის** დოქტრინაში წერია — სხვათა დაპყრობითა და ნგრევით შეინარჩუნოს სიდიადე!

კიდევ ერთხელ ვამბობ: **ვიდრე ბაიდენს, მის ფსევდოლიბერალურ ჯგუფებს არ შეცვლის ტრამპი და არ მოიყვანს წესრიგში ყველაფერს, ომებიც გაგრძელდება, ვირუსებიც და ყველანაირი მაიმუნობა!**

**— რა შანსები აქვს ტრამპს?**

— დიდი შანსები აქვს, თუ არ იქნება პატარა ბავშვივით მიამიტი და გაითვალისწინებს წინა არჩევნებზე დაშვებულ შეცდომებს. ამხელა ბიზნესმენი კაცი პოლიტიკის ბაიბურში არ იყო. იმედია, ახლა მაინც მიხვდა და გააცნობიერა, რომ ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, შესაძლებელია, ელექტრონული გზით არჩევნები გაყალბდეს. სხვათაშორის, ჩვენი მთავრობა რომ ამაყობს, შემდეგი არჩევნები საქართველოში ელექტრონულად ჩატარდებაო, ეს არის დიდი სისულელე და ხალხის მოტყუების მორიგი მცდელობა. **ელექტრონული გზით არჩევნების ჩატარება გაყალბების საუკეთესო საშუალებაა. ტრამპი ამაში გვიან დარწმუნდა.** თუ მოიხსნის ვარდისფერ სათვალეებს, წარმატების მიღწევის ძალიან დიდი შანსი აქვს. მისი დამარცხება მსოფლიოსთვის დამღუპველი იქნება. **უნდა ვილოცოთ, რომ შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდეს!**

**— რადგანაც სააკაშვილის თემა კვლავ აქტუალურია და არც გარეთ მყოფი ნაციონალების ლიდერები გამოიყურებიან სახარბიელო ფორმაში, კიდევ ერთხელ გკითხავთ, დამთავრდა სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა?**

— როგორ დამთავრდება, როცა **სოროსი და მისი ფონდი** არსებობს, როცა შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ფსევდოლიბერალებს წამყვანი პოსტები უკავიათ, როცა ამერიკის ელჩი აქ არის და მხარს უჭერს მათ ყველანაირად?! ხაზგასმით ვამბობ, როგორც კი სააკაშვილს გაუშვებენ საქართველოდან, უცებ გადასხვაფერდება და ძველი სააკაშვილი გახდება! ეს ყველაფერი წინასწარ არის გაწერილი — სადამდე უნდა მოიშვას წვერი, როდის იტიროს, როდის გამოჩნდეს ტელევიზიით თმადაუვარცხნელი და ა.შ. ფსევდოლიბერალები აქტიურად მუშაობენ ყველა დეტალზე. ჩვენს მთავრობას სერიოზული პრობლემები აქვს ამ კუთხით.

**— და მაინც, რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, რომ ქვეყანა არ დაზარალდეს?**

— რადგანაც საქართველოში დატოვეს, ბოლომდე მტკიცედ უნდა იდგნენ თავიანთ პოზიციაზე. **ლუქსის ტიპის ოროთახიან პალატაში კი არ უნდა იყოს, იქ უნდა გაამწესონ, სადაც პატიმრები იხდიან სასჯელს. ვის გაუგონია, ამ დონის დამნაშავე ასეთ საუკეთესო პირობებში იყოს და კიდევ იქით ჰქონდეს პრეტენზიები?!** ხელისუფლება თან ხალხის გაბრაზებას ერიდება, თან არ უნდა ამ საქმეს გადაჰყვეს. ძალიან სახიფათო თამაშში არიან. როცა სააკაშვილის უკან ნეოლიბერალების მთელი არმია დგას, ძნელია ასეთ დროს ლავირება, თუმცა, არსებობს გეგმა B — **სალომე ზურაბიშვილი!**

**— რომელმაც ორჯერ თქვა, სააკაშვილს არასოდეს შევიწყალებო?!**

— ნებისმიერი ფსიქოლოგისთვის რომ ეკითხა, ურჩევდა, რომ სიტყვა **„არასოდეს“** არ ეთქვა. შევახსენებ ზურაბიშვილს — **თუ სააკაშვილის შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, გახარიას მსგავსად აღიარებს, რომ ისიც მისნაირი ნაციონალია!** თუმცა, არა მგონია, რეიტინგის დაკარგვა და ქართველი ხალხის განაწყენება დიდად აღელვებდეს. სალომე ზურაბიშვილი არასოდეს ყოფილა პროქართველი და ეროვნული. სხვათაშორის, მას შემდეგ, რაც ის პრეზიდენტი გახდა და ნაცმოძრაობის რამდენიმე ლიდერი შეიწყალა, მისმა შვილებმა კარიერის კუთხით ფრიად საეჭვოდ წაიწიეს წინ. ერთმა — ამერიკის დეპარტამენტში, მეორემ — საფრანგეთში, რაც არა მგონია, უბრალო დამთხვევა იყოს. **სალომეს თავისი პრეზიდენტი ჰყავს, რომლის მითითებებსაც ზედმიწევნით ასრულებს. საქართველოში საფრანგეთის აგენტია!**

კიდევ ერთხელ ვამბობ — რაც მეტად გაჯანჯლდება უკრაინაში ომი, მით მეტად მოიმატებს საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა. ამიტომ ხელისუფლებას ვურჩევ, მაქსიმალურად დაიცვას თავისი პოზიცია, პატარა შეცდომამაც კი შეიძლება მომავალში საბედისწერო იქცეს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



## „სალომე ზურაბიშვილი საქართველოში საფრანგეთის აგენტია!“



## „უნდა ვილოცოთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდეს!“

**„დიდი შანსები აქვს, თუ არ იქნება პატარა ბავშვივით მიამიტი და გაითვალისწინებს წინა არჩევნებზე დაშვებულ შეცდომებს!“**

## კვირგვინოსნები

**თეა თუთბერიძე**



არცერთი **კანდიდატი** არ მიმაჩნია დღეს ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერობისთვის შესაფერის **კანდიდატად**, მაგრამ **კანდიდატი**, ვისაც **მერაბიშვილმა** შეიძლება მხარი დაუჭიროს, ჩემთვის მისაღები არ იქნება.

„GTMEDIA“

**მაია ორჯონიკიძე**



გამოეფინება ახლა **მელიას კლანი** და დაიწყებს მტკიცებას — ფოტო დამონტაჟებულია. არადა, ნამდვილია და თან მხოლოდ ერთი მრავალთაგან. **ამ კაცით ვაპირებდით ბიძინას „დამარცხებას“?**

„GTMEDIA“

**გიორგი მუმლაძე**



**მელია** ამუშავებს ტროლბოტებს, ჭორების გამავრცელებელ ხალხს აღშფოთებულია ჩანაწერის გავრცელებით, **ვისაც ეს ჩანაწერი ჰქონდა, არანაკლებ საშიშია, ვიდრე მიშას მგონებელი ნიკა მელია!**

„პირველი არხი“



გარდა იმისა, რომ **შეიარაღების გადაცემის მოთხოვნა საქართველოს ომში ჩათრევის მიზანს ემსახურება**, ასევე აჩვენებს, რომ დასავლეთის ქვეყნების შეიარაღების მარაგების სიმცირეა.

„იმედინიუსი“



მჯერა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის **არცერთი სერიოზული ლიდერი** ჩანაწერებს არავის წინააღმდეგ, მით უფრო კი გუნდის შიგნით, არასდროს გამოიყენებს.

„პირველი არხი“

*ცნობილ დიზაინერ **თათა ვარდანაშვილს**, რომელსაც აწყობილი ფეხსაცმლის საწარმო და ბიზნესი ჰქონდა, სააკაშვილის დროს საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება მისცეს, ტერიტორიაც გამოუყვეს და რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიციაც ჩაადებინეს, შემდეგ კი უკვე გამართული სასწავლებელი და ტერიტორია წაართვეს, რის გამოც ცხოვრების თავიდან დაწყებას და სასწავლებლისათვის ახალი შენობა-ნაგებობის შეძენას აპირებს:*



# „ახალი მთავრობის მოსვლის მერე მეგონა, სამართალი აღდგებოდა!“



## თათა ვარდანაშვილი:

## სამწუხაროდ, ჩემი ახალგაზრდობა და წარმატებული გზა ცხოვრებაში პრეზიდენტ სააკაშვილის მოღვაწეობას დაემთხვა!

— ჩემი სასწავლებლის ტერიტორია, სადაც ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიასა და კონსტრუირებას ვასწავლიდი, შავნაბადას გიმნაზიას გადასცეს, ხოლო ჩემი მანქანა-მოწყობილობები კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან ამოიღეს, დასაწყობებულია, დაშლილი და განადგურებული.

**— ეს ტერიტორია სააკაშვილის დროს გადმოგეცათ. რა იყო მისი განადგურების მიზეზი?**

— ხელოვანი ვიყავი და ჩემს გზას მივყვებოდი, ვცდილობდი, საუკეთესო პროდუქტი მეწარმოებინა და საზღვარგარეთ თავაწეულს მეთქვა, რომ დამზადებულია საქართველოში! ასეც იყო და წარმატებაც მქონდა. შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, გარკვეული ტერიტორია გადმომეცა, სადაც სასწავლებელი უნდა ჩამომეყალიბებინა. ყველაფრის მოსაწყობად ჩემი ოჯახიდან რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდო. თავიდან ტერიტორია ერთიანი გახლდათ, სასწავლებელი გავმართე, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოებაც ავაწყვე, მაგრამ ისევ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მისი გაყოფა მომთხოვეს. გარკვეული ნაწილი შავნაბადას სკოლას დავუთმე უსასყიდლოდ და რაც არ დავთმე, ისიც მიითვისეს. სასწავლებლის ტერიტორიაზე ახალი ნაგებობის მშენებლობა წამოიწყეს, რომლის გადმოცემასაც ასევე აპირებდნენ და თუმცა, ამ შეთანხმების ოქმიც მაქვს, საბოლოოდ არც ის მომცეს. ძალიან ვწუხვარ, რომ სკოლა, სადაც ბავშვები პროფესიას ეუფლებოდნენ, დღეს აღარ არსებობს. არადა, ეს იყო პირველი პროფესიული სასწავლებელი (საგანმანათლებლო რეფორმის მიღებიდან), რომელსაც საერთაშორისო სტატუსი ჰქონდა და რომლის დიპლომიც 102 ქვეყანაში იყო აღიარებული. სწორედ ეს ბაზა გაანადგურეს და ყველა სტუდენტი თუ თანამშრომელი ამას მისტირის. საქართველოში დღეს რაც კი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საწარმოა, ყველგან ჩვენგან წასული კადრები მუშაობენ. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ჩემს გამოცდილებას ახალგაზრდებს ვერ ვუზიარებ.

**— სააკაშვილს თქვენი პოლიტიკური ხედვა აღარ მოეწონა?**

— პოლიტიკასთან არაფერი მაკავშირებდა და სამწუხაროა, რომ ჩემი ახალგაზრდობა და წარმატებული გზა ცხოვრებაში პრეზიდენტ სააკაშვილის მოღვაწეობას დაემთხვა. ახლა ვფიქრობ, რომ არასწორ დროს დაიწერა ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორია.

**— ვინ არის დამნაშავე თქვენს შევიწროებაში?**

— ახალი მთავრობის მოსვლის მერე მეგონა, სამართალი აღდგებოდა, მიმდინარეობდა სასამართლო პროცესები და ძალიან მარტივი იყო წართმეული სკოლის უკან დაბრუნება, მაგრამ არ არსებობდა ამის ნება, თორემ ყველა საბუთი მაქვს, რომ მანქანა-მოწყობილობები მართლაც ჩემი იყო, რომ ინვესტიცია გავიღე... საქმე იმაშია, რომ ჩემი სიმართლის დამამტკიცებელ საბუთებს არ კითხულობენ. გამოდის, რომ დამნაშავე ისევ მე ვარ, ის ინოვაციური საქმე რომ წამოვიწყე, რაც სხვებს არ ესმოდათ. ახლა კი დაიწყეს პროფესიული სასწავლებლების მხარდაჭერის პროგრამა, მაგრამ უკვე წარმატებული პროექტი რომ გამინადგურეს, ამას რაღა ეშველება?! **ნუთუ ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო არ იყო?**

**— კომპენსაციას არ ელოდებით?**

— დიდი კომპენსაცია იქნებოდა ჩემთვის საზოგადოებრივი აზრი. ასე რომ, ცხოვრება თავიდან უნდა დავიწყო, რადგან არავინ არაფერს დამიბრუნებს, ჩემს ნაცვლად ნაბიჯს არავინ გადადგამს. ეს ყველაფერი ძალიან რთული იქნება, რადგან ჯანმრთელობა შელახული მაქვს. როდესაც სამხედრო ფეხსაცმელს ვამზადებდით, ტოქსიკური ნივთიერებების შესუნთქვა მიხდებოდა, რის გამოც გადაადგილება შეზღუდული მქონდა. როგორღაც მოვერიე ჩემს თავს, ვარჯიშითა და კვების რეჟიმით რეაბილიტაცია შევძელი და ახლა საჭესთანაც ვზივარ.

**— თქვენი სასწავლებლის კაბინეტიდან რისი წამოღების უფლება მოგცეს?**

— გამომატანეს ბიბლია, პარაკლისების კრებული, ივერიის ღვთისმშობლის ხატი... 31 საკოლექციო პალტოდან კი მხოლოდ 11 დამიბრუნეს ორ კაბასთან ერთად, არავითარი ფეხსაცმელი... და რაც დამიბრუნეს, ისეთი დაზიანებულია, აღდგენაც კი შეუძლებელია. ამდენად, როგორც გითხარით, გადავწყვიტე, შიშველი ხელებით თავიდან დავიწყო ცხოვრება, 51 წლის ვხდები, თავი უნდა ვირჩინო, შვილი მყავს და შვილიშვილები, მათ ვჭირდები... რაც მთავარია, ვცხოვრობ ქვეყანაში, რომლის ძირითადი კანონიც სახარება იყო, სჯულის კანონით იმართებოდა საზოგადოება და ამის ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ თამარის ხანა, როცა პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა და საიდანაც მოდის ეს გამოთქმა: „ბოროტსა სძლია კეთილმან!“

**არ ვკარგავ იმედს და მჯერა, ღმერთი იმაზე მეტს მომცემს, ვიდრე ვიმსახურებ.**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## ხელოვანის სიტყვა



## ნელი ბერაია:

# გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი ნამუშევრები სახელმწიფოს დავუტოვო!



ნელი ბერაიას ავტოპორტრეტი

*92 წლის თვითნასწავლ მხატვარს **ნელი ბერაიას**, რომელიც რამდენიმე წელია, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის თანადგომით სამების საკათედრო ტაძრის ლავრაში ცხოვრობს, გადაწყვეტილი აქვს, ბისერებისაგან შექმნილი თავისი უნიკალური ნამუშევრების კოლექცია სახელმწიფოს გადასცეს, თუკი თბილისში მისი სახელობის სახლ-მუზეუმს გახსნიან:*

— სრულიად მარტო დავრჩი, ორი შვილი დამეღუპა, აღარავინ მყავს, რომ ჩემს ნამუშევრებს უპატრონოს. ამიტომ გადავწყვიტე, სახელმწიფოს დავუტოვო. მხოლოდ ერთი ოცნება მაქვს — გაიხსნას ჩემი სახელობის სახლ-მუზეუმი. ამ საკითხზე თბილისის მერიას უკვე მივმართე, ვაპირებ, საქმის კურსში ჩავაყენო კულტურის სამინისტრო და პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, რომელსაც ჩემი შემოქმედების შესახებ გამოცემულ წიგნსაც ვუსახსოვრებ. 18 პერსონალური გამოფენა მაქვს გამართული, აქედან სამი — რუსთაველის თეატრში. ბევრი ნამუშევარი გაიყიდა, ზოგიც გავაჩუქე. დღეს ისინი კერძო კოლექციებში ინახება აქაც და უცხოეთშიც.

**— პროფესიონალი მხატვრები ამბობენ, რომ თქვენი ხელოვნების ამ ჟანრს — ბისერებით მხატვრობას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს...**

— თვითნასწავლი მხატვარი ვარ, ახალგაზრდობაში ხატვის ნიჭი არ მქონია. ყველაფერი 65 წლის ასაკიდან დაიწყო. ბისერებით შევქმენი თამარ მეფისა და სხვა წმინდანთა სახეები, ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და რუსეთის პატრიარქის კირილის, ცნობილი ადამიანების — დავით სარაჯიშვილის, ნანი ბრეგვაძის, ლეილა აბაშიძის, ლადო ათანელის, ერეკლე საღლიანის, ომარ მხეიძისა და სხვათა პორტრეტები, ფანქარში დავხატე ნიკოლო პაგანინი. გია ჭანტურიას თხოვნით, ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეთ მეორის პორტრეტი გავაკეთე, მისთვის საჩუქრად უნდა გადაეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, გია გარდაიცვალა და ეს ნამუშევარი ჩემთან დარჩა.

**— დღეს ისევ აგრძელებთ მუშაობას?**

— ჯანმრთელობა ხელს აღარ მიწყობს, მიჭირს მხედველობა. ძალიან შრომატევადია, ერთ პორტრეტზე რამდენიმე თვე ვმუშაობ, სქელი ქაღალდის ფურცელზე სათითაოდ ვაწებებ ბისერს, თან ისე, რომ შევინარჩუნო პორტრეტზე გამოსახული ადამიანის სული. დილის 6 საათზე ვდგებოდი და გვიან ღამემდე შეუსვენებლივ ვმუშაობდი, საჭმელიც არ მახსოვდა.

**— თქვენი მეუღლე იყო ცნობილი მსახიობი ირაკლი უჩანეიშვილი. მისი პორტრეტი თუ გაქვთ შექმნილი?**

— მე და ირაკლი 11 წელი ვცხოვრობდით ერთად, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მისი პორტრეტი არ შემიქმნია. თან ირაკლი უკვე გარდაცვლილი იყო, როცა ხატვა დავიწყე.

**— მსახიობებთან მეგობრობდით?**

— ბავშვობიდან ვმეგობრობდი **ლეილა აბაშიძესთან**, ბისერებით მისი პორტრეტიც შექ-



სესილია თაყაიშვილი, ნელი ბერაია და ვერიკო ანჯაფარიძე

# „რუსულ კულტურულ წრეებთან ურთიერთობა არ უნდა დავკარგოთ, პოლიტიკოსებთან ჩვენ საქმე არ გვაქვს!“

*გელოდი ფოცხიშვილის* ***სკანდალურ წერილს, რომელშიც მხილებულია ქართული კულტურისა და ხელოვნების მითვისების ამაზრზენი რეალობა, ეხმაურება ქართველი ქორეოგრაფი, მოცეკვავე და პედაგოგი*** *რეზო ჭანიშვილი* ***და ხმამაღლა აცხადებს:***

# რეზო ჭანიშვილი:

# ქართულ ხალხურ ცეკვებზე ფილმი უნდა გადაიღონ და იუნესკოში წარადგინონ, თორემ მათ მეზობელი სახელმწიფოები მიითვისებენ!



„განგაში უკვე ამტყდარი უნდა იყოს!“

— ჩვენი ქვეყნიდან უსაშველოდ და უმოწყალოდ გაედინება ხალხური ქორეოგრაფია, ჩვენს ცეკვებს ასრულებენ ჩრდილო კავკასიაში, თურქეთში, სომხეთში და თუ მთავრობამ ეს საკითხი კონტროლზე არ აიყვანა, ქორეოგრაფები არ შეგვკრიბა და ყველანი პრინციპულ პოზიციაზე არ დავდექით, ჩვენს საგანძურს სხვები მიითვისებენ! დიახ, ისინი უკვე ცეკვავენ ჩვენს ხორუმს, ქართულს, მთიულურს... ამიტომაც მთავრობამ სერიოზული თანხა უნდა გამოყოს, რათა ქართულ ხალხურ ცეკვებზე ფილმი გადაიღონ და იუნესკოში წარადგინონ. ეს არის ჩვენი სულიერი სიმდიდრე, მაგრამ გავა დრო და ვეღარ დავამტკიცებთ, რომ ესა თუ ის კონკრეტული ცეკვა ჩვენი საუნჯე იყო და სხვებმა მიითვისეს.

**— მართლაც ასეთი საშიშროების წინაშე დგას ქართული ცეკვა?**

— ამერიკაში მოქმედი ერთი სომხური ანსამბლი კლასიკური ქართული მუსიკის თანხლებით ქართულ ცეკვას ასრულებდა, რომელსაც **„სომხური საქორწინო“** ერქვა. სასწრაფოდ ჩავედით ერევანში, შევხვდით სომხეთის ქორეოგრაფთა თავმჯდომარეს, ფირი ჩავუტანეთ, სადაც სომხური ანსამბლის ის ცეკვა იყო გადაღებული. მაშინვე დარეკა ამერიკაში და კატეგორიულად აუკრძალა იმ ქართული ცეკვის შესრულება. ის კაცი დიდი პასუხისმგებლობით მოგვეკიდა, მაგრამ ასეთი პიროვნებები დღეს ძალიან ცოტანი არიან და ვის მივმართოთ სიტუაციის გამოსასწორებლად?

განა, რამდენ ანსამბლს უნდა ავუკრძალოთ ჩვენი ცეკვების შესრულება? მე 85 წლის ვარ. ამით უნდა დაინტერესდეს სახელმწიფო და ზუსტად აღნუსხოს ჩვენი ცეკვები, რათა ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს, რომ ეს ყველაფერი ჩვენი კულტურის მონაპოვარია, თორემ ხელში შეგვრჩება ჩრდილოკავკასიელების მიერ შესრულებული განდაგანა, ხორუმი, მთიულური... ცეკვის დიდოსტატები **ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი** უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ქართულ ქორეოგრაფიას, დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ და ვერავინ გაბედავდა ასე ხელაღებით ქართული ხალხური ცეკვების მითვისებას. გამოდის, რომ ახლა უნდა დავთმოთ ჩვენი საგანძური? ჩრდილოკავკასიელებს ისედაც ქართველი ქორეოგრაფები ასწავლიდნენ ცეკვებს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი თაობა წამოვიდა და სულაც არ აინტერესებთ, ეს ცეკვები მათი იყო თუ სხვისი სისხლხორცეული. ისწავლეს და თავისად გაასაღეს.

**— გამოდის, ამთავითვე განგაშია ასატეხი!**

— განგაში უკვე ამტყდარი უნდა იყოს! და თუმცა, ბევრი რამ სერიოზულად დაგვიანდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მთავრობას, შეკრიბოს ქართველი ქორეოგრაფები და მოცეკვავენი!



ქართველებს უკვე ცეკვებსაც გვართმევენ!

*გელოდი ფოცხიშვილი:*

ოსებმა ჩვენი „მთიულური“ ურცხვად მოიპარეს და მას „ტანეც ოსეტინსკოე გორცევ“ დაარქვეს, ხოლო აზერბაიჯანელებმა ჩვენს „ფარიკაობას“ სახელი შეუცვალეს და „აზერბაიჯანსკი ტანეც ს საბლიამი“ უწოდეს!

„წესით და რიგით, კულტურის სამინისტრო უნდა ჩაერიოს ამ საქმეში, მაგრამ კულტურის სამინისტრო ამ პრობლემას ვერ ერევა!“

„ა-დ“. 2022 წლის №49

„თურქეთს თუ აქამდე ტაო-კლარჯეთი ჰქონდა გადაკეტილი თავისთვის, ახლა მოგვადგა და ხელოვნებასაც გვართმევს!“

„როცა ამის შესახებ ვთქვი, მიპასუხეს – ახლა ამის დრო არ არის, შესაძლოა, აზერბაიჯანმა გაზი შეგვიწყვიტოსო!“

# კულტურის სამინისტროვ, აღიმაღლე ხმა ქართული ხალხური ცეკვების დასაცავად!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***











ნელი ბერაიას ნამუშევრებიდან – თამარ მეფე, ილია მეორე, ნანი ბრეგვაძე, ლეილა აბაშიძე

მნილი მაქვს. როცა ეს ნამუშევარი ლეილას გასვენებაში მივიტანე, ისე მოეწონათ, თქვეს, ლეილა გაგვიცოცხლდაო. ბავშვობიდან ვიცნობდი **ნანი ბრეგვაძესაც,** თუმცა, ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, ახლოს ვიცნობდი **სესილია თაყაიშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს, დოდო ჭიჭინაძეს...** წლების განმავლობაში ვმუშაობდი კინოსტუდიაში რეჟისორის ასისტენტად, რუსულიდან ვთარგმნიდი დოკუმენტური ფილმების სცენარებს. ერთ ფილმში გადაღებაც მოვასწარი, კონსტანტინე პიპინაშვილმა „აკაკის აკვანში“ გადამიღო. შემდეგ ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტეში“ ქეთოს როლი უნდა მეთამაშა, სამხატვრო საბჭომ დამამტკიცა კიდეც და ხელშეკრულებაზე ხელიც მოვაწერე, მიხეილ ჭიაურელმაც მომილოცა, მაგრამ ვიღაცებს არ უნდოდათ ეს ამბავი. გადაღების დაწყებამდე დედამ ბორჯომში დასასვენებლად წამიყვანა, 10 მაისს თბილისში უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ბორჯომში ვიღაც ჩამოვიდა და იქიდან თბილისში კინოსტუდიის სახელზე დეპეშა გამოგზავნა, თითქოს მე ავარიაში მოვყევი და მძიმედ ვიყავი დაშავებული. ამიტომ გადაღებები დაიწყეს ჩემ გარეშე და ქეთოს როლზე სასწრაფოდ **მედეა ჯაფარიძე** დაამტკიცეს. როდესაც მამაჩემმა ეს ამბავი გაიგო, არათუ კინოგადაღება, საერთოდ ამიკრძალა იმ ქუჩაზე გავლა, სადაც კინოსტუდია იყო.

**— ახალგაზრდობაში ოდრი ჰეპბერნს გადარებდნენ...**

— სადაც კი მივიდოდი, მაშინვე ოდრის ახსენებდნენ. ძირითადად, ეს იყო მოსკოვის პერიოდში, როდესაც ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაშინ ვმეგობრობდი ცნობილ მსახიობ **ტატიანა აკუნევსკაიას** შვილთან **ინგა აკუნევსკაიასთან, მელორ სტურუასთან, ანდრეი ვოზნესენსკისთან, ალექსანდრე მეჟიროვთან,** რომელიც ცოტა ხანს ჩემი მეუღლეც იყო. ვმეგობრობდი ოპერის დიდ მომღერალთან **დათიკო გამრეკელთან** და მის ცოლთან **ბუბუსიასთან, ვლადიმერ პოზნერთან...** პოზნერს ძალიან უყვარს საქართველო, არ დამავიწყდება, როცა ერთხელ სუფრასთან თქვა: საქართველო დიდებული ქვეყანაა, ძალიან მიყვარს და ქართველებს ვაღმერთებო. განა, სირცხვილი არ არის, როცა პოზნერი საქართველოში დაბადების დღის აღსანიშნავად ჩამოვიდა და ვიღაცებმა კვერცხების სროლა დაუწყეს?!

რუსულ კულტურულ წრეებთან ურთიერთობა არ უნდა დავკარგოთ, პოლიტიკოსებთან ჩვენ საქმე არ გვაქვს. დამიჯერეთ, მათ უყვართ საქართველო, აღიარებდნენ ჩვენს კულტურას და ქართველი ხელოვანები რუსეთში ყოველთვის დაფასებულნი იყვნენ.

ერთხელ ქუჩაში გამაჩერეს, მკითხეს, რუსულ სიმღერებს ქართველები უნდა უსმენდნენ თუ არაო? ვუპასუხე: ამ კითხვის დასმაც კი დიდი შეცდომაა, რუსულ სიმღერებსაც უნდა უსმენდნენ და ყველა ერის წარმომადგენელთა სიმღერებს-მეთქი.

გული მტკივა, მოსკოვში ვისთანაც კი ურთიერთობა მქონდა, დღეს თითქმის ყველა გარდაცვლილია... სხვათაშორის, **მელორ სტურუამ,** სანამ ამერიკაში წავიდოდა, გაზეთში ერთი სტატია წამიკითხა: ახალგაზრდას გადატანილი ჰქონდა კლინიკური სიკვდილი, წერდა: ყველაფერი მესმოდა, ვხედავდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლოო. ესე იგი, გარდაცვალების მერე სული ცოცხალი რჩება, ამიტომაც არ მეშინია სიკვდილის, მაგრამ...

**— მაგრამ გული რაზე გწყდებათ?**

— მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ, რაც ზემოთ ვთქვი, ჩემი ნამუშევრები ხალხს რომ დარჩეს, არ განადგურდეს და არ დაიფანტოს, ამისათვის საჭიროა მათი განთავსება სახლ-მუზეუმში. მომავალი თაობა ნახავს, შთაგონება მიეცემა, ხელოვნებას ეზიარება... დიდი იმედი მაქვს, რომ მთავრობაც ყურადღების გარეშე არ დამტოვებს.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო ირაკლი,** მოგახსენებთ, რომ ქალბატონი **ელეონორა (ნელი) ბერაიას** შემოქმედებას არ გააჩნია ანალოგი მსოფლიოში. ფერადი ბისერის მძივებისგან შექმნილი ფერწერული ტილოები განეკუთვნება მაღალი ხელოვნების ნიმუშებს. **შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დასაბამი დაედო ხელოვნების ახალ დარგს. მის მიერ შესრულებული „რუსეთის ეკლესიის პატრიარქის კირილეს“ პორტრეტი მოსკოვში აღიარეს, როგორც „მსოფლიოს მერვე საოცრება“.**

ცნობილი მოგზაური **ჯუმბერ ლეჟავა** წერდა: **„არცერთ ხელოვნების მუზეუმში მე მსგავსი შედევრები არსად მინახავს“.**

ქალბატონი ელეონორა (ნელი) არის 92 წლის მარტოხელა ადამიანი. უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ამ უბინაო ქალს საცხოვრებელი ფართი გამოუყო „სამების მამათა მონასტრის პანსიონატში“.

საფრთხე ემუქრება ეროვნულ განძს. ჯერჯერობით არ გაგვაჩნია ექსპონატების სრული აღრიცხვაც.

**ქალბატონი ელეონორა (ნელი) ბერაია არის არჩეული ფაზისის აკადემიის და მხატვართა კავშირის წევრად. არის პატრიარქის სახელობის „სიცოცხლის ხის“ კონკურსის ლაურეატი, აღიარებულია როგორც ცოცხალი ლეგენდა, წარდგენილია გინესის რეკორდების წიგნში შესატანად.**

**ბატონო ირაკლი, უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ ჯეროვანი ყურადღება, რათა გაიხსნას ელეონორა (ნელი) ბერაიას სახელობის სახლ-მუზეუმი.**

*პატივისცემით,*
***ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, მარიკა კვალიაშვილი, ტარიელ ხარხელაური, ერეკლე საღლიანი.***

***შაქრიანი დიაბეტი, რომელიც ადამიანის ორგანიზმს ანგრევს, პლანეტის პრობლემაა, მაგრამ შაქარი და — უფრო კონკრეტულად კი მისი ერთ-ერთი სახეობა — გლუკოზა ის პროდუქტია, რომლის გარეშეც ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია! ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი საკვები პროდუქტების გლიკემიური ინდექსის მნიშვნელობაზე საუბრობს და იმ მექანიზმის მეცნიერულ ახსნას გვთავაზობს, თუ რატომ იწვევს ჭარბი წონა შაქრიან დიაბეტს:***





**„ყველაზე მაღალი გლიკემიური ინდექსი აქვს ყველა სახის ცომეულს, ალკოჰოლს, ჩიპსებს, საზამთროს, ყურძენს, გოგრას, ყაბაყს, ყველა სახის ნამცხვრებსა და ტორტებს, კანფეტებს, თაფლს!“**

## კახა საბახტარიშვილი:

# თუ გვინდა, რომ სიმსუქნე თავიდან ავიცილოთ და დიაბეტიც არ დაგვემართოს, თეთრი პური საერთოდ დავივიწყოთ!

**„სიმსუქნისა და შემდეგ დიაბეტის განვითარებაში უპირველეს როლს ასრულებს არა ცხიმი, არამედ შაქრის შემცველი პროდუქტების არასწორი და ჭარბი მოხმარება!“**



— მთელ მსოფლიოში კატასტროფული რაოდენობით მატულობს სიმსუქნითა და დიაბეტით დაავადებული ადამიანების რიცხვი. ჭარბწონიანი ადამიანების 90 პროცენტზე მეტს ან პრედიაბეტი, ანუ დიაბეტის წინარე მდგომარეობა აქვს, ანდა სულაც დიაბეტით არის დაავადებული. დიდი ხნის განმავლობაში სიმსუქნეს, რომელიც დიდწილად განაპირობებს დიაბეტს, მხოლოდ ცხოველური ცხიმების ჭარბი მოხმარებით ხსნიდნენ. ამის გამო ცხიმი საკვები პროდუქტებიდან, ფაქტობრივად, „გააძევეს“... **დიდი რეკლამა უკეთდებოდა უცხიმო რძეს, ყველს და კარაქსაც კი, მაგრამ ცხიმების რაოდენობის მკვეთრმა შეზღუდვამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.** მართალია, ცხოველური ცხიმების ჭარბად მოხმარება სიმსუქნისა და დიაბეტის ერთ-ერთი მიზეზია, მაგრამ არა გადამწყვეტი. აღმოჩნდა, რომ სიმსუქნისა და შემდეგ დიაბეტის განვითარებაში უპირველეს როლს ასრულებს არა ცხიმი, არამედ შაქრის შემცველი პროდუქტების არასწორი და ჭარბი მოხმარება!

**— ბატონო კახა, თუ ასეა და თუ სიმსუქნისა და შემდეგ უკვე დიაბეტის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი შაქრის შემცველი პროდუქტებია, რა იქნება, თუ შაქარზე საერთოდ უარს ვიტყვით?**

— ეს უკვე მეორე უკიდურესობაა! ბევრმა არ იცის, თუ რა დიდ როლს ასრულებს შაქარი ადამიანის ორგანიზმში. ტვინის სისხლით მომარაგება, ანუ ტვინის „გამოკვება“ შაქრის, უფრო კონკრეტულად კი, მისი ერთ-ერთი სახეობის — **გლუკოზის** გარეშე შეუძლებელია! ტვინი არ „ჭამს“ ცხიმებს, ცილებს და ნახშირწყლებს, ის იკვებება მხოლოდ და მხოლოდ შაქრით, კონკრეტულად, გლუკოზით! როდესაც ტვინს გლუკოზას მივაწვდით, „უხარია“, ხოლო, როდესაც გლუკოზას არ მივაწვდით, „იტანჯება“. **ასეთ დროს ტვინი გამოსცემს სიგნალს, რომ ადამიანი მშიერია და აუცილებლად უნდა მიიღოს ყველა ის საკვები, სადაც კი გლუკოზა ეგულება. ეს ძალიან სახიფათო პროცესია, რადგან წონის მატებას იწვევს.**

**— რა პროცესი იწყება ორგანიზმში, როდესაც ადამიანი შაქრით მდიდარ პროდუქტს მიიღებს?**

— როგორც კი სისხლში გლუკოზა მოხვდება, პანკრეასის ჯირკვალი მაშინვე გამოყოფს ჰორმონ ინსულინს, რომელიც არის ყველა უჯრედის, მათ შორის, თავის ტვინის უჯრედების „გასაღები“ და გლუკოზა სწორედ ინსულინის მეშვეობით ხვდება უჯრედში. ტვინი საკმარის გლუკოზას მიიღებს თუ არა, მაშინვე გამოსცემს მეორე სიგნალს — **„მე მაძღარი ვარ!“** ასეთ დროს ადამიანს საკვების მიღების მოთხოვნილება უქრება.

სიმსუქნის დროს უჯრედების რიცხვი ბევრია, რასაც გამოყოფილი ინსულინი ვერ სწვდება და ყველა უჯრედში გლუკოზის შეტანას ვერ ახერხებს. ამრიგად, ტვინის უჯრედებს შაქარი არ მიეწოდება და განუწყვეტლივ იძლევა სიგნალს, რომ „მშიერია“. ამის გამო ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტ საკვებს ითხოვს, ჭარბი გლუკოზა სისხლში რჩება და სიმსუქნესთან ერთად ყალიბდება შაქრიანი დიაბეტი. ამიტომ, თუ 40-50 წლის შემდეგ იგრძენით, რომ მადა გაგეზარდათ, ეს კარგი ჯანმრთელობის ნიშანი კი არა, შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთი გამოვლინებაა და სასწრაფოდ მიხედეთ, უპირველესად კი, შაქარი გაიზომეთ!

პირველყოფილ ადამიანებს დიაბეტი, ფაქტობრივად, არ აწუხებდათ, რადგან მაშინ საკონდიტრო ნაწარმი არ არსებობდა. გარდა ამისა, ისინი ნადირობდნენ, ფეხით დიდ მანძილს ფარავდნენ და სისხლში მოხვედრილი ზედმეტი შაქარი ფიზიკური აქტივობის შედეგად იწვებოდა.

**დღეს იშვიათი გამონაკლისის გარდა, დანაყრების შემდეგ ადამიანი ან წამოწვება და ტელევიზორს უყურებს, ანდა სულაც იძინებს! ასეთ დროს ზედმეტი შაქარი ცხიმად გარდაიქმნება და ადამიანი წონაში კიდევ უფრო იმატებს.**

ამიტომ სადილობისა და ვახშმობის შემდეგ ფეხით ან ველოსიპედით სეირნობა პირდაპირ მისწრებაა. იმისათვის, რომ სწორად ვიკვებოთ, უნდა ვიცოდეთ, რომელი საკვები პროდუქტი როგორი გლიკემიური ინდექსის მატარებელია.

**— რას ნიშნავს გლიკემიური ინდექსი?**

— გლიკემიური ინდექსის ცნება 90-იან წლებში კანადელმა დიეტოლოგმა **ჯენკინსმა** შემოიღო! იგი დიაბეტიანებისთვის მენიუს ადგენდა და პაციენტებს სხვადასხვა საკვებ პროდუქტებს აძლევდა. გარკვეული დროის შემდეგ **ჯენკინსი** ზომავდა, თუ რა სისწრაფით მოხვდებოდა საკვებიდან გლუკოზა სისხლში. გლიკემიური ინდექსის ერთეულად ჯენკინსმა სუფთა შაქარი აიღო და ის 100 ერთეულად ჩათვალა.

**— რომელ პროდუქტს აღმოაჩნდა ყველაზე მაღალი გლიკემიური ინდექსი?**

— ყველაზე მაღალი გლიკემიური ინდექსი აქვს ყველა სახის ცომეულს, ალკოჰოლს, ჩიპსებს, საზამთროს, ყურძენს, გოგრას, ყაბაყს, ყველა სახის ნამცხვრებსა და ტორტებს, კანფეტებს, თაფლს... **მაღა-**

**„ტვინი არ „ჭამს“ ცხიმებს, ცილებს და ნახშირწყლებს, ის იკვებება მხოლოდ და მხოლოდ შაქრით, კონკრეტულად, გლუკოზით!“**

## კვირგვინოსნები

**ივანე ჩხაიძე**
*იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი*



ახლა ქვეყანაში **გრიპის გავრცელების მაჩვენებელი 5-ჯერ მეტია,** ვიდრე კორონავირუსის. სკოლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა არ არის საჭირო, თუმცა, **სწავლის დაწყებამ შესაძლოა, ინფიცირების მაჩვენებელი გაზარდოს.**

„რეზონანსი“

**ვაჟა სურგულაძე**
*ჯანდაცვის ექსპერტი*



**გრიპი** საქართველოში სერიოზული დაავადება ხდება. **ყველა მეორე ადამიანი ავად არის.** სკოლებში, პრაქტიკულად, **ეპიდემია** დაგვეწყება.

„ახალი თაობა“

**ლეილა სიყმაშვილი**
*პიანისტი*



მთავარი ცხოვრებაში შუბლზე დაწერილი ბედია. **არ მინდა, ქართველს გაუჭირდეს, არც ჩემნაირად, არც ჩემზე უარესად,** მხოლოდ ბედნიერება მემეტება ჩემი ხალხისთვის.

„კვირის პალიტრა“

**ცუცა კაკაბაძე**
*ემიგრაციაში მყოფი მსახიობი*



იმდენად მომწონს თბილისი, საახალწლოდ ისე ლამაზადაა მორთული, როგორც კოხტა პატარძალი. **16 წლის წინათ სხვა ამერიკა იყო, ახლა სულ სხვაა, ყველაფერი შეიცვალა და ძალიან გართულდა, ამიტომ ჯობია, სამსახური თუ გაქვს, შენს ქვეყანაში დარჩე.** ბევრი, ვინც აქ ჩამოვიდა, უკან გაბრუნდა, სხვა წარმოდგენა და მოლოდინი ჰქონდათ და სხვა სიტუაცია დახვდათ.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ცინცქილაძე**
*მსახიობი*



სამწუხაროდ, **დღეს ისიც კი არ ვიცით, რამდენი მტერი გვყავს ან ვინ არის ჩვენი ნამდვილი მტერი თუ მოყვარე,** თუმცა, ერთმანეთის მტრობა რომ გვეხერხება, აშკარაა.

„კვირის პალიტრა“

**ლი გლიკემიური ინდექსი ნიშნავს, რომ, როდესაც ამ პროდუქტებს მივიღებთ, სისხლში გლუკოზა სწრაფად მოხვდება, თავის ტვინიც სწრაფად „დანაყრდება“, ინსულინიც დიდი რაოდენობით გამოიყოფა და ადამიანს მაძღრობის შეგრძნება სწრაფად დაეუფლება.** მაგრამ ცოტა ხანში გლუკოზის დონე სისხლში დაბლა დაეცემა, ტვინი კვლავ „შიმშილს“ განიცდის, გამოიცემა სიგნალი, რომ თითქოს ადამიანი მშიერია და ამიტომ ადამიანი ზომაზე მეტ საკვებს მოიხმარს, რაც, ცხადია, სიმსუქნის მიზეზი ხდება!

მაღალი გლიკემიური ინდექსის პროდუქტის მოხმარებისას პანკრეასის ჯირკვალს ინსულინის გამოსაყოფად დიდი ჯაფა ადგება, რაც დიაბეტისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა. ამიტომაც მაღალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტებს „წითელ ზონას“ უწოდებენ. საბჭოთა ბავშვებს ხშირად აჭმევდნენ მანანის ფაფას, რომელიც მაღალი გლიკემიური ინდექსით გამოირჩევა. სწორედ ეს იყო საბჭოთა კავშირში სიმსუქნისა და შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი.



**„საბჭოთა ბავშვებს ხშირად აჭმევდნენ მანანის ფაფას, რომელიც მაღალი გლიკემიური ინდექსით გამოირჩევა. სწორედ ეს იყო საბჭოთა კავშირში სიმსუქნისა და შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი!“**



***— რომელია დაბალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტები?***

— დაბალი გლიკემიური ინდექსი ნიშნავს, რომ სისხლში გლუკოზის რაოდენობა სწრაფად კი არა, ნელ-ნელა მატულობს, პანკრეასის ჯირკვალი ყოველგვარი დატვირთვის გარეშე მუშაობს, გლუკოზა უჯრედებს დოზირებულად მიეწოდება და ცხიმის სახით არ გროვდება. სწორედ ამიტომ არის სასარგებლო დაბალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტები. ესენია: **ყველა სახის მწვანილი, ბოსტნეული და ისეთი ხილი, რომელიც ტკბილი არ არის...**

***— რას იტყვით პურის შესახებ, როგორია მისი გლიკემიური ინდექსი?***

— თეთრი პურის გლიკემიური ინდექსი 95-ია, ანუ ის ამ მაჩვენებლით სუფთა შაქარს უახლოვდება. **თუ გვინდა, რომ სიმსუქნე თავიდან ავიცილოთ და დიაბეტიც არ დაგვემართოს, თეთრი პური საერთოდ დავივიწყოთ!** უმჯობესია, ქატოს ან უხეში ბოჭკოების შემცველი პური ვიყიდოთ. ასეთი პური შეიცავს უჯრედისს, რომელიც გლიკემიურ ინდექსს მნიშვნელოვნად ამცირებს. თუ პურს მაცივარში შევინახავთ და შემდეგ ტოსტერში ან ტაფაზე გავაფიცხებთ, უვნებელი გახდება, რადგან სიცივის გავლენით მასში არსებული სახამებელი, რომელიც რეალურად შაქარია, გარდაიქმნება. **შემწვარი კარტოფილი და კარტოფილის პიურე უცებ გვანაყრებს, მაგრამ სწრაფად გვასუქებს! ამიტომ კარტოფილის მოხმარებაც უნდა შევზღუდოთ.**

***— ცნობილია, რომ ხილი და თაფლი შეიცავს შაქრის ერთ-ერთ სახეობას — ფრუქტოზას. ვინც შაქარს არ მოიხმარს, სწორედ ფრუქტოზას ეტანება, რადგან ჰგონია, რომ ეს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა. რამდენად მართებულია ეს შეხედულება?***

— ხილი არაჩვეულებრივი პროდუქტია, მაგრამ მისმა გადაჭარბებულმა მოხმარებამ შესაძლოა, სიმსუქნე გამოიწვიოს. გარდა ამისა, ტვინი იკვებება მხოლოდ გლუკოზით და არა ფრუქტოზით. **ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ფრუქტოზა სამჯერ უფრო ტკბილია, ვიდრე გლუკოზა და ორჯერ უფრო ტკბილი, ვიდრე ჩვეულებრივი შაქარი.** მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, იმისათვის, რომ შაქრის ეკონომია გააკეთონ, საკონდიტრო პროდუქტებსა და ტკბილ სასმელებს ფრუქტოზით ამზადებენ. როცა მომხმარებელი ეტიკეტზე „შაქრის“ ნაცვლად „ფრუქტოზას“ წაიკითხავს, უხარია და ჰგონია, რომ, რადგან ხილის შაქართან აქვს საქმე, ე.ი. ნაკლებად მავნე პროდუქტს მოიხმარს. სინამდვილეში ორგანიზმში ფრუქტოზის სიჭარბე ზუსტად იმავე სავალალო შედეგის მომტანია, როგორც ალკოჰოლის. ხილში, მართალია, ფრუქტოზა შედის, მაგრამ ამავე დროს შედის მცენარეული ბოჭკოებიც, რომლებიც ორგანიზმში ფრუქტოზის ზედმეტი დოზით მოხვედრას ხელს უშლიან. **ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის ბიუჯეტის სამი მეოთხედი სწორედ დიაბეტზე, კიბოზე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და ჭარბი წონით გამოწვეულ პრობლემებზე იხარჯება.** ამერიკელი მეცნიერების აზრით, ამის მთავარი მიზეზი საკვებ პროდუქტებსა და სასმელებში შაქრის ნაცვლად სუფთა სახის ფრუქტოზის გამოყენებაა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„თუ 40-50 წლის შემდეგ იგრძენით, რომ მადა გაგეზარდათ, ეს შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთი გამოვლინებაა და სასწრაფოდ მიხედეთ!“**



# ნაც-ლიბერასტებს მცხეთური ღვეზელი ემცხეთათ!

***10 იანვარს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი შემდეგ არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს მიენიჭათ:***



ქართული ხორბლის კულტურა — ტრადიციები და რიტუალები; გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიცია; რთველის ტრადიცია საქართველოში; **მცხეთური ღვეზელის დამზადების ტრადიცია და მისი კულტურული კონტექსტი;** მესხური სამზარეულო — აპოხტის, წიბოსა და აპოხტის ხინკლის დამზადების და გამოყენების ტრადიცია და ინფექციურ დაავადება „ბატონებთან“ დაკავშირებული რიტუალური ქმედებები, სიმღერა და წესჩვეულებები საქართველოში... და ამის შემდეგ ატყდა და რა ატყდა სანაცეთ-სალიბერასტეთში — ეს რა მდაბიობაა, მცხეთური ღვეზელი რა კულტურული მემკვიდრეობა არისო?!

**ძვირფასო მკითხველო, წარმოდგენა რომ გქონდეთ, ამ ნაცსოროსული ჭაობის ბინადართაგან რა უმდაბლესი დონის ქილიკი დაიმსახურა საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის გამრავალფეროვნებამ, ნიკუტა გვარამიას „გლავკანალის ჟურნალისტ-ასინიზატორის“ თენგო გოგოტიშვილის გამოხმაურებაც კმარა!**

ამ არსებამ სოცქსელებში საჯაროდ დაწერა — კი მაგრამ, თუ „ბატონების“ დაავადების მკურნალობის რიტუალი გავაძეგლეთ, „მარგანცოვკიან“ ხსნარში ჭუჭუკას ჩაყოფის ტრადიციამ რა დააშავაო?!

**არადა, საქართველო გაეროს კონვენციის შესაბამისად იცავს თავის უნიკალურ კულტურულ ტრადიციებსა და ფასეულობებს და ჩვენ ვალდებულებიც ვართ, ჩვენში არსებული ყველა უნიკალური კულტურული ტრადიცია აღვნუსხოთ, შესაბამისი დეფინიცია მივანიჭოთ და მომავალ თაობებს მემკვიდრეობად გადავცეთ!**

**განმარტებისთვის:** არსებობს გაეროს მიერ აღიარებული არამატერიალური ცივილიზაციის საერთაშორისო ნუსხა **(მაგალითად, ქართული მრავალხმიანი სიმღერა)** და, იმავდროულად, არსებობს ეროვნულ დონეზე აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაც — **თუნდაც იგივე მცხეთური ღვეზელი!**

გასაგებია, რომ ნაცსოროსელთათვის კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში **„ნაცი არაჟანში“** ან **„ფეკალიების დაგორგოლავება“ და კალათბურთის თამაში** უფრო მომხიბვლელი იქნებოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს საერთო ქართულ ტრადიციაში არ გვაქვს და ერთი კონკრეტული სექტის „კულტურული მემკვიდრეობაა“!

**აზერბაიჯანმა 2016 წელს გააძეგლა:** პურის ფქვილისაგან ლავაშის, კატირმის, ჟუპკის და იუფკის ცხობა; 2017 წელს — ტოლმის მომზადების წესი, 2020 წელს კი — ბროწეულის კრეფის წესი, იგივე „ბროწეულის ზეიმი“.

**სომხეთმა 2005 წელს გააძეგლა:** დუდუკი და მასზე მუსიკის შესრულების წესი; 2014 წელს — ლავაშის გამოცხობის წესი, 2020 წელს კი — წმინდა ფადეის მონასტერში მომლოცველობის წესი! მაგრამ ამ ნუსხაზე, არც აზერბაიჯანში და არც სომხეთში, არავის უღლიცინია და ეროვნული თვითგვემით არ დაკავებულა!

და ყველაზე მდიდარი ეთნოგრაფიის კავკასიური ქვეყანა — საქართველო — ყველაზე ღარიბი ნუსხით რატომ უნდა იყოს წარმოდგენილი?!

მხოლოდ ჩვენი ახლო მეზობლებით რომ არ შემოვიფარგლოთ, ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების კულტურული მემკვიდრეობის ნუსხასაც გადავხედოთ: **ნაცსოროსელებო, აბა, დასცინეთ ბულგარელებს „ბისტრიციელი ბებიების სიმღერის“ გაძეგლების გამო ანდა საბერძნეთს გამოუყავით ყურიდან ენა „ხმელთაშუაზღვის დიეტის“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად სახელმწიფო დონეზე აღიარებისათვის!**

ვერა?!

ჰოდა, სჯობს, ისევ სააკაშვილის „ფეკალიების დაგორგოლავების“ კულტურულ მემკვიდრეობას მიაწვეთ!

***გიორგი გიგაური***

## საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სია

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური გვერდის მიხედვით ჩვენი ქვეყნის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში 70-მდე ტრადიცია, სანახაობა თუ კერძია შესული! მათ შორის:**

**ქვევრი, ბერიკაობა, კახური მრავალჟამიერი, მესხური ყველი ტენილი, ლაღიძის წყლები, ქართული ჭიდაობა, დამბალხაჭოს დამზადების ტექნოლოგია, კუბდარის დამზადების ტრადიციული მეთოდი, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნის ტრადიცია, კახური ჩურჩხელის დამზადების გამოცდილება/ტექნოლოგია, კახური პურის (დედას პურის) დამზადების ტექნოლოგია, ზარით დაკრძალვის სვანური რიტუალი, მეთუნეობის უძველესი ტრადიცია, ბაზიერობა, ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნა და მისი გამოყენების ტრადიციები, ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში, ფშაური პოეტური ტრადიცია — ფშაური „ხმით ნატირები“, ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიცია, ცეკვა „ქართული“, სულგუნის დამზადების ტრადიცია, ჯარაში თაფლის წარმოების ტრადიცია, ქართული ტრადიციული საეკლესიო მუსიკა — გალობა და ა.შ.**



**თაკო კორინთელი**
*ტელეწამყვანი*



როცა ვხედავ, **ჩემ წინ ვიღაც ერთ ადგილს ათამაშებს** და უნდა გამომიწვიოს, ჩემი პასუხი სრული იგნორია, არც კი გავხედავ.

„თბილისელები“

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



რაც ასაკი მემატება, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ **ძალიან ჭკვიანი გოგო ვარ,** იმის გამო, რომ „კარიერას არ გადავყევი“.

„თბილისელები“

**ქეთი ჩხეიძე**
*მსახიობი*



**როცა ჩათვლი, რომ ადამიანი შენთვის ძვირფასია, აუცილებლად აპატიებ!**

„სარკე“

**მაგდა ვასაძე**
*მომღერალი*



**ახლა ცხოვრების იმ ეტაპზე ვარ, როცა ყველაზე მეტად ვიფურჩქნები.**

„თბილისელები“

**ზურაბ გურიელი**
*ზოოპარკის დირექტორი*



თბილისის ზღვაზე ცხოვრობს **ველური კურდღელი,** რომელიც დროგამოშვებით გვსტუმრობს ხოლმე. **ჩვენი ზოოპარკი 2 წელიწადში მთლიანად გადასვლას ვერ მოახერხებს,** ნაწილი გაიხსნება.

„კვირის პალიტრა“

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

## პუტინმა სააკაშვილის სიცოცხლე საჩუქრად






მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკთან ერთად

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში უკრაინაში მოღვაწეობის პერიოდის გახსენებისას ერთობ პიკანტურ დეტალებს ასაჯაროებს, როგორი კორუფციული სქემები ემშობლიურება უკრაინულ ელიტას:

> ***„უკრაინა მთლიანად აგებულია ფეოდალურ სისტემაზე. აი, რაში გამოიხატება ეს: ადამიანს აძლევენ ადგილს, რითიც უნდა მოიპოვოს მან თავისი შემოსავალი, თანაც დამსაქმებელს აძლიოს თავისი წილი. ეს სისტემა ძალიან მაგონებს შევარდნაძის დროს, ოღონდ ბევრად უფრო ამორალური და დახვეწილია.***
>
> *აი, მაგალითისთვის, როდესაც* ***პოროშენკო*** *ჩამოდიოდა ოდესაში ვიზიტად, წინასწარ აგზავნიდნენ ასკაციან ჯგუფს და გვიბრძანებდნენ, ისინი დაგვებინავებინა რამდენიმე დღით სასტუმროში, თანაც გამოგვეკვება, გვეზრუნა მათ გართობაზე, ოღონდ ამაზე ფული საერთოდ არ იყო გამოყოფილი...*
>
> ***ბუნებრივია, ამ ხარჯის დაფარვა ხდებოდა ადგილობრივ ბიზნესმენებთან „თვალის ჩაკვრით“, ისინი ამას უზრუნველყოფდნენ. რა თქმა უნდა, იმედი ჰქონდათ, სანაცვლოდ პრივილეგიებსაც მიიღებდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. ამ დაწესებულ პირობებს თუ გააპროტესტებდი, ანუ პრეზიდენტის ამგვარ ვოიაჟს შეეწინააღმდეგებოდი, მერე აუცილებლად პროკურატურა დაინტერესდებოდა შენი ურთიერთობებით ამ ადგილობრივ ბიზნესმენებთან. კერძოდ, მათი გადარიცხვებით, საქველმოქმედო ფონდით.***
>
> *ერთი სიტყვით,* ***პრაქტიკულად, თვითონ ჩაგითრევდნენ კორუფციულ გარიგებაში და საჭიროებისამებრ, გაშანტაჟებდნენ კიდეც*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 263).*

ანუ მემუარისტი ისე გაერთო უკრაინულ კორუფციულ ფეხსალაგში ქექვასა და გამომზეურებაში, რომ ვერც კი მიხვდა, როგორი აღიარებითი ჩვენება დააბრეხვა მთელი მსოფლიოს წინაშე: მე ოდესის გუბერნატორობისას უკრაინის კორუფციული ჭაობის ერთ-ერთი ბინადარი ვიყავიო, რადგან ფაქტია, მას არცერთხელ არ გაუპროტესტებია პრეზიდენტ პოროშენკოს უზარმაზარი გარემოცვის სტუმრობა ოდესაში!

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ არ მოეწონათ ამერიკელებს მისი დაპირისპირება **პრემიერ იაცენიუკთან,** რომელსაც **პრეზიდენტ პოროშენკოს** დავალებით უთხრიდა ძირს:

> ***„ამერიკელებს სურდათ იაცენიუკის შენარჩუნება. სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიქტორია ნულანდი შემხვდა ნიუ-იორკში ვალდორფ ასტორიას სასტუმროს შეხვედრათა დარბაზში და კატეგორიულად მომთხოვა, იაცენიუკისთვის თავი დამენებებინა. ამ ხელმძღვანელის მოტივაცია მდგომარეობდა შემდეგში — უკრაინაში ოლიგარქიული კლანები ერთმანეთს უნდა აწონასწორებდეს. თუ მოიხსნება იაცენიუკი, გაიმარჯვებს ერთი კლანი და გახდება უკონტროლო. მე ვუპასუხე, რომ მაკვირვებს ოლიგარქიულ თამაშებში ჩაბმული ამერიკელების ხილვა და, მათდამი პატივისცემის მიუხედავად, მივაღწევ იაცენიუკის გადადგომას“*** *(იქვე, გვ. 264).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილმა ამჯერად თვით ობამას ადმინისტრაცია გამოაჭენა უკრაინული კორუფციული ჭაობის ორგანიზატორობაში. თუმცა, უფრო შორსაც წავიდა და ახლა უკვე თვით **ჯორჯ სოროსიც** კი ამხილა:

> ***„პირველი ანტიკორუფციული ფორუმის წინ, რომელზეც 15 ათასზე მეტი მონაწილე დარეგისტრირდა, დამირეკა ჩემმა ძველმა ნაცნობმა ჯორჯ სოროსმა და პირდაპირ მომთხოვა ფორუმის გაუქმება და იაცენიუკისთვის თავის დანებება.*** *„თუ იაცენიუკს მოხსნიან, სავალუტო ფონდი უკრაინას ტრანშს აღარ მისცემს, ეკონომიკა ჩამოიშლება და რუსეთი უკრაინას დაიპყრობს“ —* ***დამიხატა სოროსმა აპოკალიპტური სურათი. ჩემი აზრით, მას ამ ზარის განხორციელება, ჩემზე ზეგავლენის მოსახდენად, ობამას ადმინისტრაციიდან სთხოვეს. ყოველ შემთხვევაში, მე ის ისეთივე უარით გავისტუმრე, როგორც მანამდე ვიქტორია ნულანდი. ფორუმი დიდი წარმატებით ჩატარდა და იაცენიუკს წყალი შეუდგა“*** *(იქვე, გვ. 265).*

უკრაინელ ოლიგარქებზე საუბრისას მემუარისტი ერთ ძალიან საინტერესო დეტალს იხსენებს:

> *„მე* ***კოლომოისკისთან,*** *რომელიც, ერთი მხრივ, სრული მტაცებელია და, ამავე დროს, პიროვნულად ძალიან ჭკვიანი და რთული პიროვნებაა, სრულიად განსხვავებული ურთიერთობის გამოცდილება მაქვს საქართველოში.* ***როდესაც მან იყიდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ისურვა, საგადასახადო სამსახურის უფროსთან შეხვედრა და პირდაპირ ჰკითხა, რამდენი უნდა გადაეხადა, რომ ქვეყანაში შეეღწია და დამკვიდრებულიყო. საგადასახადომ დათვალა ყველა დაფარული გადასახადი და დაუსხელა კოლომოისკის 150 მილიონი დოლარის ოდენობის თანხა. ამაზე მან იკითხა, რომელ ოფშორზე უნდა გადაერიცხა ეს თანხა. როდესაც გაიგო, რომ თანხა სრულად, ბოლო ცენტამდე, ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო და არცერთი თანამდებობის პირი არაფერს ითხოვდა, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ამის შემდეგ ის სუფთად მუშაობდა და წესიერად იხდიდა გადასახადებს“*** *(იქვე, გვ. 276).*

ჯერ ერთი, სააკაშვილი ცრუობს, რადგან ვიღაც საგადასახადო სამსახურის უფროსის დონეზე ვერანაირად ვერ გადაწყდებოდა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოს უცხოელ მილიარდერზე გაყიდვა! ეს სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილისა და უკრაინელი მილიარდერის პირადი გარიგების შედეგად მოხდა!

მეორეც, როდესაც სააკაშვილი ტრაბახობს, ფეროს გაყიდვით მიღებული თანხა ბოლო ცენტამდე ბიუჯეტში შევიდაო, ეს სულაც არ ნიშნავს სააკაშვილის დროინდელი საქართველოს უკიდეგანო დემოკრატიულობასა და არაკორუმპირებულობას, რადგან მაშინ ბიუჯეტი სწორედ სააკაშვილის ბანდის ჯიბის ქისა იყო და რა მნიშვნელობა ჰქონდა, პრეზიდენტი ბიუჯეტიდან დაიფინანსებდა დოქტორ დოტის ეროტიკულ მასაჟებს ან საკუთარი ჰარამხანის წევრთა ძვირფასი სამაჯურებით დასაჩუქრებას თუ ოფშორულ ზონაში გახსნილი საიდუმლო ფონდიდან?!

თუმცა, ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, თურმე, სააკაშვილს პრეზიდენტობისას ზესტაფონის სტრატეგიული ფეროშენადნობთა ქარხანა უკრაინელი კრიმინალური ოლიგარქის — **კოლომოისკისთვის** მიუყიდია!

დაბოლოს, სააკაშვილის ოდესის გუბერნატორობა აი, ასე სამარცხვინოდ დასრულდა:

> ***„პოროშენკოს*** *უკვე* ***მას შემდეგ აღარ ვჭირდებოდი, რაც ჩემი ხელით მოიშორა*** *იაცენიუკი* ***და უფრო მეტიც, მიიჩნია, რომ პრობლემების შემქმნელად ვიქეცი მისთვის.*** *გროისმანის* ***მთავრობის დაკომპლექტებისას ის გაურიგდა*** *იაცენიუკის* ***გუნდს. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, როგორც გათვალა,*** *იაცენიუკი* ***ჩააჩოჩეს, თუმცა, გუნდის წევრების უმეტესობა, მათ შორის,*** *ავაკოვი,* ***მთავრობაში დარჩნენ, ფინანსური ნაკადები კი გადანაწილდა, ძირითადად, პოროშენკოს სასარგებლოდ. მნიშვნელოვანი ნაწილი შეუნარჩუნდა*** *იაცენიუკსაც“* *(იქვე, გვ. 301).*

აი, ასე ბითური „ფრაერივით“ გამოიყენეს, გააცუცურაკეს სააკაშვილი, მიაგდეს და ბოლოს, როდესაც ახტა-დახტა, უკრაინის მოქალაქეობაც ჩამოართვეს და ქვეყნიდანაც გააპანღურეს!

და სააკაშვილი გახდა მოქალაქეობის არმქონე სამარცხვინო არსება, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა ოდესის გუბერნატორობაზე დაახურდავა, უკრაინის მოქალაქეობა კი, როგორც უკრაინის მტერს, ისე ჩამოართვეს და ქვეყნიდან გააძევეს.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




მიხეილ სააკაშვილი უკრაინელ ოლიგარქ იგორ კოლომოისკისთან ერთად

***მიხეილ სააკაშვილი:***

## უკრაინა მთლიანად აგებულია ფეოდალურ სისტემაზე!

### კვირგვინოსნები



**ოლეგ ბასილაშვილი**
*თეატრისა და კინოს მსახიობი*

ის, რაც ახლა **უკრაინაში** ხდება, ჯაჭვურად არის დაკავშირებული **აფხაზეთში, სამაჩაბლოში, დნესტრისპირეთში, ყაზახეთსა და სხვა ქვეყნებში** მომხდარ უბედურებასთან. არ ვიცი, როდის გაჩერდება ეს ჯოჯოხეთი. მთელი არსებით შეძრწუნებული ვარ! მაოცებენ ისინი, ვინც ახერხებს ამ ყველაფრის უგულებელყოფას, **რუსეთში, ჩემ გარშემო, ვითომდაც არაფერი, ისე აგრძელებს ცხოვრებას.**

„კვირის პალიტრა“



**რაულ ჩილაჩავა**
*მწერალი, დიპლომატი*

ამ ბარბაროსულმა ომმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ **მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს.** ძალიან დამთრგუნა თბილისის თანამედროვე არქიტექტურამ. არაფერს ვამბობ უაზრო, ბრიყვულ აბრებზე, როცა **ინგლისური სიტყვები გადმოტანილია ქართული ასოებით, ქართული სახელწოდებები კი თითქმის არ გვხვდება.**

„კვირის პალიტრა“



**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*

**სააკაშვილი** პატრიარქს ულოცავდა, ნაცმოძრაობა — ლანძღავდა. **ახალი ქართველი 200 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ გამოძერწა.** არც სააკაშვილს გამოუვიდა.

„ახალი თაობა“

*„სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთითხნილი ბრალდებით დაკავებული ვოვა არუთინიანი, ჩემი ღრმა რწმენით, სრულიად უდანაშაულოა და მისი საქმე სასწრაფოდ უნდა გადაისინჯოს!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ფოტოხელოვანმა ИУРИ მეჩითოვამა:***

— 2005 წლის 10 მაისს, ზუსტად ჩემს დაბადების დღეზე, ბუში და მისი მეუღლე, აგრეთვე საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ცოლი ყოფილი ლენინის მოედანზე ტყვიაგაუმტარი ფარის მიღმა სიტყვით გამოვიდნენ. ამ წარმოდგენაზე დასწრების მსურველმა თითოეულმა მოქალაქემ ქართული და ამერიკული სპეცსამსახურების უსაფრთხოების ჩარჩოებში გაიარა. ამის მიუხედავად, გაოცებულ ქართველ ხალხს მედიის საშუალებით აცნობეს, რომ პრეზიდენტების ერთობლივი გამოსვლისას ვიღაცამ ჩვარში შეხვეული ნივთი ისროლა ტრიბუნისაკენ, მაგრამ იქამდე არ მიუღწევია და ასფალტზე დავარდა. მეორე დღეს ეს „რაღაც“ საბრძოლო ხელყუმბარა აღმოჩნდება, რომელიც, „საბედნიეროდ“, არ აფეთქდა, შემდეგ კი მედიაში ჩნდება კოსმოსიდან გადაღებული თავყრილობის ფოტო და ვიღაც შავ სათვალეში. სწორედ ამის საფუძველზე აკავებენ **ვოვა არუთინიანს,** არადა, ამ „სამხილით“ ქალაქის მოსახლეობის, სულ მცირე, მესამედის დაჭერა შეიძლება. სპეციალისტობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ აღნიშნული ფოტო კოსმოსიდან კი არა, დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლიდან არის გადაღებული, ამას ვამბობ მე, პროფესიონალი ფოტოგრაფი! როგორც სააკაშვილის რეჟიმი იტყობინებოდა, არუთინიანმა დაკავების დროს სროლა ატეხა და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა პოლიციელს. ბოლოს და ბოლოს, მას იჭერენ, ბორკილებს ადებენ, მაგრამ იგი ასწრებს, მისკენ მიპყრობილი კამერების წინ ძაროვიანი ქართულით **ჯორჯ ბუშის** დედა უხეშად შეამკოს.

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე თავდამსხმელ“ **ვოვა არუთინიანს** უვადო პატიმრობა მიუსაჯეს და დღემდე ციხეში ზის, ხოლო მისი დამჭერები ჩინებითა და პრემიებით დააჯილდოვეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყოველივე ამის მიღმა სხვა რეალობა იმალება!

**— თქვენი აზრით, რა მოხდა სინამდვილეში?**

— ტელეკამერებით გადმოცემულ ფრაგმენტებში მე ვოვა არუთინიანის დანაშაულის ამსახველი ვერანაირი მტკიცებულება ვერ დავინახე, გარდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის უხამსი გინებისა! ამიტომ მისი დაპატიმრებისთანავე შევუდექი „ნიუ იორკ თაიმსის“ თვალიერებას, რომელსაც ასეთი ლოზუნგი აქვს წამძღვარებული — „ყველა სიახლე, რომელიც დაბეჭდვას იმსახურებს!“ ყოველდღე ვეცნობოდი გაზეთს იმ იმედით, რომ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ამსახველ რაიმე ინფორმაციას წავაწყდებოდი, მაგრამ ამაოდ... გამოდის, რომ იმდენად დიდი სისულელე იყო, რომ მის გაჟღერებაზე არც უფიქრიათ!

**— მაშ, რა მიზანი ჰქონდა ამ ბრალდებით კაცის დაჭერას და მისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯას?**

— სიტუაციის გაანალიზების შემდეგ მივედი დასკვნამდე: 2005 წელს ამერიკელები შეპყრობილი იყვნენ ირანზე თავდასხმის მისწრაფებით, რასაც იქაური სომხური ლობი აფერხებდა. ამასთან, ცნობილია, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთისგან ბლოკადაში მყოფი სომხეთი მხოლოდ საქართველოსა და ირანის მხრიდან არის გახსნილი, ამ მიზეზით ირანი სომხეთის ბუნებრივ მოკავშირედ ითვლება.

**სომხური ლობის პოზიციის გასანეიტრალებლად საჭირო გახდა მის წინააღმდეგ შავი პიარის აგორება. ჩემი აზრით, ამიტომ „აღმოჩნდა“ ყუმბარა სომხური წარმოების, თუმცა, არავინ იცის, არსებობდა კი იგი საერთოდ?**

მისი „მსროლელიც“, ხედავთ, რა დამთხვევაა? — სომეხია! სომხის მხრიდან ბუშის „ლიკვიდაციის“ პროექტი, როგორც ჩანს, მერე დაამუხრუჭეს და სომხების გაშავების მისწრაფებაც დღის წესრიგიდან მოიხსნა, მაგრამ ჩვენ, ნიჭიერი ქართველები, როგორც შეგვეძლო, ხომ დავეხმარეთ ამერიკელებს და სპექტაკლი ვითამაშეთ?! მეტი დამაჯერებლობისთვის, პოლიციელსაც ესროლეს, ალბათ, საქმის დრამატიზების მიზნით, მაგრამ შემთხვევით შემოაკვდათ, ან სულაც შეგნებულად მოკლეს და არუთინიანის წინააღმდეგ უსუსური ბრალდება „პოლიციელის მკვლელობის“ ეპიზოდით გაამყარეს... ეს ჩემი მოსაზრებაა, თუმცა, ფაქტია, რომ არუთინიანი ჯერ კიდევ ციხეშია ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობისთვის, მისი მწამებელი სააკაშვილი კი წამებულის გვირგვინს იდგამს...



## იური მეჩითოვი:

# ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას ერთხმად უნდა მოსთხოვოს ვოვა არუთინიანის საქმის გადასინჯვა!

**— არადა, სააკაშვილის მდგომარეობა არანაირად არ შეეფერება წამებულის მდგომარეობას. ვოვა არუთინიანისგან განსხვავებით, ოროთახიან აპარტამენტში ზის, ყოველდღე ათობით ადამიანს და ოჯახის წევრებს ნახულობს...**

— თუ არუთინიანის მწამებელთა სია შედგება, იქ, უპირველესად, სააკაშვილის გვარი ჩაიწერება! თანაც, სააკაშვილს პასუხი არ უგია სხვა უამრავი, მათ შორის, მთავარი დანაშაულისთვის — ომის დაწყებისა და ქართული ტერიტორიების დაკარგვისთვის, ამ ტერიტორიების „ქვების გროვად“ გამოცხადებისთვის! რაც შეეხება ვოვა არუთინიანს, მისი ტყვეობა გაგრძელდება იქამდე, ვიდრე, ამერიკელების ხუნდები ედება არამხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად ჩვენს პლანეტას! ვიდრე დასავლური ნაციზმისა და ნეოფაშიზმისაკენ მიდრეკილი იდეოლოგია დემოკრატიად საღდება! **ქართველი ხალხი შეუპოვრად უპირისპირდება დასავლეთს და მისი აგენტურის ზეწოლას, შესაბამისად,**

**იმედს ვიტოვებ, რომ ვოვა არუთინიანის გათავისუფლების საკითხი უახლოესი მომავლის პერსპექტივაა, თუმცა, ამისთვის საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია გახლავთ აუცილებელი!**

ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას ერთხმად უნდა მოსთხოვოს ვოვა არუთინიანის საქმის გადასინჯვა. გარწმუნებთ, თუ ეს მოხდება, სააკაშვილის რეჟიმის არაერთი უმძიმესი დანაშაული გამოიკვეთება!

*ესაუბრა*
*ზაზა დავითაია*



უვადო პატიმარი ვლადიმერ არუთინიანი



## „აღნიშნული ფოტო კოსმოსიდან კი არა, დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლიდან არის გადაღებული, ამას ვამბობ მე, პროფესიონალი ფოტოგრაფი!“

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*ინჟექციონისტი*



გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ამასაც მოვესწარი, რომ **ჩემს სამსახურში ავადმყოფებთან მისასვლელად ხარკი უნდა გადავუხადოთ პაატა კურტანიძეს.** იმავეს გაკეთება უწევთ ჩვენი ცენტრის სხვა თანამშრომლებსაც. **პარკინგის უფასო საშვები გაგვიუქმეს.** საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ამას იკადრებდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დათო ლიკლიკაძე**
*ჟურნალისტი, მსახიობი, ქუთაისის მერიის თანამშრომელი*



ქუთაისის **22 მერი მყავს გამოცვლილი** და რომ უკვირთ ხოლმე ეს ამბავი, ხუმრობით ვეუბნები: **რა იყო, თქვე კაი ხალხო, 22 კაცს იცვლის ზოგი და დიდი ამბავი, თუ მე 22 მერი გამოვიცვალე-მეთქი.** სხვათაშორის, 22-ვე ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!

„თბილისელები“

**გოგი წულაია**
*პოლიტიკოსი*



ბოლო-ბოლო, **რამდენი არჩევნები უნდა წააგო და იძახო, გააყალბეს-გააყალბესო?!** ამ გადმოსახედიდან, რასაც საფრანგეთიდან ვუყურებ, საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტია დაშლილი და მართულია.

„სარკე“

**კოკა ხაბაზი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ორი მტრედი მოფრინდა. მტრედებსაც იგივე გავუმეორე, რომ **ბოროტებასთან თანაცხოვრებაში მყოფი მშვიდობა სიბილწეა,** რომ ნამდვილი მშვიდობა მხოლოდ ბოროტებაზე გამარჯვებით მიიღწევა, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დამეთანხმნენ.

„აიპრესი“



# ვიქტორინა

1. რომელ ქვეყანაში მოქმედებს „ლომისა და მზის“ საზოგადოება, ნაცვლად „წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარისა“?

ა. ინდოეთში; ბ. ირანში; გ. თურქეთში.

2. რა ასრულებდა ერთ დროს ფულის მაგივრობას ჩინეთსა და მონღოლეთში?

ა. მარილი; ბ. ცხენი; ნ. ჩაი.

3. რას უწოდებენ ვენეციელი მენავეების სიმღერას?

ა. რომანსს; ბ. ბარკაროლას; გ. მადრიგალს.

4. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „გარაჟი“?

ა. ე. რიაზანოვი; ბ. გ. დანელია; გ. ს. ბონდარჩუკი.

5. ვინ იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე?

ა. ერეკლე II; ბ. გიორგი V; გ. გიორგი VIII.

6. რა ეწოდება გამოფენას ან ფესტივალს, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ეწყობა?

ა. ბიენალე; ბ. ვერნისაჟი; გ. ტრიენალე.

7. რას უწოდებენ მსოფლიოში ყველაზე მაღალ მოქმედ ვულკანს?

ა. კლუჩევსკაია სოპკას; ბ. ეტნას; გ. კოტოპახის.

8. ვინ არის ავტორი რომანისა „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“?

ა. ჯ. ლონდონი; ბ. გ. ფლობერი; გ. თ. დრაიზერი.

9. რას უწოდებენ თავიანთ ფულის ერთეულს ჰოლანდიელები?

ა. კრონს; ბ. დოლარს; გ. გულდენს.

10. რა იყო ცნობილი იტალიელი ფერმწერის ტინტორეტოს ნამდვილი სახელი და გვარი?

ა. ალესანდრო მაცოლა; ბ. იაკოპო რობუსტი; გ. ალფრედო კოკოცა.

11. რა გვარია ი. ხვიჩიას გმირი ფილმიდან „ფეოლა“?

ა. სულაბერიძე; ბ. დოლაბერიძე; გ. ჩხაიძე.

12. პირველად რომელ წელს გახდა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი?

ა. 1950 წ.; ბ. 1954 წ.; გ. 1958 წ.

13. რას უწოდებდნენ ფეოდალურ საქართველოში მეფის დაცვის წევრს?

ა. მანდატურს; ბ. სპასალარს; გ. ჩუხჩას.

14. ორთაბრძოლის რომელმა იაპონურმა სახეობამ იხსნა ერთხელ სიკვდილისაგან შერლოკ ჰოლმსი?

ა. აიკიდო; ბ. ჯიუ-ჯიცუ; გ. ბარიცუ.

15. რომელი ხალხის ეროვნული ცეკვაა სარდანა?

ა. ბასკების; ბ. ბერძნების; გ. კატალონიელების.

16. რომელ ქალაქში მდებარეობს ბრანდენბურგის კარიბჭე?

ა. პარიზში; ბ. ბერლინში; გ. ლონდონში.

17. რამდენი დედაქალაქი ჰქონდა იაპონიას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში?

ა. ორი; ბ. სამი; გ. ოთხი.

18. რას უწოდებენ პრემიას, რომელსაც ფრანგები ანიჭებენ კინემატოგრაფიაში მოღვაწე პიროვნებებს?

ა. სეზარი; ბ. ფელიქსი; გ. ონორე.

19. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა „კაპიტან გრანტის შვილები“?

ა. ჟ. ვერნი; ბ. დ. დეფო; გ. რ. საბატინი.

20. რომელი გვარი იყო ილფისა და პეტროვის ერთობლივი ფსევდონიმი?

ა. ილპე; ბ. ტოლსტოევსკი; გ. სამოდუროვი.

21. სად მდებარეობს საქართველოში უდიდესი კარსტული მღვიმე?

ა. ახალ ათონში; ბ. ქუთაისში; გ. უფლისციხეში.

22. რომელ ქვეყანას უწოდებდნენ ადრე სამხრეთ როდეზიას?

ა. ზიმბაბვეს; ბ. ზამბიას; გ. ეთიოპიას.

23. რომელმა ფეხბურთელმა გაიტანა ყველაზე მეტი გოლი სსრკ-ის ჩემპიონატებში?

ა. გ. ფედოტოვმა; ბ. ო. ბლოხინმა; გ. რ. შენგელიამ.

24. რომელ ცნობილ ალპინისტს შეარქვეს „კლდის ვეფხვი“?

ა. მ. ხერგიანს; ბ. ე. ჰილარის; გ. ნ. ტენცინგს.

## ვიქტორინის პასუხები:

1. ირანში; 2. ჩაი; 3. ბარკაროლას; 4. რიაზანოვი; 5. გიორგი VIII; 6. ტრიენალე; 7. კოტოპახის; 8. ჯ. ლონდონი; 9. გულდენს; 10. იაკოპო რობუსტი; 11. დოლაბერიძე; 12. 1958 წ. 13. ჩუხჩას; 14. ბარიცუ; 15. კატალონიელების; 16. ბერლინში; 17. ოთხი; 18. სეზარი; 19. ჟ. ვერნი; 20. ტოლსტოევსკი; 21. ახალ ათონში; 22. ზიმბაბვეს; 23. ო. ბლოხინმა; 24. მ. ხერგიანს.



**პასუხები:**

თარაზულად: 1. მასტიკა; 7. სიდრი; 13. სტაკატო; 14. რეკრუტი; 15. ნარვალი; 16. ფინტი; 17. ზამბეზი; 18. დარვინი; 19. ურანოსი; 23. აგორა; 28. ანოა; 29. მანაგუა; 30. ბარდი; 31. კივი; 33. რომანია; 34. რემა; 36. რონდო; 37. ფანზა; 41. კოლონია; 45. მორსი; 46. გადია; 47. ერედა; 48. ნარტა; 49. ლატარია; 50. ნანტი; 51. ვინტი; 52. იფანი; 53. აბაკა; 54. ალიგოტე.

შვეულად: 1. მენიუ; 2. სარმა; 3. იმაგო; 4. ასიზი; 5. პალმა; 6. პარეო; 7. სოფია; 8. დინგო; 9. ირიდა; 10. აკურა; 11. გურია; 12. პინია; 20. რენდი; 21. ნიაბი; 22. საირმე; 24. ლაიკა; 25. მაროკო; 26. ნაგანო; 27. ტურინი; 31. კორტესი; 32. ვენდეტა; 34. რომანი; 35. მარანი; 37. ფინია; 38. ნერვა; 39. აგავა; 40. ადანი; 41. კალია; 42. ლიტრი; 43. ნორიო; 44. ატაშე.

თარაზულად: 1. იატაკის საცხი; 7. ვაშლის ღვინო; 13. მუსიკალური შესრულების ხერხი; 14. ახალწვეული; 15. ზღვის ცხოველი; 16. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 17. მდინარე აფრიკაში; 18. ინგლისელი ბიოლოგი; 19. ცის ღმერთი ბერძ. მითოსში; 23. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში; 28. ჯუჯა კამეჩი; 29. ნიკარაგუის დედაქალაქი; 30. სახალხო მგოსანი კელტებში; 31. ტროპიკული ხილი; 33. იტალიის ოლქი; 34. ცხენების ჯოგი; 36. მუსიკალური პიესის ფორმა; 37. ჩინური ქოხი; 41. დაპყრობილი ქვეყანა; 45. ხილის სასმელი; 46. ძიძა, ანუ; 47. სოფელი მცხეთის რაიონში; 48. ესკიმოსების მარხილი; 49. ფულის გათამაშება; 50. ქალაქი საფრანგეთში; 51. ხრახნი, ანუ; 52. ფოთლოვანი ხე; 53. საფეიქრო ბანანი; 54. ვაზის ჯიში.

შვეულად: 1. საჭმელ-სასმელის ჩამონათვალი; 2. ილეთი ჭიდაობაში; 3. მწერის განვითარების სტადია; 4. ქალაქი იტალიაში; 5. ტროპიკული ხე; 6. პლაჟის ტაიტური სამოსი; 7. ქალაქი ბულგარეთში; 8. ავსტრალიური ძაღლი; 9. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძ. მითოსში; 10. სოფელი თელავის რაიონში; 11. საქართველოს კუთხე; 12. იტალიური ფიჭვი; 20. სამხრეთაფრიკული ფული; 21. სოფელი კასპის რაიონში; 22. კურორტი საქართველოში; 24. რბილი ტყავი; 25. ქვეყანა აფრიკაში; 26. ქალაქი იაპონიაში; 27. ქალაქი იტალიაში; 31. მექსიკის დამპყრობი; 32. სისხლის აღების ადათი; 34. დიდი ზომის თხრობითი ნაწარმოები; 35. სოფელი აბაშის რაიონში; 37. პატარა ძაღლი, გოშია; 38. რომის იმპერატორი; 39. ტროპიკული მცენარე; 40. ფრანგი კომპოზიტორი; 41. მწერი; 42. სითხის საზომი ერთეული; 43. სოფელი გარდაბნის რაიონში; 44. დიპლომატიური რანგი.



# ვიქტორინა

1. ოკეანოგრაფიის ცნობილი მუზეუმია — ა. მონაკოში; ბ. სან-მარინოში; გ. ვენეციაში; დ. გენუაში;

2. კათოლიკურ ტაძარს დარაჯობს — ა. მოგვი; ბ. კასტელანი; გ. აბატი; დ. კიურე.

3. აშურბანიპალი იყო მეფე — ა. ეგვიპტისა; ბ. ბაბილონისა; გ. ასურეთისა; დ. ლიდიისა.

4. სონატა „აპასიონატას“ ავტორია — ა. მოცარტი; ბ. ბეთჰოვენი; გ. შოპენი; დ. ლისტი.

5. სად ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი?

ა. გვიშტიბში; ა. ფარცხანაყანევში; გ. მაღლაკში; დ. სვირში.

6. კანის ანთებისას უნდა მივმართოთ — ა. ანგიოლოგს; ბ. ართროლოგს; გ. ფთიზიატრს; დ. დერმატოლოგს.

7. „მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული“ — ეს სტრიქონები ეკუთვნის — ა. გალაკტიონს; ბ. სიმონ ჩიქოვანს; გ. იროდიონ ევდოშვილს; დ. გიორგი ქუჩიშვილს.

8. რომელი კუნძული არ არის ხმელთაშუა ზღვაში? ა. კორსიკა; ბ. მალტა; გ. სარდინია; დ. ბაგამი.

9. მაიას ტომის მიერ არ არის გამოყვანილი კულტურული მცენარე —

ა. კარტოფილი; ბ. სიმინდი; გ. პომიდორი; დ. თამბაქო.

10. მტაცებელი ცხოველია — ა. ვიკუნია; ბ. ვომბატნი; გ. ვერმონტი; დ. ვივერა.

11. ბარი არ არის — ა. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; ბ. მანქანის და სამთო კომბაინის მუშა ნაწილი; გ. კუნძული; დ. ქვიშიანი და თავთხელი ზღვის სანაპიროზე.

12. „სილიკო“ რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილია, რაც ნიშნავს კავშირს — ა. ქვასთან; ბ. ხელოვნურ ბოჭკოსთან; გ. კაჟთან; დ. ზოგადად, მკვრივ მასასთან.

## 10 კითხვა ინტელექტუალთათვის პასუხები:

1. ფრანგმა იუველირმა აბელ ლეფლერმა; 2. არისტოტელემ ახალგაზრდას განუცხადა: „ვიდრე ლაპარაკს გასწავლი, მომიწევს გასწავლო გაჩუმება!“; 3. მარმარილოს; 4. შოტლანდიელმა ფიზიკოსმა დევიდ ბრიუსტერმა; 5. ანეკდოტი. anecdote ფრანგულად — გამოუქვეყნებელი; 6. ისაკ ნიუტონს; 7. ოქროს კვეთის პროპორციით; 8. იდეალური სილამაზის შიშველი ქალის სახით; 9. „ვერ გავიგე“. როდესაც ევროპელები პირველად ჩავიდნენ ავსტრალიაში და მოხტუნავე კენგურუ დაინახეს, გაუკვირდათ. მათ აბორიგენებს ჰკითხეს — „რა ჰქვია ამ ცხოველს?“. აბორიგენების პასუხი ასეთი იყო: „კენ გუ რუ“. ასე შეერქვა ამ ცხოველს სახელი „კენგურუ“, რაც აბორიგენების ენაზე ნიშნავს: „ვერ გავიგე“; 10. ობოლია;

## ვიქტორინის პასუხები:

1. ა; 2. ბ; 3. გ; 4. ბ; 5. ა; 6. დ; 7. გ; 8. დ; 9. ა; 10. დ; 11. გ; 12. გ.



# 10 კითხვა ინტელექტუალთათვის

1



ეს ოქროს თასი, რომელიც გამარჯვების ქალღმერთს გამოსახავდა და ფიფას პრეზიდენტის ჟიულ რიმეს თასის სახელწოდებით იყო ცნობილი, 1930 წელს შეიქმნა, 1970 წელს კი ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს სამუდამოდ გადაეცა ჩემპიონატებში სამჯერ გამარჯვებისათვის. თუმცა, 1983 წელს მოიპარეს (ჟიულ რიმეს თასი 1966 წელსაც მოიპარეს ინგლისში, მაგრამ პოლიციამ იპოვა) და დღეს მისი ბედი უცნობია. **ვინ დაამზადა ეს თასი?**

2



ერთხელ ფილოსოფოს არისტოტელესთან მივიდა ბევრი ლაპარაკის მოყვარული ახალგაზრდა და სთხოვა, ორატორული ხელოვნება ესწავლებინა. არისტოტელემ ახალგაზრდას განუცხადა, რომ მისგან აიღებდა იმაზე ორჯერ მეტ თანხას, ვიდრე სხვებისგან იღებდა. **რატომ?**

3



ძველად ქვიშის საათის ქვიშის დასამზადებლად ამ მინერალის ფხვნილს ღვინოში ან ლიმონის წვენში ადუღებდნენ, შემდეგ წურავდნენ და აშრობდნენ. ამ პროცედურას იმეორებდნენ 9-ჯერ.

**რომელი მინერალის ფხვნილისაგან იღებენ ქვიშის საათის ქვიშას?**

4



**ვინ გამოიგონა ოპტიკური ხელსაწყო-სათამაშო — კალეიდოსკოპი?**

5



**რა ჰქვია ამ ტერმინს თუ ის პირველად XII საუკუნის მწერლის პროკოპი კესარიელის სატირული ნაწარმოების „საიდუმლო ისტორიის“ მიმართ გამოიყენეს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი მოკლე ზეპირ სალაღობო მოთხრობას უწოდებენ?**

6



**რომელ მეცნიერს ეკუთვნის ნაშრომი — „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“**

7



**რემბრანტი — ავტოპორტრეტი.** თუ სურათზე შემოხაზული სამკუთხედის წვეროდან დაუშვებთ მართობს მაშინ სამკუთხედი გაიყოფა...

**დაასრულეთ სიტყვები**

8



**აფროდიტე ანტიკურ სახვით ხელოვნებაში წარმოდგენილია...**

9



**ავსტრალიელი აბორიგენების ენაზე რას ნიშნავს სიტყვა „კენგურუ“?**

10



**რა სიტყვით სრულდება აბრაამ ლინკოლნის ფრაზა: „თვალთმაქცი მაგონებს ადამიანს, რომელმაც მოკლა მშობლები და სასამართლოს სთხოვს შეწყალებას იმის გამო, რომ...“**



# როგორ დავუბრუნოთ კანს სიჯანსაღე და მომხიბვლელობა?

*ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ კოსმეტიკური საშუალებები ქალს მხოლოდ ხანდაზმულ ასაკში სჭირდება და ბევრმა კოსმეტიკამ მას შეიძლება სახის კანი დაუზიანოს. არადა, კოსმეტიკური საშუალებები ზოგიერთ ადამიანს ბავშვობიდან სჭირდება და მისი გამოყენება კანის ტიპზეა დამოკიდებული.*



**გთავაზობთ ნატურალურ კომპონენტებზე დასამზადებელი ნიღბების რეცეპტებს, რომლებიც კანს ახალგაზრდულ მომხიბვლელობასა და სიჯანსაღეს დაუბრუნებს.**

## ნიღაბი პირველი

**სალათის ფოთლები** დავაქუცმაცოთ, დავასხათ ერთი ჩაის ჭიქა **მდუღარე წყალი** და ხუთი წუთის განმავლობაში თავდახურული საშუალო ცეცხლზე დავდგათ. შემდეგ გავაციოთ და დღეში ერთხელ, **ყოველ საღამოს**, მოხარშული მასა სახეზე დავიდოთ, **20-25 წუთს გავიჩეროთ.** ნიღბის ჩამობანის შემდეგ წავისვათ ღამის კოსმეტიკური კრემი.

## ნიღაბი მეორე

ზოგს ისეთი მგრძნობიარე კანი აქვს, რომ კოსმეტიკურ საშუალებებზე ალერგია ემართება. მათთვის კარგია **კომბოსტოს ფოთლებისაგან** დამზადებული ნიღაბი. სამი მეოთხედი ჩაის ჭიქა **კომბოსტოს** შევაზილოთ 3 ჩაის კოვზი **ხაჭო, ლიმონის წვენი,** 1 ჩაის კოვზი **თაფლი** და 2 სუფრის კოვზი **ადუღებული წყალი.** ეს მასა სახეზე წავისვათ და **20-25 წუთი გავიჩეროთ.** შემდეგ ჩამოვიბანოთ და წავისვათ საღამოს კრემი.

## ნიღაბი მესამე

ნიღაბი ეფექტურია ცხიმიანი კანისათვის. 1 **კვერცხის ცილა** კარგად ავთქვიფოთ, დავამატოთ 2 სუფრის კოვზი **კომბოსტოს მწნილის წვენი** და 1 სუფრის კოვზი **პურის ან ბრინჯის ფქვილი.** მიღებული მასა სახეზე თანაბრად წავისვათ და **40 წუთი გავიჩეროთ.** ჩამოვიბანოთ თბილი წყლით და დავიმუშაოთ ღამის კრემით.

## ნიღაბი მეოთხე

ერთი **კვერცხის გული,** 2 სუფრის კოვზი **არაყანი** და 2 სუფრის კოვზი **ზეთი** ერთმანეთში ავურიოთ. ეს ნიღაბი საღამოს უნდა წავისვათ სახეზე და **40 წუთი გავიჩეროთ.** შემდეგ ჩამოვიბანოთ და კრემით დავიმუშაოთ.

## ნიღაბი მეხუთე

ქალებს ხშირად ნაოჭების პრობლემა აწუხებთ. მათ საწინააღმდეგოდ კარგია საფუარისგან დამზადებული ნიღაბი: 1 ჩაის კოვზ **საფუარს** ოდნავ **თბილ რძეში** ვხსნით. როცა არაჟნის სისქეს მიიღებს, წავისვათ სახეზე, ყელსა და მკერდის ზედა მხარეს. **20 წუთის შემდეგ** ჩამოვიბანოთ და ყინულში დასველებული საფენები დავიფინოთ. ეს პროცედურა 1 თვის განმავლობაში ყოველ საღამოს უნდა ჩაიტაროთ.

## სახის გამწმენდი საშუალებები

1 ჩაის კოვზ **პიტნის** გამხმარ და დაქუცმაცებულ **ფოთლებს** დავასხათ 1 ჩაის ჭიქა **წყალი.** ვადუღოთ 2 წუთი, დავუმატოთ 1 ჩაის ჭიქა **გახეხილი ვაშლის** ან **ღვინის ძმარი.** ნარევს დავუმატოთ **7-8 ცალი ვარდის გვირგვინის ფურცელი** და ათი დღე სიბნელეში გავაჩეროთ. ამ სითხეში დასველებული ბამბით გავიწმინდოთ სახე.

ნორმალური კანის გასაწმენდად კარგია **გვირილისგან** დამზადებული ნაყენი. ცხიმოვან კანს კი **მანდარინის ქერქის** ნაყენი უხდება. ერთი **მანდარინის კანს** ნახევარი ჩაის ჭიქა **ადუღებული წყალი** უნდა დავასხათ, დავაყოვნოთ და გადავწუროთ. შემდეგ შეგვიძლია მასში ბამბა დავასველოთ და სახე ამით გავიწმინდოთ.

ასევე სასარგებლოა **ოხრახუშისა და ჭინჭრისგან** დამზადებული სახის გასაწმენდი საშუალებები. **ოხრახუშის თესლს, ჭინჭრის ბალახსა და ფორთოხლის კურკას** დავასხათ 2 ჩაის ჭიქა **წყალი** და ავადუღოთ. გავწუროთ და სახე ისე გავიწმინდოთ. ეს ექსტრაქტები კანს ახალგაზრდობასა და ჯანმრთელობას უნარჩუნებს.

3 სუფრის კოვზ **ცაცხვის ყვავილს,** 2 სუფრის კოვზ **გვირილის ყვავილს,** 1 სუფრის კოვზ **ფარსმანდუკსა** და ნახევარ სუფრის კოვზ **პიტნის ფოთლებს** დავამატოთ 1 ლიტრი **ქაფქაფა წყალი.** 2-3 საათი შევფუთოთ, შემდეგ გავფილტროთ, ჩავასხათ კუბიკის ფორმებში და გავყინოთ. ყინულის პატარა ნაჭრები დოლბანდში გავახვიოთ და დილა-საღამოს კანი გავიწმინდოთ. ბალახოვანი ყინული კანს არბილებს, მის ტონუსს ამაღლებს, მატებს ელასტიკურობას, ასწორებს წვრილ ნაოჭებს, აცხრობს თვალების გარშემო შესიებებსა და ჩაშავებას.

## როგორ მოვუაროთ ხელებს?

ხელებს ხშირი რეცხვა აბერებს. ეს პროცესი თავიდან ასე შეიძლება ავიცილოთ: **ზეითუნის ზეთი, ლანოლინი და ალოეს წვენი** თანაბარი რაოდენობით წყალში ავურიოთ. დავამატოთ ერთი წვეთი **მენთოლის ზეთი** და ამიაკის 2 წვეთი. ეს ნარევი დაბანის შემდეგ ხელებზე წავისვათ.

## როგორ ვებრძოლოთ ჭორფლს?

სახეზე ჭორფლის მოსაცილებლად საუკეთესოა შემდეგი ნაზავი: ერთ სუფრის კოვზ **ნაღებს** დავუმატოთ 1 ცალი **ლიმონის წვენი** და დანაყილი **თეთრი შაბი.** მასა ჭორფლიან ადგილებზე დღეში რამდენჯერმე უნდა წავისვათ. ჭორფლის მოსაცილებლად სხვა საშუალებაც არსებობს: 10 გრამი **ბორაქსი,** 5 გრამი **თეთრი შაბი,** დანაყილი **შაქარყინული** და 3 ცალი **ლიმონის წვენი** ერთმანეთში ავურიოთ. კანი დილა-საღამოს ამ მასით გავიწმინდოთ.



# როგორ დავიკლოთ წონა 7 დღეში?

## ყოველდღიური მენიუ 1100–1200 კკალ

**გახდომა 7 დღეში? ეს რეალურია, თუკი ამ ამოცანის გადაწყვეტას მეცნიერთა მიერ შემუშავებული კვების რეჟიმით შეეცდებით. გთავაზობთ სპეციალისტების მიერ შემუშავებულ კვების რეჟიმს, რომლის დაცვაც 7 დღეში შესანიშნავ ეფექტს მოგცემთ.**

### ორშაბათი

**პირველი საუზმე**
მოხარშული ხორცი — **90 გრ**
მოხარშული მწვანე ბარდა კვერცხთან ერთად — **200 გრ**
უშაქრო რძიანი ყავა — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
სალათა სტაფილოსა და ვაშლისგან — **150 გრ**

**სადილი**
ვეგეტარიანული წვნიანი — **250 გრ**
მოხარშული ხორცი — **90 გრ**
ჩაშუშული ჭარხალი — **150 გრ**

**სამხარი**
ასკილის ნაყენი — **200 გრ**

**ვახშამი**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
მწვანე ბარდა უზეთოდ — **50 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**

### სამშაბათი

**პირველი საუზმე**
ხაჭო 5-პროცენტიანი ცხიმიანობით — **100 გრ**
ზეთზე დამზადებული სალათა — **150 გრ**
უშაქრო რძიანი ყავა — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
სტაფილოსა და ვაშლის სალათა — **150 გრ**

**სადილი**
ვეგეტარიანული წვნიანი — **250 გრ**
მოხარშული ხორცი — **90 გრ**
ვაშლის კომპოტი უშაქროდ — **200 გრ**

**სამხარი**
ასკილის ნაყენი — **200 გრ**

**ვახშამი**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
ჩაშუშული ჭარხალი — **150 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**

### ოთხშაბათი

**პირველი საუზმე**
მოხარშული ხორცი — **90 გრ**
მცენარეულ ზეთზე დამზადებული სალათა — **150 გრ**
უშაქრო რძიანი ყავა — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
ვაშლი — **100 გრ**

**სადილი**
ვეგეტარიანული წვნიანი — **250 გრ**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
ზეთში ჩაშუშული კომბოსტო — **150 გრ**
ვაშლის კომპოტი უშაქროდ — **200 გრ**

**სამხარი**
რძე — **200 გრ**

**ვახშამი**
ხორცის რულეტი ომლეტის შიგთავსით — **150 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**

### ხუთშაბათი

**პირველი საუზმე**
ხაჭო 5-პროცენტიანი ცხიმიანობით — **100 გრ**
ჩაშუშული სტაფილო — **100 გრ**
უშაქრო რძიანი ყავა — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
ახალი კომბოსტოს სალათა — **150 გრ**

**სადილი**
ვეგეტარიანული წვნიანი — **250 გრ**
მოხარშული ხორცი — **90 გრ**
მწვანე ბარდა უზეთოდ — **90 გრ**
ვაშლი — **100 გრ**

**სამხარი**
ასკილის ნაყენი — **200 გრ**

**ვახშამი**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
ბოსტნეულის რაგუ — **150 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**

### პარასკევი

**პირველი საუზმე**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
ზეთზე დამზადებული ბოსტნეულის სალათა — **150 გრ**
რძიანი ყავა უშაქროდ — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
ვაშლი — **100 გრ**

**სადილი**
ბოსტნეულის წვნიანი — **250 გრ**
მოხარშული ქათმის ხორცი — **100 გრ**
უშაქრო კომპოტი — **200 გრ**

**სამხარი**
რძე — **200 გრ**

**ვახშამი**
მოხარშული ხორცი — **90 გრ**
ბოსტნეულის რაგუ — **150 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**

### შაბათი

**პირველი საუზმე**
მოხარშული ქაშაყი და კარტოფილი — **100 გრ**
ზეთზე დამზადებული სალათა — **150 გრ**
უშაქრო რძიანი ყავა — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
ვაშლი — **100 გრ**

**სადილი**
ვეგეტარიანული წვნიანი — **250 გრ**
მოხარშული ხორცი — **100 გრ**
უშაქრო კომპოტი — **200 გრ**

**სამხარი**
ასკილის ნაყენი — **200 გრ**

**ვახშამი**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
მწვანე ბარდა — **50 გრ**
ახალი კომბოსტო — **200 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**

### კვირა

**პირველი საუზმე**
ხაჭო 5-პროცენტიანი ცხიმიანობით — **100 გრ**
ვინეგრეტი ზეთზე — **150 გრ**
უშაქრო რძიანი ყავა — **100 გრ**

**მეორე საუზმე**
გახეხილი სტაფილო — **75 გრ**

**სადილი**
ვეგეტარიანული წვნიანი — **250 გრ**
გუფთა — **100 გრ**
ჩაშუშული კომბოსტო — **150 გრ**
ვაშლი — **100 გრ**

**სამხარი**
ასკილის ნაყენი — **200 გრ**

**ვახშამი**
მოხარშული თევზი — **100 გრ**
ბოსტნეული — **100 გრ**

**ძილის წინ**
კეფირი — **200 გრ**












## მიხეილ ცაგარელი:

# მთვარე და ჩვენი კულინარიული შესაძლებლობები თუ კვების პრიორიტეტები

***— რა მინიშნებანი გააჩნიათ ცნობილ შეფ-მზარეულებსა და კულინარებს პირად ჰოროსკოპში მთვარის ადგილმდებარეობასა და ასპექტებთან დაკავშირებით? მზის სისტემის პლანეტებიდან რომელი განაგებს საჭმლის მომზადების რეცეპტებს ანდა ამა თუ იმ პროდუქტის გემრიელად მომზადება-შეთავაზების უნარს? რას გვიჩვენებენ ადამიანების პირად ჰოროსკოპში არსებული მთვარის ასპექტების მიხედვით ჩატარებული კვლევები? რა შემთხვევაში ანიჭებს ადამიანი უპირატესობას ტკბილ ღვინოებს, არაყს, შამპანურს ან ლუდს? პირად ჰოროსკოპში მთვარის რომელ პლანეტებთან დაძაბული ასპექტი განაპირობებს ალკოჰოლური სასმელების მიმართ ბუნებრივ აუტანლობას? ვინ და რატომ ანიჭებს უპირატესობას ცხარე და პიკანტურ კერძებს, მექსიკურ თუ ჩინურ სამზარეულოს? ვის სამზარეულოში იხილავთ მრავალფეროვან საყოფაცხოვრებო ტექნიკას? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— არაერთხელ გვისაუბრია დედამიწის თანამგზავრისა და ჩვენთან ყველაზე ახლოს განლაგებული ციური სხეულის მთვარის მნიშვნელობისა და მრავალმხრივი ზეგავლენის შესახებ. ამჯერად ამ მიმართებით რას შემოგვთავაზებთ?**

— დედამიწის თანამგზავრი მთვარე ჭეშმარიტად დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე, ჩვევებსა და ხასიათზე. ცალკეული ადამიანის პირად ჰოროსკოპში მთვარის განლაგება და მისი სხვა პლანეტებთან ასპექტების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად შესაძლებელია, ვიმსჯელოთ კონკრეტული ადამიანის საკვების მიმართ დამოკიდებულების, კვების ჩვევებისა და კულინარიული შესაძლებლობების შესახებ. **მთვარის** ზემოქმედების ფართო არეალზე არაერთხელ გვისაუბრია. იგი განაგებს წყალს, საჭმელს და მთლიანობაში კვებას, ამიტომ **მთვარესთან** სხვადასხვა სახით დაკავშირებული პლანეტები მიგვითითებენ პროდუქტების დამუშავების თვისებურებებზე, მიდრეკილებებსა თუ ხერხებზე. ნიშანდობლივია, რომ ძალიან ბევრ ცნობილ შეფ-მზარეულსა და კულინარს პირად ჰოროსკოპში განსაკუთრებული მინიშნებანი გააჩნია, რომელიც კულინარიულ ნიჭსა და სფეროში მის წარმატებაზე მეტყველებენ. თუმცა, საკვების მომზადება ყველა ადამიანს უწევს, რამეთუ საკვების გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამას სიყვარულითა და სიამოვნებით აკეთებს, ზოგისათვის კი საჭმლის მომზადება მძიმე შრომას უტოლდება.

უნდა აღინიშნოს, რომ **სახელოვანი კულინარების ჰოროსკოპის განხილვისას ხშირ შემთხვევაში მთვარეს ვხვდებით მიწის სტიქიის (კუროს, ქალწულის, თხის რქის) ნიშნებსა და კირჩხიბისა და თევზების ზოდიაქოში. თუმცა, არანაკლებ ხშირია მთვარის არსებობა მშვილდოსანსა და მერწყულში. სამაგიეროდ, იგი თითქმის არ გვხვდება ლომისა და ღრიანკალის ზოდიაქოში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცნობილი კულინარების ჰოროსკოპში მთვარე ხშირად ჰარმონიულ ურთიერთობაშია პლანეტა ვენერასთან ან იმ პლანეტებთან, რომლებიც ამ ადამიანის დაბადების მომენტში იმყოფებოდნენ კუროს ნიშანში.** ასევე ხშირ შემთხვევაში, **მთვარე** ასპექტირებულია პლანეტა **სატურნთან ან ურანთან,** ანდა ამავე პლანეტებთან რეტროგრადულ ფაზაში. აგრეთვე, ხშირად თავად სხვა პლანეტებით ასპექტირებული **მთვარეა** განლაგებული **თხის რქის ან მერწყულის** ზოდიაქოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლანეტა **სატურნი** განაგებს ალგორითმს, თანმიმდევრობასა და წესრიგს, პლანეტა **ურანი** კი — ინტუიციასა და კომბინირების უნარს. შესაბამისად, **სატურნი** შეიძლება დავუკავშიროთ საჭმლის მომზადების რეცეპტს, ხოლო **ურანი** — პროდუქტის შეთავაზების უნარს, რის შედეგადაც იგი უფრო ნოყიერი, გემრიელი, ორიგინალური ხდება, მითუფრო, რომ შინაგანი ინტუიციის გარეშე შეუძლებელია გემრიელი საჭმლის მომზადება.

**— ამ მიმართებით პირად ჰოროსკოპში მთვარის ასპექტები ამა თუ იმ პლანეტასთან რაზე მიგვანიშნებენ?**

— როგორც აღვნიშნეთ, **მთვარე საკვებსა და სამზარეულოს განაგებს. მისი სხვა პლანეტებთან ასპექტები კი იმ კერძების მიმანიშნებელი იქნება, რომელიც მოცემული პლანეტით არის განპირობებული.** მაგალითად, ადამიანები, რომელთა ჰოროსკოპშიც **მთვარე** ასპექტირებულია პლანეტა **მარსით,** მეტ უპირატესობას ანიჭებს ცილით მდიდარ საკვებს (ხორცს, ლობიოს). **მთვარის პლანეტა სატურნით ასპექტირებისას** კი ადამიანებს უყვართ დაჭრილი სალათები, ყველი, ფხალეული. **საინტერესოა ასევე კვლევები, რომლიც პირად ჰოროსკოპში მთვარის ასპექტირების მიხედვით გვიჩვენებს ამ ადამიანის დამოკიდებულებას ალკოჰოლური სასმელების მიმართ.** მაგალითად, პირად ჰოროსკოპში **მთვარისა და პლანეტა ვენერას** დაძაბული ასპექტისას ადამიანი ტკბილ ღვინოებს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო **მთვარის მზესთან** დაძაბული ასპექტისას მშრალ ღვინოებს ირჩევს, **მთვარის,** პლანეტებთან — **მარსთან ან პლუტონთან** დაძაბული ასპექტისას კი ადამიანი არაყს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო **სატურნთან** დაძაბული ასპექტისას — კონიაკს, ვისკის, რომს და სხვა ხანგრძლივი დაძველების სპირტიან სასმელს. ნიშანდობლივია, რომ პლანეტა **იუპიტერთან** მთვარის დაძაბული ურთიერთობა განაპირობებს შამპანურისა და ლუდისადმი სიყვარულს, ხოლო პლანეტა **ნეპტუნთან** დაძაბული ურთიერთობა — მიდრეკილებას სხვადასხვა ნაყენების მიმართ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ადამიანებს, რომელთა პირად ჰოროსკოპშიც მთვარე დაძაბულ ასპექტს ქმნის პლანეტებთან — მერკურთან ან ურანთან, არამარტო არ უყვართ ალკოჰოლიანი სასმელები, არამედ ყველანაირად თავს არიდებენ, რადგან შემდგომ თავს ძალიან ცუდად გრძნობენ.**

**— როგორია მთვარის პირად ჰოროსკოპში ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგების მიხედვით ადამიანების სიყვარული, მიდრეკილება ანდა პირიქით — ანტიპათია სხვადასხვა სახის კერძის ან სხვადასხვა ქვეყნების სამზარეულოსა და კვებასთან დაკავშირებული ამა თუ იმ ნიუანსის მიმართ?**

— **1. პირად ჰოროსკოპში მთვარის ვერძის ზოდიაქოში განლაგების შემთხვევაში** ადამიანებს უფრო მოსწონთ ცხარე და პიკანტური კერძები, აგრეთვე: ფასტ-ფუდი, ჩიფსები, მექსიკური, ჩინური და კორეული სამზარეულო. ჰოროსკოპში ამგვარი პლანეტური განლაგების მქონე ქალბატონებს ბევრი სწრაფად მოსამზადებელი კერძის რეცეპტები აქვთ შემონახული. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათ არ უყვართ ქურასთან დიდხანს დგომა და კერძების მომზადება. მითუფრო, ცალ-ცალკე პროდუქტების მოთუშვა, ხრაკვა თუ სოუსების დამზადება. ეს მათ არც აინტერესებთ და არც მოსწონთ. ნიშანდობლივია, რომ მათ სამზარეულოში შეგიძლიათ, იხილოთ მრავალნაირი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომელიც უფრო მეტად ამარტივებს საჭმლის მომზადების პროცესს. გარდა ამისა, ისინი ხშირად მოიხმარენ ნახევარფაბრიკატებს, კვების ახალ სისტემებს, აგემოვნებენ ახალ პროდუქციას და უყვართ ეგზოტიკური კერძებით განთქმულ რესტორნებში სტუმრობა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 16 – 22 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
**ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობის დროა, რაც ახლო მომავალში თქვენი გეგმების განხორციელებაში დაგეხმარებათ. მეუღლესთან, შეყვარებულთან ან საქმიან პარტნიორთან კონტაქტს მეტ მნიშვნელობას მიანიჭებთ. ვარჯიში, საზოგადოებრივ ღონისძიებებსა და თამაშებში მონაწილეობა თქვენს ცხოვრებას გაალამაზებს და მრავალფეროვნებას შეჰმატებს. გადაადგილებების რაოდენობაც მოიმატებს, თუმცა, მოგზაურობა ჯობს, გადადოთ.**

**კურო (21.04-20.05)**
**მეტი იმოძრავეთ, იურთიერთეთ და იმოქმედეთ. მეგობრებმა შესაძლოა, ახალი საქმე შემოგთავაზონ. ხშირ გადაადგილებასა და ახალი კავშირების დამყარებაში მოზღვავებული ენერგია დაგეხმარებათ. ინფორმაცია ჯობს, ახლობლებისგან და ნათესავებისგან მიიღოთ და გადამოწმების გარეშე არ გამოიყენოთ. მოგზაურობა, განსაკუთრებით უცხოეთში ვიზიტი, წარმატებას გიქადით.**

**ტყუპი (21.05-22.06)**
**საკუთარი შესაძლებლობანი და სამოქმედო პირობები რეალურად უნდა შეაფასოთ, რათა მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საოჯახო და საქმიანი ურთიერთობები ყურადღებას მოითხოვს, მოგიწევთ, თქვენი პოზიციის მართებულობა დაამტკიცოთ. ახალ ნაცნობთა შორის, შესაძლოა, თანამოაზრენიც აღმოჩნდნენ. მოგზაურობა კი ხარჯს დაუკავშირდება და უცხოეთში მიზნის მისაღწევად დრო იქნება საჭირო.**

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
**ამ კვირაში მეტად მნიშვნელოვანია კავშირების გაფართოება და შემოსავლის ზრდაზე ზრუნვა, ხოლო სითამამე, ოპტიმიზმი, ინფორმაციის ფლობა და წვრილმანებისადმი მეტი ყურადღების მიქცევა დროულად მართებული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. კარგი პერიოდია დაწყებული საქმეების დასრულებისთვის. შინაგან სიმშვიდეს ჰარმონიული პირადი ურთიერთობა გაგიძლიერებთ. მოგზაურობა კი დასვენებისა და ძალების აღსადგენად გამოიყენეთ.**

**ლომი (23.07-23.08)**
**კარიერისა და სოციალური სტატუსის გაუმჯობესების სურვილი იმდენად დიდია, რომ დანარჩენზე ფიქრი გაგიჭირდებათ. სირთულეების გადალახვასა და მიზნის მიღწევაში შინაგანი წონასწორობა დაგეხმარებათ. ნათესავების მეშვეობით ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. გადაადგილებები და მოგზაურობა ახალი იდეებით აგავსებთ. საყვარელ ადამიანს ემოციებს ნუ დაუმალავთ და ეცადეთ, დროულად გამოთქვათ პრეტენზიები, რათა კონფლიქტი აირიდოთ.**

**ქალწული (24.08-23.09)**
**ავტორიტეტი მოგემატებათ და როგორც ახლობლების, ისე კოლეგებისა თუ ნაცნობთა წრეში მეტად მოთხოვნადი გახდებით. თქვენმა პირადმა თუ საქმიანმა ურთიერთობებმა კი შესაძლოა, გარშემო მყოფთა ყურადღება მიიზიდოს. ზედმეტად დროსტარებას მოერიდეთ და დაგროვილ საქმეებს მეტი დრო დაუთმეთ. კარგი პერიოდია ორგანიზატორული თვისებების გამოსავლენად, მოგზაურობისთვის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად და პირად ცხოვრებაში დადებითი ცვლილებებისთვის.**

## 16 – 22 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
**ხიბლი და საზოგადოებაზე გავლენის უნარი მოგემატებათ. საქმეთა რაოდენობაც გაიზრდება, მაგრამ ეცადეთ, ამის გამო ახლობლები და მეგობრები არ გაანაწყენოთ. თუ რა გაკავშირებთ ან გაშორებთ მიზანთან, პრობლემის გააზრებისას დაინახავთ. ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობისას პროფესიონალების შეწუხება არ მოგერიდოთ. საკუთარი გარეგნობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების სურვილი გაგიჩნდებათ, ამიტომ ჯობს, მოგზაურობა დასვენებას დაუთმოთ.**

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
**ადრე დახარჯული ძალისხმევა შედეგს მოიტანს, რაც სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობაზე აისახება. იდეათა სიუხვე ახალი საქმეების გააზრებასა და ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელებაში დაგეხმარებათ. ცხოვრებისეულ დეტალებს შეგნებულად გარშემო მყოფებს დაუმალავთ, რაც მითქმა-მოთქმას აგაცილებთ. შორეული თუ ახლო მანძილზე მოგზაურობანი კი ახალ პერსპექტივებს დაგისახავთ.**

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
**ძველი საქმეების დროულად დასრულებისათვის ახალი მეთოდები გამოიყენეთ. ხელშეკრულების დასადებად და პარტნიორული ურთიერთობის დამყარებისას უცნობებთან ნუ იურთიერთებთ, რათა არ მოტყუვდეთ. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა შესაძლოა, იმდენად უეცარი იყოს, რომ თავადაც ვერ გააცნობიეროთ. კარგი დროა უცხოელებთან ურთიერთობებისთვის, ცოდნის გაღრმავებისთვის, მოგზაურობისა და თვალსაწიერის გაფართოებისთვის.**

**თხის რქა (22.12-19.01)**
**ახალი საქმის დაწყების შემთხვევაში ახლო ნათესავებსა და მეგობრებს მიმართეთ. სახელმწიფო მოხელეებთან და სოციალურ დაწესებულებებში თქვენი ვიზიტი ნაყოფიერი იქნება. კომერციაც მოგებას მოგიტანთ. გადაუმოწმებელ ინფორმაციას, განსაკუთრებით საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით, ნუ გამოიყენებთ. მოგზაურობა-გადაადგილებებისას კი ჩანთას ყურადღება მიაქციეთ, რათა არაფერი დაკარგოთ.**

**მერწყული (20.01-18.02)**
**ოჯახში სადღესასწაულო განწყობის შესანარჩუნებლად ჯობს, სერიოზული საკითხების განხილვას თავი აარიდოთ. ასაკით უმცროსებთან თქვენი ურთიერთობა იმატებს. მიზნის მიღწევისას ეცადეთ, პოზიციის დაცვის დროს განსაკუთრებით კატეგორიული არ იყოთ. ავანტიურული პროექტი გაგიტაცებთ. უთანხმოების შემთხვევაში შეყვარებულს რაიმე აჩუქეთ და ყველაფერი უმალ გამოსწორდება. ხშირი გადაადგილებებია მოსალოდნელი, თუმცა, გზებზე მოძრაობისას ყურადღებას ნუ მოადუნებთ.**

**თევზები (19.02-20.03)**
**თავს სანაქებოდ იგრძნობთ და ახალი პროფესიული მწვერვალების დაპყრობას მოისურვებთ. შესაძლოა, ახალი საქმე დაიწყოთ, მაგრამ მისი წარმატება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობისთავის, საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის, ხოლო სასიყვარულო შეხვედრები და ურთიერთობა სიამოვნებას მოგიტანთ და თავდაჯერებას შეგმატებთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 16,19,21 და 22 იანვარი

**7 იანვარი – სავსემთვარეობა, პიკი – 03.09 საათზე;**
**22 იანვარი – ახალმთვარეობა, პიკი – 00.56 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 16 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.25 საათზე, ჩადის 17.56 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 02.23 საათზე, ჩადის 12.57 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 03.34 საათზე, მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნეთ, გარისკვას მოერიდეთ. მოთმინება გამოავლინეთ. სასიკეთოა ვარჯიში, არომათერაპია. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ანტიკვარული ნივთებისა და ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია, ბინის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, ზურმუხტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 17 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.25 საათზე, ჩადის 17.57 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.24) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 03.35 საათზე, ჩადის 13.27 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 05.04 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.27 საათიდან 21.33 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მოერიდეთ გარისკვას. შესაძლებელია საბუთებსა და ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა. კარგი დღეა სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ანტიკვარიატის, ცხოველების, მანქანის შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, სარემონტო სამუშაოებისა და რეცხვისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, სესხის აღება, ბინის შეცვლა, ალკოჰოლური სასმელების მიღება. სასიკეთო დღეა მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, მარგალიტი, ზურმუხტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.24 საათზე, ჩადის 17.58 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 04.50 საათზე, ჩადის 14.06 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 06.40 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** ხდება დირექტიული, რაც ხელს შეუწყობს იდეების რეალიზაციას, მოლაპარაკებებს, ინფორმაციის მიღებას, მგზავრობას, ტექნიკის მუშაობას, დღეს მოერიდეთ ემოციურობას, სარკასტულობას, ბევრ ლაპარაკს. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ვარჯიშისა და სპორტული ღონისძიებებისთვის, ლაშქრობისთვის, თანამშრომლობისთვის, პრეზენტაციებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, იაგუნდი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 19 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.24 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.08) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 14.55 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 08.14 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.09 საათიდან 23.11 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეფექტურია მხრებისა და ხელების მასაჟი, ფილტვების მკურნალობა. მიიღეთ ბევრი წყალი. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ყოფითი საკითხების მოგვარებისთვის, შემოქმედებისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, პრეზენტაციებისთვის, გარიგებებისთვის, სპორტული ინვენტარის შესაძენად, ხელშეკრულების დასადებად. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, აკვამარინი, იასპი, ნეფრიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 20 იანვარი, პარასკევი

**მზე** გადაინაცვლებს (12.31) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.23 საათზე, ჩადის 18.01 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 15.59 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 09.34 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** მზის გადანაცვლება მერწყულის ზოდიაქოში უახლოესი ერთი თვის მანძილზე გააძლიერებს თავისუფლებისკენ ლტოლვას, რეფორმებისკენ მიდრეკილებას, ორიგინალურ თვითგამოხატვას, უფლებების დაცვას და ასევე სიჯიუტეს, სულსწრაფობას, სიზარმაცეს და უყაირათობასაც. დღეს ეცადეთ, ყველა რთული საკითხი მშვიდად და დინჯად გადაწყვიტოთ, ემოციები აკონტროლეთ. კარგი დღეა უძრავი ქონების შესაძენად, სარემონტო სამუშაოებისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო საქმიანობისთვის, არ არის სასურველი თვალების გადაღლა, მძიმე ფიზიკური ვარჯიშების შესრულება, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, სტომატოლოგიური პროცედურები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 21 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.23 საათზე, ჩადის 18.02 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.29) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.20 საათზე, ჩადის 17.15 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 10.26 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.52 საათიდან 22.29 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხვალინდელი **ახალმთვარეობის** გამო დღესაც ყურადღება მოგეთხოვებათ! იმატებს პროვოკაციების, კონფლიქტების, უხასიათობის ალბათობა. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, ქორწინება, გაცვლითი ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. კარგი დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ზურმუხტი, ოპალი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 22 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.22 საათზე, ჩადის 18.03 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 09.10 საათზე, ჩადის 18.38 საათზე (**ახალმთვარეობაა,** პიკი — 00.56 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეს (00.56) შემობრძანდება აღმოსავლური კალენდრის მიხედვით კატა (კურდღლის) წელიწადი.** სასიკეთოა ლოცვა. კარგი დღეა სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, გართობისთვის. ამავდროულად, რეალურ ფაქტებს დაეყრდენით და ნუ აჰყვებით ფანტაზიებს. ახალმთვარეობის რთული ენერგიების დღეა. მომატებულია ნევროზულობა. ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, დაისვენოთ. მოერიდეთ საქმის გარჩევას, ცდუნებებს, პროვოკაციებს, ახალი საქმის დაწყებას, გაუფრთხილდით ძვირფას ნივთებს. პატივი ეცით როგორც საკუთარ, ისე სხვათა აზრსა და თავისუფლებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

---

შვილები **გიგლა, მაცაცო ბარამიძეები;** შვილიშვილები **ცისია, ირაკლი, რევაზი, გიორგი;** სიძე **დავით ვეკუა** მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ცისანა გოგიჩაიშვილი

*პანაშვიდი:* ***ორშაბათს, 16 იანვარს.***
*გამოსვენება:* ***სამშაბათს, 17 იანვარს, 2 საათზე.***
*მისამართი:* ***ერისთავ-ხოშტარიას ქ. №3.***

---



**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი** მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს **გიგლა და მაცაცო ბარამიძეებს** დედის — საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, მუსიკოს

## ცისანა გოგიჩაიშვილის

გარდაცვალების გამო

---

## საეკლესიო კალენდარი

✝ 16 იანვარი. ორშაბათი. **წმიდისა ექვთიმე ღმრთისკაცისა;** იოანესი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსთა: ევაგრესი, შიო მღვიმელის მოწაფისა და ელია დიაკონისა, იოანე ზედაზნელის მოწაფისა; წინასწარმეტყველისა მალაქიასი; მოწამისა გორდისა, რომელი იყო კესარია-კაბადოკიასა; ღირსისა პეტრე ნიშანშემოსილისა, ატროას მონასტერში მოღვაწისა; ღირსისა აკაკი სასწაულმოქმედისა; ღირსისა ამბა მელიტონ მამასახლისისა, საბაწმიდელისა; ღირსისა თომაიდასი, ლესბოსის მკვიდრისა; ღირსისა ჟენევიევა პარიზელისა.

✝ 17 იანვარი. სამშაბათი. შიომღვიმეში მოღვაწეთა: ევაგრესი, ილია დიაკონისა და სხვათა; კრება სამეოცდაათთა მოციქულთა; ღირსისა თეოქტისტესი, სიკელიის კუკუმოს იღუმენისა, სასწაულმოქმედისა; ღირსმოწამეთა ზოსიმე მონაზონისა და მოწამისა ათანასე კომენტარისისა; ევსტათი I-ისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა აპოლინარია სვინკლიტიკესი; ღირსმოწამისა ექვთიმესი, ვატოპედის მონასტრის იღუმენისა, და მისთანა 12-თა მონაზონთა; ღირსმოწამისა ონოფრე ახლისა, ქიოსელისა.

✝ 18 იანვარი. ოთხშაბათი. მღვდელმოწამეთა თეოპემპტისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა და მოწამისა თეონასი; ღირსისა სვინკლიტიკია ალექსანდრიელისა; წინასწარმეტყველისა მიქეასი; ღირსისა ფოსტირი მეუდაბნოისა; ღირსისა გრიგოლ აკრიტელისა; მოწამისა რომანოზისა.



19 იანვარი – ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი

✝ 19 იანვარი. ხუთშაბათი. **ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.**

✝ 20 იანვარი. პარასკევი. **კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი და მისთა წმიდათა ნაწილთა ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლს გადმობრძანება;** მოწამისა ათანასე ატალიელისა; სედისა, შოტლანდიის ეპისკოპოსისა.

✝ 21 იანვარი. შაბათი. **დიდმოწამისა აბო ტფილელისა;** ღირსისა გიორგი ქოზიბელისა; ღირსისა დომნიკა კონსტანტინოპოლელი იღუმენიასი; წინასწარმეტყველისა სამესი, ელამელისა; მღვდელმოწამისა კარტერისა, კესარია-კაბადოკიელი ხუცისა; მოწამეთა: თეოფილე დიაკონისა და ელადი ერისკაცისა; მოწამეთა: იულიანესი, კელსისა, ანტონისა, ანასტასისა, ბასილისასი და მარიონილასი, 7-თა ყრმათა და 20-თა მხედართა; ღირსისა გრიგოლი კიევ-პეჩორელისა, სასწაულმოქმედისა; მღვდელმოწამისა ისიდორე ხუცისა და მისთანა 72-თა მოწამეთა; ღირსისა აგათონისა; ატიკე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; კვიროს კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; გრიგოლ მიზიის ეპისკოპოსისა; წმიდისა სევერინოს ასტურელისა; ღირსისა თეოდორესი, ხორას მონასტრის ქტიტორისა; ღირსისა მაკარი მაკრიელისა; პართენა მოწამისა, ედესელისა.

✝ 22 იანვარი. კვირა. მოწამისა პოლიევქტე მხედრისა, მელიტინელისა; პეტრე სებასტიელი ეპისკოპოსისა; ღირსთა ევსტრატი სასწაულმოქმედისა; ფილიპე მოსკოველი მიტროპოლიტისა; ღირსთა ბასილი სასწაულმოქმედისა და გრიგოლისა; წმიდისა ადრიანესი ინგლისიდან, კენტერბერის წინამძღვრისა; პრიგუოლდისა, კენტერბერის მთავარეპისკოპოსისა.

---




## მაღაზია «ბუკვიცა»

**ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე**

***574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90***

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**


---

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად: 1. შარშან; 5. ბადრო; 11. რაობა; 12. რეიგანი; 13. ანტრაშა; 14. ზალპი; 15. ბლეფი; 16. გორგონა; 17. ირინოლა; 18. ლაოსი; 19. ტვენი; 20. ნანკინი; 21. იმამატი; 25. კვირა; 26. ჩილი; 28. ლაინერი; 31. პრეტორია; 32. ფიჯი; 34. მუმლი; 35. კივერი; 36. კაპიტალი; 37. ზებრა; 38. ჩქამი; 39. ლოტო; 40. კალაპოტი; 44. კაინიტი; 45. პაპა; 47. რეტი; 48. ლექტორი; 49. ფიტული; 52. ვესტელი; 55. უნაგირა; 56. ფანტომასი; 57. ნარგიზი; 58. ადიგენი; 59. აბორიგენი.**

**შვეულად: 1. შტატივი; 2. რიტმიკა; 3. არაბობა; 4. გობელენი; 5. ბაზილიკი; 6. დალტონიკი; 7. ორიგინალი; 8. მიგრანტი; 9. სამორინე; 10. კირასირი; 11. რაბატი; 22. მარსალა; 23. მეტრიკა; 24. ტორნადო; 26. ჩამიჩი; 27. ლამბადა; 29. ნიველირი; 30. რარიტეტი; 32. ფიზიკა; 33. ჯიბგირი; 35. კარიბუ; 40. კალკუტა; 41. ლაქტამი; 42. პრომილე; 43. ტაივანი; 45. პისარო; 46. პრემია; 49. ფიფია; 50. ტანგო; 51. ლიონი; 53. ბადე; 54. ჭირი.**

**ქალამანიფესტივალიკოლეგატირადამესიასულიერი**
**პაპარაციამურილიოტაბულატრაპირაუტიფარიალამი**

| ძველებური ფეხსამოსი | ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება | ამხანაგი სამსახურის მიხედვით | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ზეციური მხსნელი | სულდგმული |
|---|---|---|---|---|---|
| თავის ჩონჩხი | უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი | ბუბა კიკაბიძე „მიმინოში“ | რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი | აიდას სატრფო | ქალიშვილი |
| ნაცია | | | | | |



თარაზულად: 1. ერთი წლის წინათ, გასულ წელს; 5. სპორტული იარაღი; 11. რისამე დედააზრი, არსი, ბუნება; 12. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; 13. მსუბუქი შეხტომა საბალეტო ცეკვაში; 14. რამდენიმე თოფის ერთდროული დაცლა; 15. ფილმი ა. ჩელენტანოს მონაწილეობით; 16. მითოლოგიური მედუზა; 17. ჯ. ჩარკვიანის ლექსი; 18. აზიის სახელმწიფო; 19. ამერიკელი მწერალი; 20. ჩინეთის ძველი დედაქალაქი; 21. იმამის ხელისუფლება; 25. უქმე დღე; 26. წიწაკის ნაირსახეობა; 28. მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 31. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 32. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 34. ქინქლა; 35. ძველებური მაღალი სამხედრო ქუდი; 36. სიმდიდრე, ფასეულობა, ქონება; 37. ზოლიანი ცხენი; 38. მცირე გახმაურება, ფაჩუნი; 39. სამაგიდო თამაში; 40. მდინარის სადენი ჩაღრმავება; 44. სასასუქე მინერალი; 45. ბაბუა; 47. თავბრუ; 48. პირი, რომელიც ლექციას კითხულობს; 49. ბამბით, ნახერხით გატენილი ცხოველის (ფრინველის) ფიგურა; 52. თურქული ტექნიკის ფირმა; 55. მომცრო ჩაღრმავება მთის ორ წვერს შორის; 56. ფილმი ჟ. მარეს მონაწილეობით; 57. ყვავილი; 58. რაიონი მესხეთში; 59. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლე.

შვეულად: 1. დასაკეცი სამფეხა დასადგმელი კინოგადასაღები აპარატისათვის; 2. მოძღვრება რიტმის შესახებ; 3. არაბების ბატონობის ხანა საქართველოში; 4. ავეჯზე გადასაკრავი მკვრივი ქსოვილი; 5. ერთგვარი მწვანილი; 6. ადამიანი, რომელიც ვერ არჩევს ფერებს; 7. დედანი; 8. ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე; 9. სათამაშო სახლი, კაზინო; 10. მძიმე კავალერიის მხედარი (ძვ.); 11. საქონელზე ფასჩამოკლება მუდმივი პარტნიორისათვის; 22. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 23. დაბადების მოწმობა; 24. ხმელეთის სმერჩის სახელი აშშ-ში; 26. ქიშმიში; 27. ყავის სახეობა; 29. გეოდეზიური ხელსაწყო; 30. ძალიან იშვიათი ნივთი; 32. მეცნიერების დარგი; 33. ჯიბის ქურდი; 35. ჩრდილოეთის ირმების ზოგადი სახელი ჩრდილოეთ ამერიკაში; 40. ქალაქი ინდოეთში; 41. სხვადასხვა ორგანული ნაერთის ზოგადი სახელი; 42. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 43. ჩინეთის კუნძული; 45. ფრანგი ფერმწერი; 46. ფულადი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისთვის; 49. ქართველი დასტაქარი; 50. წყვილთა ცეკვა; 51. ქალაქი საფრანგეთში; 53. თევზის საჭერი ნაქსოვი მოწყობილობა; 54. საერთო სახელწოდება ცხოველთა მწვავე გადამდები დაავადებისა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| აბეზარი ჟურნალისტი | მდინარე რუსეთში | ამერიკელი მსახიობი | ბარდი ... ოკუჯავა | საფარიკაო იარაღი | ურცხვად თამამი | დროშა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბუა | გადასატანი რადიო-სადგური | ესპანელი ფერმწერი | გამრავლების ცხრილი | თვით-მფრინავის კიბე | საზეიმო წვეულება | დანტესის თანამოსაკნე აბატი |
| წყლის დანალექი სილა | | | | | | |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 16 - 22 იანვარი №4 (1468)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

